



ხელოვნების მკვლევართა XVIII
საერთაშორისო კონფერენცია
The 18th International Conference
of Arts Researchers



ხელოვნება დროის

კონტექსტში

ART IN THE
CONTEXT
OF TIME



15-17
ოქტომბერი
OCTOBER
TBILISI • 2025

ჯანტაყიბი ABSTRACTS



ხელოვნების მკვლევართა XVIII საერთაშორისო კონფერენცია
18th International Conference of Arts Researchers

ხელოვნება დროის კონტექსტში

ART IN THE CONTEXT OF TIME

15-17 ოქტომბერი 2025
October

ანოტაციები Abstracts



საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა
და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
SHOTA RUSTAVELI THEATRE AND FILM
GEORGIAN STATE UNIVERSITY

თბილისი | Tbilisi

კრებული წარმოადგენს ხელოვნების მკვლევართა მე-18 საერთაშორისო კონფერენციის თეზისებს. წლევანდელი პრიორიტეტული თემაა „**ხელოვნება დროის კონტექსტში**“ კონფერენცია მოიცავს თავისუფალი თემატიკის სექციებსაც. წლევანდელი კონფერენცია თანადაფინანსებულია UNESCO-ს მიერ.

The volume represents the abstracts of the 18th International Conference of Art Researchers. This year's priority theme is **“Art in the Context of Time”**. The conference also includes sections dedicated to free topics. This year's conference is co-funded by UNESCO.

ორგანიზატორი: **ნატო გენგიური**, პროფესორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

კოორდინატორი: **ზვიად დოლიძე**, პროფესორი, სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დეკანი.

საორგანიზაციო ჯგუფის წევრები:

ქეთევან ოჩხიკიძე, ასისტენტი; **ნინო კვირიკაშვილი**, დოქტორანტი.

Organizer: **Nato Gengiuri**, Professor, Head of the Quality Assurance Office of Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

Coordinator: **Zviad Dolidze**, Professor, Dean of the Faculty of Arts, Media and Management.

Members of the Organizing Committee: **Ketevan Ochkhikidze**, Assistant;
Nino Kvirikashvili, Doctoral Student

ლიტერატურული რედაქტორი: **თამთა ქაჯაია**

გარეკანის დიზანი: **ივანე კიკნაძე**

დამკაბადონებელი: **ეკატერინე ოქროპირიძე**

კორექტორი: **მანანა სანადირაძე**

Literary Editor: **Tamta Kajaia**

Cover design: **Ivane Kiknadze**

Bookbinder: **Ekaterine Okroporidze**

Proof-reader: **Manana Sanadiradze**

© საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა „კენტავრი“, 2025

© Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University Publishing House „Kentavri“, 2025

ISBN 978-9941-9962-6-9

სარჩევი

თეატროლოგია

მაია დობორჯგინიძე

სპექტაკლი დროის კონტექსტში 17

მარინე (მაკა) ვასაძე

„ცოცხალი“ თეატრი - დროის კონტექსტში 18

კრასიმირა ივანოვა

**დიალოგი თეატრსა და კინოს შორის -
ახალი მეთა-მიდგომა** 20

თეიმურაზ კეჟურაძე

**ესქილესა და ევრიპიდეს დრამა ანტიკური
დრამის თეორიის საკითხისათვის** 21

მარიკა მამაცაშვილი

**კლასიკური დრამატურგიის განსხვავებული
რეჟისორული ინტერპრეტაციები** 22

ნარინე სარგსიანი

**შორჟ კიძოვაძე და მისი თეატრალური
ხედვის საფუძვლები** 23

გიორგი სიხარულიძე

ოპი და ხელოვნება 25

სპეტია სტეფანოვა

**თოჯინა როგორც კულტურული და შემოქმედებითი
იარაღი სამუსიკო განათლებაში** 27

მანანა ტურიაშვილი

**მსხვერპლშენიშვნის თემა ქართულ
შემოქმედებით აზროვნებაში** 28

თამარ ქუთათელაძე

„მესიჟები“ სპექტაკლებიდან (2024-2025) 30

ლაშა ჩხარტიშვილი

**უახლესი ქართული თეატრი ეკოპის
კონტექსტში - პოლიტიკური პროცესის
გავლენა თეატრზე და პირიქით** 31

სანდრა რასვანა ჩერნატი

**დიალოგები დროის მიღმა:
თანამედროვე რეჟისორები პირისპირ
კლასიკურ ტექსტებთან** 33

თამარ ცაგარელი

ქმედება თუ ხდომილება? 34

მარინა ხარატიშვილი

როგორც სტურაჰს „მიჯაჭვული პრობლემა“

დროის კონტექსტში

35

კინომსოფნოებ

იოსიფ ასტრუკოვი

სარკის მიღმა - რამდენად შავბნელია

მომავალი?

39

მარიამ ახალკაცი

ნარკომანიების მორალური სახე კინოში -

დროში ცვლილებებისა და დროის მიღმა

41

ელეონორა გოგოლაშვილი,

თანამედროვე იგავური კინო. დროის დინამიკა

და სოციალური ტრანსფორმაციები

42

ზვიად დოლიძე

„თეთრი თაღფონების“ კინო

43

თამთა თურმანიძე

გახანგრძლივებული 90-იანი წლები

ქართულ კინოში

44

ბარბარე კალაიჯიშვილი

იდენტურობის დისოციაციური აშლილობა: ილუზია თუ

რეალობა? ალფრედ ჰიჩკოკის „ფსიქოზა“ და დევიდ

ფინჩერის „მეგრძოლთა კლუბის“ მაგალითზე

46

გვანცა კუპრაშვილი

„ანიმაციური პასუხი საბჭოთა ხელისუფლებას“

47

მაია ლევანიძე

ქართული დოკუმენტური კინო: რეალობის

ეკრანული ინტერპრეტაცია

48

მანანა ლეკბორაშვილი

ემსკლუბაციური კინო - წარსული

და დღევანდლობა

49

ანდრონიკა მარტონოვა

„გაუშვით გაუშვები კინოში!“. კინოგანათლების

ადრეული კონცეფციები ბულგარულ

კულტურაში, ორ მსოფლიო ომს შორის

51

ლელა ოჩიაური

დროსა და სამყაროს გასწვრივ ქალი, როგორც

სუბიექტი და აურზაური მის გარშემო

53

მანანა პაიჭაძე

**ქრონოტოპი და „ქეროს ხანის“ თეორია რენე
კლერის და ვუდი ალენის ფილმებში** 54

(„ღამის ლამაზმანები“ 1952 და „შუალამე პარიზში“ 2011)

ქეთევან ღონღაძე

**ნონკონფორმიზმი, როგორც დროისა და
სივრცის ანარქალი 1960-იანი წლების
ამერიკულ კინოში** 55

მირიან ცუცუი

**ორი ფინალის გამოყენების მეთოდი
ფილმებში** 57

ხელოვნებათმცოდნეობა

ირინე აბესაძე

**მხატვარი მიხეილ ბილანიშვილის შემოქმედებითი
მოღვაწეობა XX ს. 20-30-იანი წლების
ქართულ-ევროპული პოლიტიკურ-ესთეტიკური
გამოწვევების კონტექსტში** 61

ნატო გენგიური

**მდგრადი არქიტექტურის განვითარების
ერთი ეტაპი ბარლინსა და ფრაიბურგში** 62
(1990–2000-იანი წლები)

ირმა დოლიძე

**სათეატრო არქიტექტურა როგორც იდეოლოგიური
დისკურსის სივრცე საბჭოთა საქართველოში** 63
(1930-1950-იანი წლები)

ეკატერინე კენიგსბერგი

**გმირი ქალები - გამოფენა-კვლევა ქალთა
მოდისა და როლის შესახებ მეორე
მსოფლიო ომის დროს** 65

ეკა კიკნაძე, გიორგი ფარცხალაძე

**იმპერიული მითი პროგრესისა და მემოტივის
შესახებ: მიხეილ ვორონცოვისა და ალექსანდრე
ბრიკოვოდოვის ძეგლები თბილისში** 66

ანა მგალობლიშვილი, ირინე გივიაშვილი

**ოთხი კათედრალი XIX საუკუნის
საქართველოში** 67

დავით ნიორაძე დიმიტრი უზნაძის ეუფის 1930-1950-იანი წლების არქივებული მემკვიდრეობა	68
ლალა ოსეფაშვილი გვიან ბიზანტიური სამეცნიერო მიღწევები და სპეტიცხოვლის სამხრეთი კედლის მოხატულობის ფრაგმენტი	69
ქეთევან ოჩიკიძე ქრისტეს კვართი და მისი თაყვანისცემა საქართველოსა და დასავლეთ ევროპის ქრისტიანულ ძეგლებში	71
სოფიო პაპინაშვილი მრგვალი ქანდაკების გააზრება ისტორიულ კონტექსტში (ფორმის ცვლილება და სამეტყველო ენა)	73
გიორგი რაზმაძე დეკლონირებული ნარკვევები თბილისის ბრუნების კულტურაში	74
ქრისტინა ფრაიგანგი ადრეულ ლოთის მოდერნიზმული მანიფესტები და მათი ინტერპრეტაცია	75
შორენა ფხაკაძე ინოვაციური მასალები და ციფრული თეატროლოგიები თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების კონტექსტში	76
ნათია წულუკიძე იყიდება ღარიბების ქვეყანა - რატომ არ არის პრობლემა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში?	77

მედიის კვლევები

გიორგი გრძელიშვილი ხელოვნური ინტელექტი, როგორც ახალი ესთეტიკის მდგომარეობა თანამედროვე მედია კულტურაში	81
ნანა დოლიძე კინო, როგორც ისტორიული დროის რეპრეზენტაციური და მემორიალის არქივი (ოპი, რომელიც დღემდე გრძელდება - 2008 წლის 5-დღიანი ომის ისტორია რუსულ კინოში)	82

თეონა ზედანია	
რადიო, როგორც კულტურული	
დიფუზიის ინსტრუმენტი	84
ბილგე კალკავანი, ზუბეიდე გამზე შაჰინი	
ციფრული მედიის ჩართულობა და თაობა	
Z-ის გენ-ჩვეულებანი: ანალიზი კულტურის	
ინდუსტრიისა და ჰაბიტუსის ფარგლებში	85
თეა სხიერელი	
კრესნალიზის მრანსფორმაცია ციფრულ	
ეპოქაში: კომუნიკაციის მრადიციული	
ფორმის რეკონსტრუქცია	87
ნათია ტყემალაძე	
მედიანის მრანსფორმაცია ციფრულ ეპოქაში	88
გიორგი ჩართოლანი	
ვირტუალური რეალობა (VR), ხელოვნების	
ახალი მედიუმი	90
თეა ცაგური	
მემყველების სპეციფიკა და თავისებურებანი	
თანამედროვე მასობრივი კომუნიკაციის	
საშუალებებში	91
 <u>მუსიკოლოგია</u>	
ნია ბარაბაძე	
ახალი დროის ხმოვნება: მეტელოგია	
და იმპროვიზაცია რეზო კიკნაძის	
კომპოზიციურ პროცესში	95
ბაიბა იაუსლავეიტე	
პროგრამული მოთივები პეტერის ვასკის	
ნაწარმოებებში სიმებიანი ორკესტრისთვის	96
ივანე მადარა	
სოლო სიმღერის პროგრამები ლაბიის მუსიკალურ	
სკოლებში: შედარებითი თვალთახედვა ომებს შორის	
პერიოდში დამკვიდრებულ მრადიციებზე და ადრე	
საბჭოთა პერიოდზე (1920–50-იანი წლები)	97
მარინა ქავთარაძე	
ყანაელის ოპერის რეცეფცია 21-ე საუკუნეში	99
გვანცა ღვინჯილია	
მეტავერსი როგორც მუსიკალური ეკონისთემა	100

თამარ ჩხეიძე

**სამგალობლო თრადიცია ბარეჭში:
ლიტურგიკული წყაროების ანალიზი** 102

ქორეოლოგია

ხათუნა დამჩიძე

**ქორეოგრაფია - მყარი, დაკარგული,
მოდერნიზებული** 105

თავისუფალი თემების სექცია

კინომცოდნეობა

თათია ახალშენაშვილი

**ბარემო როგორც პერსონაჟი თანამედროვე
ქართულ დოკუმენტალისტიკაში** 109

ხელოვნების მენეჯმენტი და კულტურული მუნიციპალიტეტი

ნაირა გალახვარიძე

**ხელოვნების სისტემა გლობალურსა
და ლოკალურს შორის** 111

ნიკო კვარაცხელია

**ავთენტურობისა და ინტერკრემაციის
პრობლემა კულტურულ მუნიციპალიტეტში** 112

ნათია კობალეიშვილი

**მემორიალიზაციის მხარე როლი ხელოვნებისა
და განათლების სფეროში** 113

გიორგი ფხაკაძე

**კულტურის ფინანსური არქიტექტურა და რა სარგებელი
აქვს ძველანას მისი სწორად განხორციელებით?** 114

მაია ღვინჯილია

**ციფრული მარკეტინგის როლი
ბასტრონომიულ მუნიციპალიტეტში** 115

მალხაზ ღვინჯილია

**ევროპის კულტურული მემკვიდრეობისა და საქარტველოს
მუნიციპალიტეტის კომუნიკაციები: ახალი გამოწვევები** 116

დოდო ჭუმბურიძე

**კულტურის სფეროს პროექტების მართვა
და მისი გავლენები** 117

CONTENTS

TEATROLOGY

Maia Doborjginidze	
Theatre Performance in the Context of Time	119
Marine (Maka) Vasadze	
“Live” Theatre – in the Context of Time	120
Krasimira Ivanova	
Dialogues Between Theater and Cinema – the New Meta-Approach	122
Teimuraz Kezheradze	
The drama of Aeschylus and Euripides to the matter of the theory of ancient drama	122
Marika Mamatsashvili	
Different Directorial Interpretations of Classical Dramaturgy	124
Narine Sargsyan	
Georges Pitoëff And The Foundation Of His Theatrical Vision	125
George Sikharulidze	
War and the Artist	126
Petya Stefanova	
The Puppet as a Cultural and Creative Tool in Music Education	128
Manana Turiashvili	
The Theme of Sacrifice in Georgian Creative Thinking	129
Tamar Kutateladze	
“Messages” from the performances (2024–2025)	130
Lasha Chkhartishvili	
Contemporary Georgian Theatre in the Context of the Epoch – The Impact of Political Processes on Theatre and Vice Versa	132
Sandra Răsvana Cernat	
Dialogues Across Time: Contemporary Directors in Confrontation with Classical Texts	133
Tamar Tsagareli	
Scientist-researcher of the Union of Tbilisi Municipal Museums	134

Marina Kharatishvili

Robert Sturua's "Prometheus Bound" in the Context of Time 135

FILM STUDIES

Iosif Astrukov

Beyond the mirror: is the future black? 137

Mariam Akhalkatsi

**The Moral Image of Drug Addicts in Cinema -
Changes Over Time and Beyond Time** 138

Eleonora Gogolashvili

**Contemporary Allegorical Cinema. The Dynamics
of Time and Social Transformations** 139

Zviad Dolidze

The Cinema Of White Telephones 140

Tamta Turmanidze

The Extended 1990s in Georgian Cinema 141

Barbare Kalaijishvili

**Dissociative Identity Disorder: Illusion or Reality?
Using the examples of Alfred Hitchcock's Psycho
and David Fincher's Fight Club** 142

Gvantsa Kuprashvili

"Animated Response to Soviet Power" 143

Maya Levanidze

**Georgian Documentary Cinema: Screen
Interpretation of Reality** 144

Manana Lekborashvili

Exploitation Cinema: Past and Present 145

Andronika Mårtonova

**'Send the Children to the Cinema!': Early concepts of
film education in Bulgarian culture between
the two World Wars** 146

Lela Ochiauri

**Across the Time and Universe Woman-Subject
and Bustle Around Her** 148

Manana Paitchadze	
The chronotope and the theory of Golden Age in the movies of René Clair and Woody Allen	
("Les Belles de nuit" 1952 and "Midnight in Paris" 2011)	149
Ketevan Ghonghadze	
Nonconformism As A Reflection Of Time And Space In The 1960s American Cinema	150
Marian Tutui	
The Method of Using Two Endings in Films	151

ART STUDIES

Irine Abesadze	
The Creative Work of Artist Mikheil Bilanishvili in the Context of Georgian-European Political-Aesthetic Challenges of the 20s-30s of the 20th Century	153
Nato Gengiuri	
A Stage in the Development of Sustainable Architecture in Berlin and Freiburg (1990s-2000s)	154
Irma Dolidze	
Theatre Architecture as a Space of Ideological Discourse in Soviet Georgia (1930s-1950s)	155
Ekaterina Kenigsberg	
Heroines - exhibition-study of women's fashion and the role of women during World War II	156
Eka Kiknadze, Giorgi Fartskhaladze	
The Imperial Myth of Progress and Friendship: Monuments to Mikhail Vorontsov and Alexander Griboyedov in Tbilisi	158
Ana Mgaloblishvili, Irine Giviashvili	
Four Cathedrals in the 19th century Georgia	159
David Nioradze	
The Architectural Heritage of Dimitri Uznadze Street from the 1930s to the 1950s	160
Lali Osepashvili	
Late Byzantine Scientific Achievements and a Fragment of the South Wall Painting of Svetitskhoveli	161

Ketevan Ochkhikidze	
The Robe of Christ and Its Adoration in the Christian Traditions of Georgia and Western Europe	163
Sopio Papinashvili	
Understanding the Round Statue in Historical Context (The change of the form and its expression language)	164
Giorgi Razmadze	
Decolonial Narratives in Tbilisi Graffiti Culture	165
Christian Freigang	
Adolf Loos' modernist manifestos in the context of their appropriation	166
Shorena Pkhakadze	
Innovative Materials and Digital Technologies in the Context of Contemporary Visual Art	167
Natia Tsulukidze	
For Sale: A Country of the Poor – Why Is Protest Absent from Contemporary Georgian Art?	168

MEDIA RESEARCHES

Giorgi Grdzelishvili	
Artificial Intelligence as a Component of New Aesthetics on Modern Media Platforms	170
Nana Dolidze	
Cinema as a Representation of Historical Time and an Archive of Memory (The War That Continues – The 2008 Russo-Georgian War in Russian Cinema)	171
Theona Zedania	
Radio as an Instrument of Cultural Diffusion	172
Bilge Kalkavan, Zübeyde Gamze Şahin	
The Digital Media Engagement and Practices of Generation Z: An Analysis within the Framework of Culture Industry and Habitus	173
Tea Skhiereli	
The Transformation of the Press Release in the Digital Era: Repositioning a Traditional Form of Communication	174

Natia Tkemaladze	
The Transformation of Media Language in the Digital Age	175
George Chartolani	
Virtual Reality (VR), a New Medium for Art	176
Tea Tsaguria	
Specifics and peculiarities of speech in modern means of mass communication	178

MUSICOLOGY

Nia Barabadze	
The Sonority of the New Era: Technology and Improvisation in Rezo Kiknadze's Compositional Process	179
Baiba Jaunslaviete	
Program Motifs In The Music For Strings By Pēteris Vasks	180
Ivane Madara	
Solo Singing Programs in Latvian Music Schools: A Comparative Perspective on Interwar Traditions and the Early Soviet Period (1920s-1950s)	181
Marina Kavtaradze	
The Reception of Kancheli's Opera in the 21st Century	182
Gvantsa Ghvinjilia	
The Metaverse as a New Musical Ecosystem	183
Tamar Chkheidze	
The Chant Tradition in Gareji: An Analysis of Liturgical Sources	184

CHOREOLOGY

Khatuna Damchidze	
Choreography – Solid, Lost, Modernized	185

FREE THEME SECTION FILM STUDIES

Tatia Akhalshenashvili

**The Environment as a Character in Contemporary
Georgian Documentary Cinema**

187

ART MANAGEMENT AND CULTURAL TOURISM

Naira Galakhvaridze

The Art System Between the Global and the Local

188

Niko Kvaratskhelia

**The Problem of Authenticity and Interpretation
in Cultural Tourism**

190

Natia Kopaleishvili

The growing role of technology in the arts and education

191

Giorgi Pkhakadze

**The financial architecture of culture and what are the benefits
to the country from its correct implementation?**

192

Maya Gvinjilia

The Role of Digital Marketing in Gastronomic Tourism

192

Malkhaz Gvinjilia

**European Cultural Routes and Georgia's Tourism
Potential: New Challenges**

193

Dodo Tchumburidze

**Management of Cultural Sphere Projects
and Their Impacts**

194

თეატროლოგია

მაია დობორჯინიძე,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის
დრამის რეჟისურის დოქტორანტი

სპექტაკლი დროის კონტექსტში

ადამიანის თვითდამკვიდრება თანამედროვე სამყაროში ურთულესია. უამრავი დამაბრკოლებელი ფაქტორია იდენტობის ჩამოყალიბების გზაზე. ჟან პოლ სარტრის „ცხრაკლიტულის“ პერსონაჟებით „აქაც“ ჩაკეტილნი ვარ და ერთ წრეზე ვტრიალებთ, ვითქვიფებით სხვისი შეხედულებებისა და სურვილების სივრცეში, ყოველდღიურ ურთიერთობებში, სოციალურ ქსელებში. მუდმივად ვგრძნობთ სხვის მხერას, ვმოქმედებთ ისე, რომ გვალღარონ, ვემორჩილებით და ვითვისებთ სხვათა თამაშის ხერხებს, შემდეგ კი გვიტის საკუთარ კითხვებზე პასუხის გაცემა. სხვები გვმართავენ, რაც გარდაგვქმნის, გვართმევს საკუთარ ღირებულებებს, საკუთარ მეს, ნელ-ნელა ვკარგავთ ინდივიდუალობას, საბოლოოდ კი, ერთმანეთს ვუწყობთ ჯოჯოხეთს. რა გამოდის? ჯოჯოხეთია „იქაც“ და „აქაც“?.. დღევანდელი საზოგადოებრივი წნეხი გვიყალიბებს სტანდარტებს, გვიშლის შეეკმნათ ჩვენი თავი. ჟან პოლ სარტრის ფილოსოფიის მთავარი ღერძი – „ჯოჯოხეთი ეს სხვებია“, როგორც არასდროს, ისე შეესატყვისება ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას. მისი პიესა „ცხრაკლიტული“, ადამიანის ეგზისტენციალური მდგომარეობის შესანიშნავი ნიმუშია.

სარტრის აზრით, ადამიანი თვითონ ქმნის საკუთარ პიროვნებას თავისი არჩევანითა და ქმედებით. ეს პასუხისმგებლობა მძიმე ტვირთია. თავის მოტყუება, თითქოს ცუდი არაფერი ჩაგვიდენია, თითქოს დანაშაული არაფერში მიგვიძღის, აზრს კარგავს. ვერავინ გაექცევა პასუხისმგებლობას საკუთარ ბედზე. ჯოჯოხეთია ის მდგომარეობა, როცა სხვისი მხერა და აღქმა ხდება შენი ცოდვებისა და ტანჯვის გამოაშკარავების, შენი დაცემის ბოლო ინსტანცია.

ნაშრომში, სარტრის ნააზრევისა და ანალიტიკოსთა მოსაზრებების პარალელურად, წარმოვაჩენ ჩემი მომავალი სპექტაკ-

ლის კონცეფციას ჩვენი თანადროული სინამდვილის პრობლემათა გათვალისწინებით.

მარინე (მაკა) ვასაძე,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, თეატროლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

„ცოცხალი“ თეატრი - დროის კონტექსტში

„თეატრის დანიშნულება მხოლოდ გართობა რომ ყოფილიყო, შესაძლოა, ამდენი ძალისხმევით დახარჯვა არ ღირდეს. მაგრამ თეატრი ცხოვრების ასახვის ხელოვნებაა“.

თეატრი საუკუნეების განმავლობაში, სხვადასხვა ხერხით თუ ფორმით, თანამედროვეობაში არსებულ პრობლემებს ასახავს. თეატრი მხოლოდ მაშინ არის ცოცხალი და საინტერესო, მხოლოდ მაშინ ამყარებს კონტაქტს მაყურებელთან, მხოლოდ მაშინ შედგება დიალოგი თეატრსა და მაყურებელს შორის, როდესაც იგი დროის, ეპოქის თანხმეობა, წარმოაჩენს თანამედროვეობის პრობლემებს, მწვავე სოციალურ თუ პოლიტიკურ საკითხებს, სვამს კითხვებს და მაყურებელთან ერთად ეძებს პასუხებს, არსებული ვითარებიდან გამოსავლის გზებს.

თეატრი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ცვლიდა გამოსახვის ფორმებს, ხერხებს, ქმნიდა და დღესაც ქმნის სხვადასხვა მიმდინარეობას - შინაარსობრივი, სტრუქტურული თუ ფორმოებრივი თვალსაზრისით. ცვლილებისკენ კი არსებული დრო, ეპოქა თუ ვითარება უბიძგებს ხოლმე. პიტერ ბრუკის სიტყვებს თუ დავესესხებით, ნებისმიერი თეატრალური ფორმა კვდება, თუკი არ მოხდა მისი გადააზრება, ახლებური მიდგომა, რაც დროის გავლენით იქმნება.

ქართული თეატრი, თავისი არსებობის განმავლობაში, ყოველთვის თანამედროვე ცხოვრების ამსახველი იყო, ქართული სცენიდან ყოველთვის ისმოდა ქვეყნის, ხალხის სატკივარი. უფ-

რო მეტიც, მაჩაბელას დასის გმირული დაღუპვა, დამპყრობელ-თან წინააღმდეგ, კრწანისის ბრძოლაში, უპრეცედენტო ფაქტია მსოფლიო თეატრის ისტორიაში.

ჩემი კვლევის მიზანია წარმოვაჩინო, თუ როგორ, რა ფორმებით და ხერხებით პასუხობს, საქართველოში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენებს, ქართული თეატრი.

2024 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ ამბებს საზოგადოების მხრიდან მწვავე რეაგირება მოჰყვა. ხალხმა გაყალბებულ არჩევნებს, ქვეყნის საგარეო კურსის შეცვლას, ევროპიდან ოკუპანტი რუსეთისკენ შებრუნებას, მშვიდობიანი საპროტესტო აქციები დაუპირისპირა. სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან პროტესტს არაადეკვატური რეაქცია მოჰყვა. პოლიციური ძალები სასტიკად გაუსწორდნენ საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებს, 50 ახალგაზრდა აბსურდული ბრალდებებით დააპატიმრეს, მათ შორის მსახიობები - ანდრო ჭიჭინაძე და ვეფხია კასრაძე, ე.წ. სასამართლო პროცესები დღემდე მიმდინარეობს. სათეატრო მოღვაწეთა უმრავლესობა გაიფიცა. 100-დღიანი გაფიცვის შემდეგ თეატრებმა პროტესტის ფორმა შეცვალეს, დაუბრუნდნენ სათეატრო ფიცარნაგებს (შენობებსა თუ ქუჩებს) და დღეს, მრავალფეროვანი, მრავალმხრივი ფორმებით გამოხატავენ თავიანთ სათქმელს, ჩვენს ქვეყანასა თუ მსოფლიოში, მიმდინარე პოლიტიკურ-სოციალურ პრობლემებზე. თეატრები თავის ფუნქციას ასრულებენ, ისინი რეალისტური თუ პირობითი ენით, მაყურებელთან (საზოგადოებასთან, მოქალაქეებთან) აქტიურ, ქმედით კომუნიკაციას ამყარებენ.

არაერთი მნიშვნელოვანი სპექტაკლი დადგეს სხვადასხვა თაობის რეჟისორებმა სხვადასხვა თეატრში. გამოვყოფ რამდენიმეს, რომლებშიაც კლასიკური ნაწარმოებების ინტერპრტირებით მაღალმხატვრულად გადმოსცეს ჩვენ დროსთან მისადაგებული პოლიტიკურ-სოციალური პრობლემები. ესენია, უფროსი თაობის წარმომადგენლის, ლევან წულაძის - თეატრი სახელოსნო 42-ში - განხორციელებული ნიკოლაი გოგოლის ნაწარმოების მიხედვით „ცხვირი“, ახალგაზრდა რეჟისორის დათა თავაძის მარკიზ დე სადის ტექსტებზე აგებული „Liberté“ სამეფო უბნის თეატრში, გეგა გაგნიძის (სულ რამდენიმე წლის

წინ დაამთავრა უნივერსიტეტი) „იოსები“ ფრანკ კაფკას რომანის – „პროცესის“ მიხედვით, რომელიც თეატრი ათონელზე პროდუქციაა.

კრასიმირა ივანოვა,
ბულგარეთის თეატრისა და კინოს ხელოვნების ეროვნული
აკადემია (NATFA) „კრასტიო სარაფოვი“, სოფია

დიალოგი თეატრსა და კინოს შორის – ახალი მმბა-მიდგომა

თეატრსა და კინოს შორის კავშირები ჯერ კიდევ ხელოვნების პირველი ნაბიჯებიდან შეიმჩნევა. კინოში თეატრალურ ნაკვალევს ხშირად მიიჩნევდნენ სისუსტედ და წარსულის გადმონაშთად; არსებობს მოსაზრებები, რომ თანამედროვე თეატრში კინემატოგრაფიული მიდგომის არსებობა მოწმობს თეატრალური ფორმის კრიზისს.

წინამდებარე ნაშრომი აანალიზებს, აფერხებს თუ არა ორ ხელოვნებას შორის დიალოგი თვითგამოხატვის საშუალებების განვითარებას; ან პირიქით – ხელს უწყობს და ახალი ფორმების დაბადებას იწვევს.

მთავარი თეზისია, რომ არსებობს მაგალითები, რომლებიც ადასტურებს ახალი მეტა-ენის არსებობას – ენისა, რომელიც თეატრსა და კინოს შორის კავშირების პროდუქტია.

მოხსენება განიხილავს ამ დიალოგის სხვადასხვა გამოვლინებას ჟანრული, ეროვნული და საავტორო სტილის სპეციფიკების ტრილში და ცდილობს გამოავლინოს კინო-თეატრალური ურთიერთმედების შედეგები თანამედროვე ხელოვნებაში.

თეიმურაზ კეჟერაძე,
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

ესქილესა და ევრიპიდეს დრამა ანთიკური დრამის თეორიის საპიტიხისათვის

თეატრის დაბადების დღედ ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნე, 534 წელი ითვლება, როდესაც ათენში პირველი ბერძენი დრამატურგის, თესპისის, ტრაგედია წარმოადგინეს დიდ დიონისობაზე (ტრაგედიის სახელწოდება უცნობია). დრამისა და თეატრის წარმოშობისა და მისი ძირითადი ჟანრების პირველი მკვლევარი ფილოსოფოსი არისტოტელეა, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნეში მოღვაწეობდა. არისტოტელე თავის „პოეტიკაში“ ძირითადად ტრაგედიის, როგორც მაღალი ჟანრის დრამას აანალიზებს. პირველი ტრაგედია არისტოტელეს „პოეტიკას“ ორ საუკუნეზე მეტი აშორებს.

დრამის სწრაფმა განვითარებამ, რომელმაც ერთი საუკუნის განმავლობაში, პირველი დრამატული წარმოდგენებიდან, სადაც ჯერ კიდევ არასრულყოფილად იყო გამოვლენილი დრამატურგიული ფორმები, გაიარა გზა ანტიკური ტრაგედიისა და კომედიის კლასიკურ ნიმუშებამდე, დღის წესრიგში დააყენა თეატრისა და დრამის თეორიის წარმოშობა, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა თეატრალური პრაქტიკის პროგრესის დაჩქარება. პრაქტიკულად, სათეატრო პრაქტიკა წინ უსწრებდა თეატრის თეორიის ჩამოყალიბებას. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დრამისა და თეატრის განვითარება, სათეატრო რეფორმები, გაუზარებლად, სტიქიურად მიმდინარეობდა.

მე-6 საუკუნეში პირველი ათენელი დრამატურგის, თესპისის თეატრი ერთი მსახიობისაა, მე-5 საუკუნეში ტრაგედიის მამად წოდებული ესქილეს თეატრში ერთდროულად ორი მსახიობი მოქმედებს, სულ მალე სოფოკლესთან – სამი მსახიობი. ესქილე ქმნის ტრილოგიის სისტემას, სოფოკლე უარს ამბობს ტრილოგიაზე, შემოიღებს მოხატულ (ფერწერულ) დეკორაციებს, თეატრალურ პრაქტიკაში ქმნის სამი ერთიანობის მეთოდს (დრო,

მოქმედება, მოქმედების ადგილი), 15-მდე ზრდის ქოროს მსახიობთა რაოდენობას და სხვა.

დრამისა და თეატრის რეფორმები, ცხადია, დრამატურგებს უკავშირდება. დრამის თეორიის საკითხებით თავდაპირველად თავად თეატრის რეფორმატორები ინტერესდებიან. კომედიის მამად წოდებული ათენელი კომედიოგრაფი არისტოფანე თავის კომედიაში „ბაყაყები“ განიხილავს ესქილესა და ევრიპიდეს შემოქმედებას, რაც შეიძლება ჩაითვალოს დრამისა და თეატრის თეორიის საკითხების ანალიზის პირველ მცდელობად.

მარიკა მამაცაშვილი,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,

კლასიკური დრამატურგიის განსხვავებული რეჟისორული ინტერპრეტაციები

ისტორიული ძვრების დროს მსოფლიო კლასიკური დრამატურგია თავისკენ განსაკუთრებით ბევრ თეატრსა და მიყურებელს იზიდავს. საფრანგეთისათვის ომის შემდგომ პერიოდში ასეთი ერთ-ერთი პიესა მოლიერის „დონ ჟუანი“ აღმოჩნდა. ან ნაწარმოების ახალ-ახალი ვერსიების ნაკადი არ წყდება, მაგრამ ლიტერატურული წყაროები მოწმობენ, რომ ნაწარმოების თემის გადაწყვეტაში, ფილოსოფიური, სოციალური და ფსიქოლოგიური სპექტრების ჰარმონიულ გაერთიანებაში ჟან ვილარის ცნობილი სპექტაკლი მწვერვალად დარჩა.

„ვილარის დონ ჟუანმა შიგ გულში ტკივილითა და სიყვარულით განგმირა მთელი ერი. თავად ვილარისათვის დონ ჟუანი სამუდამოდ დარჩა მთელი ცხოვრების მთავარ როლად“.

ჟან ვილარი იწყებს აქტიურ ფიქრს მოლიერის პიესის ტექსტზე, ბუნებრივია, იბადება მისი რეჟისორული ხილვები, უღრმავდება სგანარელისა და დონ ჟუანის ურთიერთობას... დონ ჟუანის ამ რეჟისორულ ვერსიაშიც მთავარი სგანარელისა და დონ ჟუანის ურთიერთობაა. სპექტაკლში სგანარელი დანიელ

სორანო მოგვევლინა წინააღმდეგობრივ სახედ, რომელიც ერთდროულად მონასთან და მსხვერპლთან ერთად დონ ჟუანის ორეულიცაა. ეს არის ერთადერთი თანამოსაუბრე და მეგობარი დონ ჟუანისა. ამას გარდა, ამ სპექტაკლში დონ ჟუანი - ვილარი და სგანარელი -სორანო ერთ მთლიანობას შეადგენენ, ერთ გაორებულ პიროვნებას.

„სგანარელთან დიალოგი, არსებითად ეს არის საუბარი საკუთარ სინდისთან“...

რუსულ თეატრში ეფროსისეულმა დონ ჟუანმა განახლების სურნელი მოიტანა. რეჟისორი თავის წიგნში „რეპეტიცია - ჩემი სიყვარული“ წერს: „მას სულიერი სიმშვიდისათვის ესაჭიროება რაღაც თვითგამართლების მაგვარი რამ. სწორედ ამ მიზნით იწყებს იგი თავის მსახურთან ხანგრძლივ მოლაპარაკებას“.

მართლაც, ეფროსისეული (ალექსანდრე ვოლკოვი) უფრო საქმიანია, ის სგანარელში (ლლევ დუროვი) საკუთარ ორეულს კი არ ეძებს, არამედ უბრალო მოსაუბრეს, რომელიც დაავიწყებს, ცოტა ხნით მაინც, მიტოვებულ მეუღლეს.

ქართველი რეჟისორის, მიხეილ თუმანიშვილისთვის, კი დონ ჟუანი ზურაბ ყიფშიძე და სგანარელი ამირან მირიანაშვილი ერთმანეთის სრულ ანტიპოდს წარმოადგენენ. მიხეილ თუმანიშვილის სპექტაკლში დონ ჟუანი თითქოს იმისთვის ეკამათება სგანარელს, რომ კიდევ ერთხელ დარწმუნდეს საკუთარ უპირატესობაში ამ მეშჩანზე.

ნარინე სარგსიანი,
ერევნის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
ინსტიტუტის პროფესორი

ჟორჟ პიბოევი და მისი თეატრალური ხედვის საფუძვლები

მე-20 საუკუნის დასაწყისი, რომელიც მნიშვნელოვანი სოციალური და პოლიტიკური გადატრიალებებით იყო აღბეჭდილი, ასევე წარმოადგენდა თეატრალური ხელოვნების რადიკალური ინოვაციების ეპოქას. ამ პერიოდში რეჟისორის როლი სცე-

ნაზე უფრო და უფრო მნიშვნელოვანი გახდა, ხოლო ევროპაში ერთმანეთის პარალელურად განვითარდა სხვადასხვა თეატრალური მიმდინარეობა და მეთოდი. გლობალურმა გეოპოლიტიკურმა დაძაბულობამ დაარღვია თეატრის ტრადიციული საზღვრები და აიძულა ხელოვანები, ხელახლა დაესვათ კითხვა – რა, სად და როგორ შეექმნათ.

ამ ნაშრომში, სახელწოდებით „ჟორჟ პიტოევი და მისი თეატრალური ხედვის საფუძვლები“, განხილულია ჟორჟ პიტოევის (1884–1939) პროფესიული ცხოვრების ადრეული პერიოდი — ის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა ევროპული თეატრის ისტორიაში. როგორც პარიზში ჩამოყალიბებული გავლენიანი ჯგუფის Cartel des Quatre-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი, პიტოევმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თანამედროვე თეატრალური პრაქტიკის ჩამოყალიბებაში თავისი ინოვაციური სარეჟისორო სტილითა და მხატვრული ექსპერიმენტებისადმი ერთგულებით.

დაბადებული საქართველოში, სომხურ-რუსულ ოჯახში, და შემდგომში ძირითადად საფრანგეთში მოღვაწე, პიტოევი გახდა მოდერნისტული მოძრაობის ერთ-ერთი წამყვანი წარმომადგენელი, რომელიც ერთდროულად ეყრდნობოდა როგორც რუსულ, ასევე დასავლეთევროპულ თეატრალურ ტრადიციებს.

სტატია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პიტოევის ინოვაციური საქმიანობის ადრეულ პერიოდს – ანუ იმ ფაზას, რომელიც წინ უსწრებდა მის ცნობილ პარიზულ კარიერას. 1905 წლის რუსეთის რევოლუციამდე არსებული პოლიტიკური არეულობის წინასწარ განცდით, პიტოევების შეძლებული ოჯახი 1904 წელს საფრანგეთში გადასახლდა. სწორედ ამ გადამწყვეტი ნაბიჯის შემდეგ გახდა ჟორჟ პიტოევი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რეჟისორი საფრანგეთში. თუმცა, პარიზში წარმატების მიღებამდე, მას უკვე გავლილი ჰქონდა მნიშვნელოვანი თეატრალური გზა რუსეთში და შემდგომში შვეიცარიაში. ნაშრომი სწორედ ამ ნაკლებად შესწავლილ პერიოდს მიეძღვნა.

პიტოევის ამ პერიოდის დადგმების ანალიზის მეშვეობით კვლევა ხაზს უსვამს მისი თეატრალური ხედვის სათავეს – რომელსაც გამოარჩევდა მინიმალისტური ესთეტიკა, ფსიქოლოგიური სიღრმე და მსახიობზე ორიენტირებული მიდგომა. ეს ადრეული ნამუშევრები გახდა საფუძველი იმ სიახლეებისთვის,

რომლებიც მან შემდგომ Cartel des Quatre-თან ერთად განა-
ხორციელა და განსაზღვრა მისი შემოქმედებითი კრედოს ძი-
რითადი პრინციპები.

გიორგი სიხარულიძე,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ომი და ხელოვანი

1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დედაქალაქში საშინე-
ლი ტრაგედია დატრიალდა. ქვეყნის თავისუფლებისა და დამო-
უკიდებლობისთვის მებრძოლ ქართველ ახალგაზრდებს ბასრი
ნიჩბებითა და ტანკებით გაუსწორდა რუსული არმია. მაშინ ჩვენ
რუსთაველზე ვიდექით, იქ, სადაც ეს უბედურება მოხდა. ვიდე-
ქით ახალგაზრდა რეჟისორები და მსახიობები, მიხეილ თუმა-
ნიშვილის სტუდენტები.

გავიდა რამდენიმე თვე და ცრემლსადენი გაზით მოწამლუ-
ლები და სასწაულად გადარჩენილები სასწავლო პროცესის
გასაგრძელებლად ბატონ მიშას კინომსახიობთა თეატრში ვეწ-
ვიეთ, რადგან რუსთაველზე, იქ, სადაც ჩვენი ინსტიტუტი მდებარეობდა, შეუძლებელი იყო სწავლის გაგრძელება.

რამდენიმე კვირაში გამოცდების დროც დადგა და რეჟისო-
რებმა გადაწყვიტეთ, ნაწყვეტები, რომლებიც ბატონი მიშასთ-
ვის უნდა გვეჩვენებინა, 9 აპრილის მოვლენებთან დაგვეკავში-
რებინა. მე, უკვე ქართველ კლასიკოსად აღიარებული გურამ
დოჩანაშვილის „ორნი აქა-იქა“ დავდგი, რომელიც 9 აპრილის
ტრაგიკული მოვლენებიდან რამოდენიმე დღეში დაწერა ავ-
ტორმა.

როცა ბატონმა მიშამ შეაფასა ჩვენი ნამუშევრები, საოცარი
რამ გვითხრა. გაიხსენა სამამულო ომის (1941-1945) პერიოდი,
სადაც იბრძოდა და რამდენიმეჯერ ტყვედ ჩავარდნილი, თავა-
დაც სასწაულებრივად გადარჩა. „მას შემდეგ 44 წელი გავიდა
და თუკი რამეს ვდგამ, არ აქვს მნიშვნელობა ომის თემატიკა
იქნება, თუ ლირიული კომედია, ის ემოციური მდგომარეობა,

რაც მაშინ განვიცადე დღემდე მომყვება და ყველა ჩემს დადგ-
მულ სპექტაკლში აირეკლება“.

მაშინ, აბა რას წარმოვიდგენდით, რომ ჩვენი თაობა, არა თუ
9 აპრილის ტრაგედიის ემოციებით ვიქნებოდით გაჯერებულები,
არამედ ყოველ ათწლეულში ახალ-ახალი ომები და უბედურე-
ბები გველოდა. ის, რაც სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანას დაატყდა
თავს. 9 აპრილის ტრაგედიიდან წელიწადნახევარიც კი არ იყო
გასული, რომ ყველაზე საშინელი მოვლენა დაიწყო ჩვენს ქვე-
ყანაში - სამოქალაქო ომი. მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ თუ-
მანიშვილი ასკეტურად ემსახურებოდა ხელოვნებას, თეატრს
და მოწაფეების მიმართ მკაცრი და მომთხოვნი იყო, ჩვენთვის
არასოდეს აუკრძალავს საკუთარი პოზიციის დაფიქსირება ქვე-
ყანაში არსებული ყველა პოლიტიკური მოვლენის მიმართ.

და ჰოი, საოცრება, გარეთ ქვემეხები გუგუნებენ და თუმა-
ნიშვილი კინომსახიობთა თეატრში, შექსპირის „ზაფხულის
ღამის სიზმარის“ დადგმას იწყებს. უდიდეს შემოქმედს სურდა
გაუბედურებული, დატანჯული, ურთიერთდაპირისპირებული
საზოგადოება ზღაპრულ სამყაროში წაეყვანა და მათთან სიყ-
ვარულზე ესაუბრა. და მან ეს მოახერხა. სპექტაკლმა უდიდეს
წარმატებას მიაღწია, როგორც საქართველოში, ასევე ქვეყნის
ფარგლებს გარეთ.

უდიდესმა რეფორმატორმა, პედაგოგმა, რეჟისორმა დაან-
გრია მითად ქცეული „როცა ქვემეხები გუგუნებენ, მუზები სდუ-
მან“. პირიქით, მან ამ სპექტაკლით ფიცარნაგიდან იქადაგა, რომ
შემოქმედის მთავარი ამოცანაა, როცა სამყაროში ტყვიებისა და
ცეცხლსასროლი იარაღის ფეიერვერკია, უნდა მონახო ფორმა,
თეატრალური ენა, რომ ურთულეს, სტრესულ მდგომარეობაში
მყოფ ადამიანებთან შეძლო კომუნიკაცია და ისინი ხელოვნე-
ბის, თეატრის საშუალებით სამშვიდობოს გაიყვანო. ეს ერთე-
ულთა ხვედრია. ასეთი იყო მიხეილ თუმანიშვილი.

სპეტია სტეფანოვა,

მუსიკათმცოდნეობის დოქტორი, ბულგარეთის თეატრისა
და კინოს ეროვნული საკადემია „კრასტიო სარაფოვი“, სოფია

თოჯინა როგორც კულტურული და შემოქმედებითი იარაღი სამუსიკო განათლებაში

ეს კვლევა იკვლევს მუსიკალური ლიტერატურის დაწყებითი სწავლის ინოვაციურ მიდგომას, სადაც თოჯინები გამოიყენება როგორც შუამავლები მუსიკის, კულტურისა და ფანტაზიის შორის. მიზანია მონაწილეებმა – იქნება ეს ბავშვები, მოსწავლეები თუ სტუდენტები (თოჯინური თეატრის ტექნიკის შემსწავლელთა ჩათვლით) – მუსიკალური ელემენტები შეისწავლონ კულტურული, ეროვნული და სტილისტური მახასიათებლების კონტექსტში, თამაშისა და თეატრალური მეთოდების მეშვეობით.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო თამაშები აერთიანებს შემოქმედებით საქმიანობას კოგნიტურ ღირებულებასთან: სხვადასხვა ტიპის თოჯინებთან ურთიერთობისას – იქნება ეს ფიზიკური, მედიაზე დაფუძნებული თუ ციფრული ფორმატები – მონაწილეები ქმნიან ისტორიებს, ინსცენირებენ სცენებს კონკრეტულ სტილებში ან ისტორიულ ეპოქებში, სწავლობენ ადგილობრივ ტრადიციებს და ავითარებენ ფანტაზიურ დიალოგებს მუსიკალურ-კულტურული შინაარსით. ამ გზით, თოჯინა ხდება კულტურული ხიდი, რომელიც ხელს უწყობს არა მხოლოდ მუსიკის საბაზისო ცოდნის ათვისებას, არამედ ესთეტიკური, საშემსრულებლო და ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარებასაც.

მოხსენება გვთავაზობს პრაქტიკულ მოდელებსა და სცენარებს ამ მეთოდის საგანმანათლებლო კონტექსტში გამოყენებისთვის და ისწრაფვის ხელოვნების მეშვეობით ახალი, აქტიური, ემოციურად ჩართულ და კულტურულად დაკავშირებულ სწავლის ფორმების წახალისებას.

მანანა ტურიაშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
თეატრალის ფონდის ხელმძღვანელი

მსხვერპლშენიშვის თემა ქართულ შემოქმედებით აზროვნებაში

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, მსხვერპლის თემა, სამშობლოსთვის უანგარო თავგანწირვის მაგალითებზე დაყრდნობით, ისევ გახდა შემოქმედთა ინტერესის სფერო, შესწავლის საგანი და წარმოსახვისა და ფანტაზიის ბიძგი. ისტორიულმა ფაქტმა ქართული თეატრი კვლავ დააფიქრა მსხვერპლთშეწირვის წარმოშობის ფაქტსა და მის სახეცვლილებებზე. სხვადასხვა ჯურის მტრის შემოსევა და მასთან ბრძოლა საქართველოს ისტორიის განუყოფელი ნაწილია. თავდაცვის მიზნით საქართველოში არა ერთი ციხე-ქალაქი და ციხესიმაგრე აშენებულა, ზოგი მათგანი დღესაც დგას ჩვენი სამშობლოს მიწაზე და გვახსენებს, რანი ვიყავით და რა გვმართებს მომავალში.

1989-1991 წლებში კინომსახიობთა თეატრში მიმდინარეობდა მიხეილ თუმანიშვილის რეპეტიციები. რეჟისორი მუშაობდა ლაშა თაბუკაშვილის პიესა „ნატაძრალზე“. ნაწარმოები ეყრდნობა თქმულებას სურამის ციხეზე. ქართველ მეცნიერთა კვლევები არა ერთხელ შეხებია სურამის ციხის თემას. რეპეტიციებზე განიხილებოდა საკუთარი ნებით თუ ძალდატანებით სიკვდილის მექანიზმი და მსხვერპლის ახლობლების თუ ოჯახის წევრების მოტივაციების განსაზღვრა. ტარდებოდა სავარჯიშოები „მოლოდინის“, „ნისლში და წყალში ორიენტაციის“ თემებზე, რაც მტრის შემოსევის მოლოდინს უკავშირდებოდა - როცა ხალხმა არ იცის, ვინ და საიდან დაესხმება თავს.

ტაძრის მშენებლობა, მხოლოდ მივიწყებული სარწმუნოების აღდგენა-შენებას არ უკავშირდებოდა, ტაძარში ახალგაზრდა მიჯნურთა შეწყვილების შედეგი - სიმბოლურად ჩასახულ სიცოცხლეში სულიერების დაბადება უნდა ყოფილიყო.

რას და როგორ განიცდის კალატოზი, რომელმაც მსხვერპლშეწირვის აქტი უნდა განახორციელოს? რას და როგორ გზას გადის საკუთარი ნებით, თავისი და არა სხვისი სიცოცხლის

ხელმყოფი ჭაბუკი? როგორი იყო ქართველი ერი წარსულში და რა სულიერი მემკვიდრეობა დაგვიტოვა? რა იგულისხმება ქართველი ქალისა და მამაკაცის მოვალეობებში? რატომ დგას მამაკაცი ორგვარი სიყვარულის პირისპირ? როგორ იხლიჩება ადამიანის ცნობიერება, როცა სასწორზე დგას, ერთი მხრივ, სამშობლოს უანგარო მსახურების მოვალეობა და, მეორე მხრივ, სწორუპოვარი მიჯნურის მშვენიერება. რას წარმოადგენს ადამიანის მსხვერპლშეწირვა, სამაგიეროს მოთხოვნის სანაცვლოდ?

მიხილ თუმანიშვილის რეპეტიციებზე დაყრნობით, ისტორიული ფაქტი და მასში მონაწილე საზოგადოება თუ ცალკეული ადამიანი, სცენაზე „პირდაპირ“ არ უნდა ასახულიყო. შემოქმედი „გარედან“ უნდა აკვირდებოდეს ისტორიის ტრაგიკულ თუ სვებედნიერ პროცესებს, რომელთა ახსნის, ამოცნობის, ჭვრეტის შედეგს სცენაზე გადმოიტანს და დარბაზში შემოსული მაყურებელი ფიცარნაგზე თავის მიერ განცდილ, ნაცნობ სურათს დაინახავს, ხოლო პერსონაჟების ქცევებში თავის თავს შეიცნობს. მაყურებელთა დარბაზსა და სცენას შორის ენერგიათა ურთიერთგაცვლის პროცესი შედგება მხოლოდ მაშინ, თუ ხელოვნების მაღალი დონეა, საშუალო სიტყვა „ხელოვნების“ ფომულირებას არ წამოადგენს.

თამარ ქუთათელაძე,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის
დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო კვლევითი
ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი,
თეატროლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

„მესიჟები“ სპექტაკლებიდან (2024-2025)

მიმდინარე თეატრალური სეზონი როგორც სახელმწიფო პროფესიული თეატრების, ისე საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო თეატრის სცენაზე, გამოირჩეოდა არაერთი საინტერესო რეჟისორული თუ სამსახიობო ნამუშევრით. რამდენიმე პიესა პირველად დაიდგა ქართულ სცენაზე, მაგრამ კვლავაც გაგრძელდა გასული თეატრალური სეზონების ტრადიცია, ქართული რეჟისურა ისევ გვთავაზობს მრავალგზის დადგმული მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებისა“ თუ კოლხი მედეას ტრაგედიის ახალი თვალთახედვით გააზრებას.

ნაშრომში გაანალიზდება მიმდინარე თეატრალური სეზონის რამდენიმე შთაბეჭდავი დადგმის მთავარი გზავნილი. ყურადღება კონცენტრირდება სპექტაკლებზე - რეჟისორ ნიკა საბაშვილის მიერ დადგმული მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ („თოჯინების სახლი“), იუჯინ ო'ნილის „სიყვარული თელებს ქვეშ“ (რეჟისორი გიორგი ჩალაძე, კინომსახიობთა თეატრი) და „გრძელი დღის შემოღამება“ (რეჟისორი დიმიტრი ტროიანოვსკი, კინომსახიობთა თეატრი), გიორგი სიხარულიძის „ძაღლის გული“ (ავტ. მიხეილ ბულგაკოვი, თავისუფალი თეატრი), ლუკა ბაზაძის „მედეა“ (თბილისის კამერული თეატრი), საბა ასლამაზიშვილისა და გიორგი კაშიას „მსხვერპლი“ (ავტ. დავით კლდიაშვილი, რუსთაველისა და ფოთის თეატრები), საბა ასლამაზიშვილის „პატარა ცახესი ცინობერად წოდებული“ (ავტ. ჰოფმანი, ფოთის თეატრი), თეიმურაზ დვალის მიერ განხორციელებული ფლორიან ზელერის „შენ რომ მომკვდარიყავი“ (სასწავლო თეატრი), ტარიელ კუბლაშვილის „მანდრაგორა“ (ავტ. ნიკოლო მაკიაველი, სასწავლო თეატრი), სოსო ნემსა-

ძის „ანტიქრისტა“ (ავტ. ამელი ნოტომი, სასწავლო თეატრი). საინტერესოა აღნიშნული რომლებიც დადგმებიდან გაცხადებული მთავარი მესიჯები, ის პრობლემები თუ ღირებულებები, რაც მძაფრად იპყრობს ახალგაზრდა ხელოვანთა ყურადღებას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია თვალი მივადევნოთ იმ მთავარ მესიჯებს, რაც აერთიანებს მიმდინარე სეზონის ამ საინტერესო ნამუშევრებს. აღნიშნულ საკითხებზე ვიმსჯელებ ნაშრომში.

აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც გასულ წლებში, ამჯერადაც სტუდენტური ნამუშევრებიდან გამოიკვეთა რამდენიმე შთამბეჭდავი, საიმედო დამწყები შემოქმედის სახე (რეჟისორი, მსახიობი). ბუნებრივია, მათი რეჟისორული ნამუშევრისა თუ სამსახიობო ქარიზმის თაობაზეც შემოგთავაზებთ ჩემს მოსაზრებებს და თვალს მივადევნებთ მომავალ სეზონში მათ პროფესიულ ბრდას.

ლაშა ჩხარტიშვილი,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

უახლესი ქართული თეატრი ეპოქის კონტექსტში - პოლიტიკური პროცესის გავლენა თეატრზე და პირიქით

ნაშრომში განხილულია სათეატრო ხელოვნების და პოლიტიკური პროცესების ერთიანი კონტექსტი, მათი ურთიერთქმედება და გავლენა საზოგადოებრივ პროცესზე. ხელოვნება არასდროს ყოფილა გამიჯნული პოლიტიკური პროცესისგან.

თეატრალური ხელოვნების არსი არის საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემების წამოჭრა მხატვრული ფორმებით. შესაბამისად, ნებისმიერი სათეატრო პროდუქტი, რა თემაზე და პრობლემაზეც არ უნდა საუბრობდეს ის, დაკავშირებულია პოლიტიკასთან, მათ შორის, სოციალური, ეკონომიკური, საზოგადოებრივი საკითხები.

მკაცრი ცენზურისა და იდეოლოგიური ცენზურის პირობებშიც კი, ქართული თეატრი ქმნიდა მაღალმხატვრულ პროდუქტს, რომელიც გამოირჩეოდა აქტუალური პრობლემების სიმწვავეთ. ამისთვის მან დაამკვიდრა მეტაფორის ენა, რომელიც სიმბოლოებითა და სემიოტიკური ნიშნებით ესაუბრებოდა მაყურებელს.

უახლესი ქართული თეატრი (1991 წლიდან დღემდე), რომელიც გათავისუფლებულია იდეოლოგიური ცენზურისგან, არაერთხელ გამხდარა საზოგადოებრივი ცენზურის მსხვერპლი. იდეოლოგიური ცენზურა საზოგადოებრივმა ცენზურამ ჩაანაცვლა. მიუხედავად წინააღმდეგობისა, უახლესი ქართული თეატრის სცენებიდან კვლავაც ისმის მართალი და განსხვავებული სიტყვა, რომელიც საზოგადოების გამოფხიზლებას ცდილობს. 2024-2025 წლებში საქართველოში განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა კარგად აჩვენა თეატრის გავლენა პოლიტიკურ პროცესზე და პირიქით, როგორ ახდენს სათეატრო პროცესის პროვოცირებას ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესი.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია უახლესი ქართული თეატრის აქტუალური პრობლემები კონკრეტული ფაქტებისა და სპექტაკლების მაგალითზე თანამედროვე დროის კონტექსტში.

სანდრა რასვანა ჩერნატი,
იონ ლუკა კარაჯალეს თეატრისა და კინოს ეროვნული
უნივერსიტეტი, ბუქარესტი

**დიალოგები დროის მიღმა:
თანამედროვე რეჟისორები პირისპირ
კლასიკურ თეატრთან**

მოხსენება განიხილავს, თუ როგორ უყურებენ თანამედროვე თეატრის რეჟისორები კლასიკურ ტექსტებს. ისინი არ აღიქვამენ მათ როგორც სამუშეო არტეფაქტებს, არამედ მათში ხედავენ ცოცხალ მასალას, რომელსაც შეუძლია დღესდღეობით არსებული რეალობის ასახვა და კითხვების დასმა. სარეჟისორო ინტერპრეტაციები სცდება მხოლოდ თანამედროვე კოსტიუმებსა თუ გარემოს და მოიცავს დრამატურგიულ გადაწყვეტებს, ტექსტუალურ კოლაჟებს და რადიკალურ რეკონტექსტუალიზაციას, რაც ცვლის ორიგინალ ნამუშევრის დროით აღქმას.

ანალიზში განიხილება ფართო სპექტრის მაგალითები: პიტერ ბრუკის მინიმალისტური და გადატანილი ინტერპრეტაციებიდან, თომას ოსტერმაიერის პოლიტიკური და სოციალური შინაარსით დატვირთულ გადამუშავებამდე, კშიშტოფ ვარლიკოვსკის მრავალშრიანი დრამატურგიული კოლაჟებიდან, რობერტ აიკის (Player Kings, Oedipus) და რობერტ ლეჰაჟის (ჰამლეტის ტრაგედია: დანიის უფლისწული) ბოლო ექსპერიმენტებამდე.

ეს კვლევა ამხვილებს ყურადღებას იმაზე, თუ როგორ აგებენ ეს დადგმები ხიდებს სხვადასხვა ეპოქებს შორის, კლასიკურ ტექსტებზე დაყრდნობით ქმნიან აქტუალურ საზოგადოებრივ დისკურსს და ქმნიან ახალ ფორმებს. ამ კონტექსტში დრო აღარ არის უბრალოდ ფონი – ის ხდება შემოქმედებითი პარტნიორი, სადაც წარსული, აწმყო და მომავალი თანაარსებობს სცენაზე.

თამარ ცაგარელი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თეატრმცოდნე.
თბილისის მერიის მუზეუმების გაერთიანების მეცნიერ-
მკვლევარი

ქმედება თუ ხდომილება?!

*„თეატრი-ყველაზე მშვენიერია, რამეთუ
იგი ხელოვნებასა და ცხოვრებას შორის მდებარეობს“
თადეუშ კანტორი*

XXI საუკუნის ქართული თეატრი პარადოქსულობით გამო-
ირჩევა. მასში აისახა დრო, რომელმაც შექმნა რეალობა და
დრო, რომელიც აღზევდა სცენაზე.

მართლაც, რომ პარადოქსულია ჩვენი სინამდვილე. კლასი-
კურ ღირებულებათა რევიზიამ, თითქმის, ჯვაროსნული ლაშქ-
რობის სახე მიიღო. თავგზააბნეული ადამიანი კრიზისის მიზეზს
ტრადიციულ ღირებულებათა წიაღში დაეძებს, რათა თავი გაი-
მართლოს, საკუთარი უუნარობითაც რომ გააქრო პირველქმ-
ნილი ჰარმონია. ადამიანი გაუცხოვდა საკუთარი არსისგან და
აგრესიული გახდა. საზოგადოება ვალდებულია გააცნობიეროს
რეალობა და განჭვრიტოს პერსპექტივა, მაშინ, „როცა შიმშილის
საფრთხე რეალურია, როცა განათლება პრივილეგიაა და არა
უფლება, როცა თვითგამოხატვა პროპაგანდაა თან მაშინ, როცა
ნამდვილი პროპაგანდა რეალობას გვიყალბებს, როცა არტის-
ტები კულტურული შიმშილით კი არა პურის შიმშილით იღუპე-
ბიან“ – „ნულარ გამოხვალ ოთახიდან“ (დრამატურგი და რეჟი-
სორი ქეთევან სამხარაძე)

ჰოდა, სანამ არ იმოქმედებ, ეს „ნაგავიც“ სრულიად დაგაკ-
მაყოფილებს, მით უფრო მაშინ, როცა ჩვენ იქით, არც ევროპაა,
არც აზია – ჩვენ იქით უიმედობაა და სანამ ჩვენ ველარ ვიყიდით
პურს და ველარ გავაკეთებთ ტყუილ სუპს, ევროპული ოჯახი
უარგვყოფს და დავიღუპებით!

ამჯერად კი, ვისაუბროთ პოლიტიკურ ფარსზე და მის შემადგენელ ნაწილებზე, რომელიც, 2025 წლის 6 ივნისს, ქალაქის თეატრმა ქეთევან სამხარაძის რეჟისორობით წარმოგვიდგინა.

მარინა ხარატიშვილი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

რობერტ სტურუას „მიჯაჭვული პრომეთე“ დროის კონდიქსში

რობერტ სტურუას სპექტაკლი „მიჯაჭვული პრომეთე“ თვალნათლივ წარმოაჩენს სათეატრო ხელოვნების განვლილი გზის თავისებურებებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია რეჟისორული ძიებანი სასცენო ხელოვნების გამომსახველობით საშუალებათა მიგნების, მოქალაქეობრივი პოზიციის გამოკვეთის თვალსაზრისით.

რობერტ სტურუას დადგმული სპექტაკლი უპირველესად ინტელექტუალური რეჟისორული თეატრის ნიშნით გამოირჩევა. იგი უდავოდ მაყურებელზე გათვლითაა შემადგენელი. სპექტაკლი მოტივირებულია რეჟისორის როგორც პიროვნების და მოქალაქის, ისე მისი ქვეყნის სოციალ-პოლიტიკურ მოვლენათა შეფასებით. ანტიკური დრამა თავისი პოლიტიკური არსით და გამოსახვის ფორმებით, ეხმიანება რეჟისორის ამჟამინდელ განწყობას. მითოლოგიის სასცენო ადაპტაცია ესქილეს ტრაგედიით, გვაფიქრებინებს არა მარტო ამბის ტრაგიზმზე, არამედ უფრო მასშტაბურ პრობლემაზე – რა ელის კაცობრიობას ხვალ, თუ დღეს ჯეროვნად არ მოხდა ყოველი ეპოქისათვის დამახასიათებელი მანკიერების გააზრება და მისი შეცვლა. რეჟისორი მარადიულ პრობლემათა გასააზრებლად უხმობს მაყურებელს.

რეჟისორი უბრუნდება ანტიკურ ეპოქას, კაცობრიობის იმ პერიოდს, როდესაც აღმოცენდა სახელმწიფო, დემოკრატია, იმპერიული სულისკვეთება. ანტიკურ ბერძნულ დრამატურგიაში ცდილობს თანამედროვე აზროვნებით, ტექნიკური საშუალე-

ბებით წარმოაჩინოს პროფესიული თეატრის საწყისი ეტაპის თავისებურება, გაამდიდროს თანამედროვე ტექნიკურ მიღწევათა გამოყენებით (განათების, ხმაურის, მუსიკალური პარტიტურის უხვი გამოყენებით) და დამუხტოს სანახაობის თანამედროვე სულისკვეთებით. სპექტაკლის სიტყვის და ფიზიკური მოქმედების თანახმიერება სანახაობის მხატვრულ-ესთეტიკურ სურათს ქმნის. სპექტაკლი თვალნათლივ წარმოაჩენს რობერტ სტურუას ხელწერის თავისებურებებს, მისი შემოქმედების იდუმალებას.

რეჟისორი ცდილობს სათეატრო ქმედების ენაზე დღევანდებლობის ურთულესი ეპოქალური მოვლენები წარმოაჩინოს. ის ყოველთვის უპირველესი გამომთქმელია იმ აქტუალური პრობლემებისა, რომლებიც აღელვებს მას, როგორც შემოქმედს. ის ყოველთვის თამამი და უშიშარია.

კინოშპოვნობა

იოსიფ ასტრუკოვი,
ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის
ხელოვნებათმცოდნეობის ინსტიტუტის ასოცირებული
პროფესორი, დოქტორი

სარკის მიღმა - რამდენად შავბნელია მომავალი?

სულ რამდენიმე თვის წინ დაიწყო სერიალ „შავი სარკის“ მორიგი - მე-7 სეზონი. „შავი სარკე“ (2011 წლიდან) რადიკალურად განსხვავდება დღეს ონლაინ სტრიმინგით გადაცემული ყველა დანარჩენი სერიალისგან. როგორც წესი, მკვლევართა უმრავლესობა ყურადღებას ამახვილებს ერთ კონკრეტულ ეპიზოდზე: ესაა 2018 წლის ინტერაქტიური სერია „ნადირი“ (Bandersnatch). მიუხედავად იმისა, რომ აუდიტორიას შეეძლო ინოვაციურ ციფრულ ვარიანტებს შორის არჩევანის გაკეთება და Netflix-ის პლატფორმაზე შესანიშნავად შესრულებული ერთი ისტორიიდან მეორეზე გადასვლა, ამ ეპიზოდს მაინც აკლდა ბევრი სხვა სერიისთვის დამახასიათებელი პროვოკაციული და სიღრმისეული გზავნილები. კინოს ისტორიის ყველა სპეციალისტმა კარგად იცის, რომ 1960-იანი წლებიდან მოყოლებული, ბევრი ინტერაქტიური ექსპერიმენტი ჩატარდა. რა თქმა უნდა, დღეს ციფრული ტექნოლოგიები და სტრიმინგის პლატფორმები იძლევა შესაძლებლობების ფართო არჩევანს აუდიტორიასთან ურთიერთქმედებისთვის, მაგრამ სერიალ „შავი სარკის“ მთავარი განმასხვავებელი ნიშანი მაინც ფორმატსა და შინაარსში უნდა ვეძებოთ. სხვა სერიალების უმრავლესობისგან განსხვავებით, აქ ყველა სერია თავისთავად წარმოადგენს დამოუკიდებელ ფილმს განსხვავებული ამბით, მსახიობებით, თემით. ისინი არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი და მიზნად არ ისახავენ უფრო ფართო ისტორიის შექმნას მთელი სერიალის განმავლობაში. დრამატურგიული თვალსაზრისით ეს სამეცნიერო ფანტასტიკაა, თუმცა მასში წამოჭრილ თემებს მე „შუალედურ რეალობას“ ვუწოდებდი, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის რადიკალურად განსხვავებულ ხასიათს. სერიალში შექმნილი რეალობა, ძირითადად, ჩვენი დღევანდლობის მსგავსია, ოღონდ ოდნავ უფრო პროგრესული, და იყენებს

ჩვენს ტვინში ჩანერგილი ნერვული ინტერფეისის (ჩიპი) მსგავს კონკრეტულ ტექნოლოგიას, რომელიც უკვე არსებობს ჩვენ გარშემო და რომელსაც შეუძლია, მაგალითად, ჩვენი აღქმების (მხედველობა და სმენა) შენახვა და გადაცემა. ამ მომცრო და, ერთი შეხედვით, არც თუ ისე შთამბეჭდავ ტექნოლოგიას სერი-ალში რადიკალური გარდატეხა შეაქვს ჩვენს ურთიერთობებში, საზოგადოებაში და სამყაროში. ბევრი სერია მსგავსი ფაბულის გარშემო ტრიალებს: მომცრო ტექნოლოგია, რომელსაც სამყაროს თავდაყირა დაყენება შეუძლია. ავტორების მიერ შექმნილი ეს „შუალედური რეალობა“ დღესაც და მომავალშიც იძლევა ბევრი კითხვის დასმის საშუალებას: სად ვართ ჩვენ? საითკენ მივემართებით, როგორც საზოგადოება? აქვს თუ არა ტექნოლოგიებს საზღვარი? რანი ვართ ჩვენ, როგორც ადამიანები? როგორი რეაქცია უნდა გვქონდეს? და კიდევ ბევრი სხვა. სათაური „შავი სარკე“ არის გამორთული ციფრული ეკრანის მეტაფორა. ამ გზით შექმნილი ბნელი „სარკე“ ირეკლავს ჩვენს სახეებს, როცა მასში ვიყურებით. მთავარი კითხვა კი მდგომარეობს შემდეგში: რას ვხედავთ?

წინამდებარე სტატიაში ჩვენ თვალყურს ვადევნებთ და ვაანალიზებთ ამ სერიალს და მის ძირითად თემებს და საკითხებს, რომლებიც ეხება ჩვენს ციფრულ რეალობას და ინფორმაციასთან დაკავშირებულ მწეობრივ პრობლემებს, კონტროლს, ეგრეთწოდებული ხელოვნური ინტელექტის აქტუალურ საკითხს, სახეცვლილ ურთიერთობებს და საზოგადოებას და ა.შ.

მარიამ ახალკაცი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის
კინომცოდნეობის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი,
ხელმძღვანელი - ლელა ოჩიაური

ნარკომანების მორალური სახე კინოში - დროში ცვლილებებისა და დროის მიღმა

საკონფერენციო თემა ეხება ნარკომანიას - მეტად რთულ და აქტუალურ პრობლემას, რომლითაც დაინტერესებულნი არიან, როგორც თანამედროვე, ასევე, უფრო ადრეული პერიოდის რეჟისორები.

ნაშრომში გაანალიზებულია, როგორ ასახავს კინო, დროის ცვლილებასთან ერთად, ნარკომანიის საკითხს; როგორ ხედავენ რეჟისორები, თუ როგორ ანადგურებს პიროვნებას ნარკოტიკი. და იცვლებიან თუ არა ნარკოტიკების მომხმარებლები, მორალური თვალსაზრისითაც, დროისა და ეპოქის ცვლილებასთან ერთად.

ნაშრომში განვიხილავ ფილმებს - „სიდი და ნენსი“, (რეჟისორი ალექს კოქსი, 1986), „კალათბურთელის დღიურები“, (სკოტ კალვერტი, 1995); „სუბორდინაცია“, (არჩილ ქავთარაძე, 2007), „ქუჩის დღეები“, (ლევან კოლუაშვილი, 2010), მათზე დაყრდნობით, ვიკვლევ, არსებობს თუ არა განსხვავება, ეპოქათა შესაბამისად და ორი სხვადასხვა სამყაროს წარმომადგენელი რეჟისორის ხედვებსა და დამოკიდებულებებს შორის, ნარკომანიის თემაზე.

ელეონორა გოგოლაშვილი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
ხელმძღვანელი – ლელა ოჩიაური

თანამედროვე იგავური კინო. დროის დინამიკა და სოციალური ტრანსფორმაციები

ნაშრომში გაანალიზებულია თანამედროვე იგავური კინოს საკითხები, რომლებიც დროისა და სოციალური გარდაქმნების კონტექსტში ადამიანის ყოფასა და სულიერ მდგომარეობას ასახავენ.

იგავური კინო, როგორც ესთეტიკური და ფილოსოფიური ფორმა, ქმნის ნარატივს, რომელიც სცილდება დროის ხაზოვან აღქმას და სიმბოლურ, ციკლურ ან შეჩერებულ დროით სივრცეს მოიცავს.

კვლევა ეფუძნება XXI საუკუნის მსოფლიო კინონიმუშების ანალიზს. მასში განხილული ფილმები ხასიათდებიან მინიმალისტური ესთეტიკით, არქეტიპული პერსონაჟებითა და რთული, ხშირად, მორალურად, არაერთმნიშვნელოვანი სიტუაციების გაშლით. მათში შექმნილია პარაბოლური სტრუქტურები, რომლებიც არა მხოლოდ კონკრეტულ სოციალურ გარემოებებს ასახავენ, არამედ აგებული არიან უნივერსალურ გზავნილებზე ადამიანის შინაგანი და გარემომცველი სამყაროების შესახებ.

კვლევაში განხილულია დროის, როგორც აქტიური ძალის მნიშვნელობა, რომელიც კინოში ხან შლის ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას, ხან კი ააქტიურებს მეხსიერებას, მეტაფიზიკურ წინასწარმეტყველებას ან მორალურ დილემებს.

თანამედროვე იგავური კინო ამ გზით ასახავს – პოლიტიკური ჩაგვრის საკითხებს, მიგრაციის გამოწვევებს, ეკოლოგიურ პრობლემებსა და ციფრულ ეპოქაში ინდივიდის გაუცხოებას.

ნაშრომში გამოკვლეულია ხელოვნების როლი თანამედროვე სამყაროში, გაანალიზებულია, თუ როგორ იქცევა კინემატოგრაფი, დროსთან კონტექსტში, არამხოლოდ მოვლენების ასახვის, არამედ განსჯისა და გარდაქმნის ინსტრუმენტად.

ზვიად დოლიძე,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

„თეთრი ტელეფონების“ კინო

ფაშისტურ იტალიაში ადგილობრივ კინოხელოვანთა დიდი ნაწილი ცდილობდა გადაეღო ისეთი კინოპროდუქცია, რომელშიც არ იქნებოდა არათუ სოციალური, რელიგიური თუ პოლიტიკური კრიტიკა, არამედ ანტისახელისუფლებო ალევორიებიც ან ირონიული დამოკიდებულებებიც საგნებისა და მოვლენებისადმი. ჰოლივუდმა, მას შემდეგ, რაც წარმატებით გაახმოვანა და გააფერადა კინო, კვლავ იგდო ხელთ ბატონობა მსოფლიო კინობაზრებზე, მათ შორის, აპენინის ნახევარკუნძულზეც და იქაური კინოთეატრები გადაავსო მსუბუქი რომანტიკული კომედიებითა და მელოდრამებით, რომლებიც აქებდნენ და ადიდებდნენ ამერიკული ცხოვრების წესს, ხაზს უსვამდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც საუკეთესო ქვეყნის უპირატესობას. ამგვარი ფილმების აბსოლუტური უმეტესობა მთავრდებოდა „ბედნიერი დასასრულით“ და მაყურებლის მოწონებას იმსახურებდა.

სწორედ ასეთ კინოსურათებთან საკონკურენციოდ, 1930-იან წლებში ეკრანებზე გაჩნდა იტალიური კინოკომედიები და მელოდრამები, რომლებშიც აჩვენებდნენ საშუალო და ელიტარული კლასის წარმომადგენლების უდარდელ ცხოვრებას მცირეოდენი ინტრიგებითა და სახალისო თავგადასავლებით. თითოეული მათგანის ინტერიერული გადაღებისათვის იყენებდნენ ფეშენებელურ ვილებსა და ბინებს, რომელთა მცხოვრებლები ხშირად ესაუბრებოდნენ ნათესავებს, მეგობრებსა თუ კოლეგებს თეთრი ფერის ტელეფონებით. ამ გარემოებამ შვა ახალი ტერმინი „თეთრი ტელეფონების“ კინო, რომელიც კინოისტორიკოსებმა იმთავითვე აღიარეს ახალ ჟანრად და აქტიურად შეუდგნენ მის რეკლამირებას არა მარტო ქვეყნის, არამედ მსოფლიო მასშტაბით.

მართალია, „თეთრი ტელეფონების“ ფილმების ერა დიდ-
ხანს არ გაგრძელებულა, თუმცა ამ ნამუშევრებმა მაინც საჭირო
გავლენა იქონიეს იტალიური ეროვნული კინოს შემდგომ გან-
ვითარებაზე, განსაკუთრებით კი, ახლო მომავალში აღმოცენე-
ბულ ნეორეალიზმზე, როგორც მათ საწინააღმდეგო გამოვლი-
ნებაზე, და მოგვიანებით გაჩენილ, პოპულარულ კინოჟანრზე,
„კომედია ალ'იტალიანაზე“ („იტალიური სტილის კინოკომედი-
აზე“).

თამთა თურმანიძე,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

ბახანბრძლივებული 90-იანი წლები ქართულ კინოში

ქვეყნის თავს დამტყდარი დრამატული პოლიტიკური, სოცი-
ალური თუ კულტურული ცვლილებები, მომხდარის გააზრებას,
მიზეზებისა და შედეგების ანალიზს და შეფასებას მოითხოვს.
მიღებული ტრავმებისგან განსაკურნებლად, ერთგვარი საყო-
ველთაო რეფლექსიის პროცესი, უმეტეს შემთხვევაში, ხელოვნებაში მიმდინარეობს, რომელიც განვითარებულ მოვლენებს
სწორ შეფასებას აძლევს და საბოლოო კათარზისის საშუალებასაც იძლევა.

შემთხვევითი არ არის, რომ 1990-იანი წლები ერთ-ერთი
განმეორებადი თემაა თანამედროვე ქართულ კინოში. ეს იყო
მეტისმეტად რთული და მტკივნეული დრო – ბევრი რამის გა-
დაფასებისა და კიდევ უფრო მეტის გაუფასურების წლები. სამ-
ხედრო კონფლიქტები, სამოქალაქო დაპირისპირება, დანა-
შაულებრივი სამყაროს გააქტიურება, შეიარაღებული ხალხი
ქუჩაში და ა.შ. ამ ყველაფრის ფონზე კი, განადგურებული ეკო-
ნომიკა, საყოველთაო გაჭირვება, სიბნელე, შიში, უიმედობა და
ცხოვრების შეცვლილი რიტმის მიღმა დარჩენილი ადამიანები.

90-იანი წლების მტკივნეული გამოცხილი დღემდე იგრძნობა ქართულ საზოგადოებაში. რეალურად, კითხვები გაცილებით მეტი დარჩა, ვიდრე პასუხები და შესაძლოა, სწორედ ამიტომ არ წყდება რეფლექსია ამ თემაზე. მაგრამ რეფლექსია, პირველ რიგში, სიმართლისთვის თვალის გასწორებას გულისხმობს, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება წარსულის შეცდომების გააზრება.

საინტერესოა გავაანალიზოთ, თუ როგორ აისახა 90-იანი წლების ქართული რეალობა კინოში, როგორი გმირები მოიყვანა ამ პროცესმა ეკრანზე და რამდენად გულწრფელი და მართალია ამ თემაზე გადაღებული ფილმები. რატომ რჩება მაცურებელს, მიუხედავად ამ თემაზე გადაღებული ფილმების სიუხვისა, სათქმელის ბოლომდე გამოუთქმელობის განცდა.

ბარბარე კალაჯიშვილი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
სამეცნიერო ხელმძღვანელი - ქეთევან ტრაპაიძე

**იდენტურობის დისოციაციური აშლილობა:
ილუზია თუ რეალობა?
ალფრედ ჰიჩკოკის „ფსიქოდან“ და დევიდ
ფინჩერის „მებრძოლთა კლუბის“ მაგალითზე**

მოხსენებაში - „იდენტურობის დისოციაციური აშლილობა: ილუზია თუ რეალობა?“ ალფრედ ჰიჩკოკის „ფსიქოდან“ დევიდ ფინჩერის „მებრძოლთა კლუბამდე“ - განხილულია, თუ როგორ გამოხატავს დროისა და კულტურულ კონტექსტებს პიროვნების გაორების (დისოციაციური იდენტობის აშლილობის) საკითხი კინემატოგრაფში, ალფრედ ჰიჩკოკის საკულტო ფილმის „ფსიქო“ (1960) და დევიდ ფინჩერის „მებრძოლთა კლუბის“ (1999) ანალიზის საფუძველზე, რომელიც ამ თემას სრულიად ახალ, პოსტმოდერნული რაკურსით ასახავს.

კვლევის მიზანია, გამოიკვეთოს, როგორ შეიცვალა პიროვნების გაორების აღქმა და მხატვრული ინტერპრეტაცია კინოში სხვადასხვა ეპოქაში.

ამგვარი ცვლილებები და შეხედულებები ზუსტად ასახავენ ამა თუ იმ პერიოდისთვის დამახასიათებელ, საზოგადოებაში არსებულ ფსიქოლოგიურ თუ სოციალურ შიშებს, აქტუალურ კითხვებსა და მეცნიერულ პროგრესს.

ნაშრომში განხილულია, რამდენად რეალისტურად თუ აბსტრაგირებულადაა ნაჩვენები ადამიანის ეს მდგომარეობა ეკრანზე და როგორ აღიქვამს, სხვადასხვა დროში, მაყურებელი ამ ყველაფერს.

ნაშრომში გაანალიზებულია და გამოკვეთილია ფილმების თხრობითი სტრუქტურის, სარეჟისორო გადაწყვეტის ხერხები-სა და პერსონაჟების ფსიქოლოგიური მდგომარეობის განსხვავებული ასპექტები, რომლებიც მათი შინაგანი კონფლიქტის გამოვლენისა და გაორების საკითხის გამოხატველია.

კინემატოგრაფს არსებითი მნიშვნელობა აქვს საზოგა-

დოების, პიროვნების რთული ფსიქოლოგიური ფენომენების გასაგებად, რაც რეალობასა და ილუზიას შორის არსებული საზღვრების გადაფასების შესაძლებლობას ქმნის. მოხსენებების მთავარი ამოცანა სწორედ ამ მოცემულობაზე დაკვირვება, „ილუზიასა“ და „რეალობას“ შორის ზღვარის დადგენა ან მისი „პირობითობის“ ფაქტორის ამოხსნაა.

გვანცა კუპრაშვილი,
საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის
ისტორიის მუზეუმის აფიშების ფონდის ხელმძღვანელი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი კინოს მიმართულებით

„ანიმაციური პასუხი საბჭოთა ხელისუფლებას“

საკონფერენციო თემა „ანიმაციური პასუხი საბჭოთა ხელისუფლებას“ აგებულია ხელოვნების სასახლის ხელნაწერთა და საარქივო დოკუმენტთა ფონდში დაცული საარქივო მასალისა და ზოგიერთი დოკუმენტის ანალიზზე. ყურადღება გამახვილებულია წერილებისა და მოგონებების მნიშვნელოვან ეპიზოდებზე, რომლებიც საკმაოდ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის მიხეილ ჭიაურელის ცხოვრების პერიოდის თავისებურებებსა და თვით რეჟისორის პოზიციაზე. წყაროებიდან ვიგებთ ხელოვანისა და საბჭოთა ბელადის შემოქმედებითი ურთიერთობის ნიუანსებზე, რომლებშიც კარგად იკითხება სტალინის გარდაცვალების შემდგომი პერიოდის გამანადგურებელი გავლენა ხელოვანის, როგორც პიროვნების, ბედსა და მის ნამოღვაწარზე.

დრო და ხელოვანი ურთიერთშემოქმედებენ: დრო, თუ ხელოვანი სუსტი ფსიქიკისაა, ხერხემალში სტეხს მას, მაგრამ თუ შემოქმედი სულიერად ძლიერი ადამიანია (მიხეილ ჭიაურელის მსგავსად), მაშინ ის დროისა და რეჟიმის პირობებს თავის სასარგებლოდ იყენებს, რაც მკაფიოდ ჩანს მიხეილ ჭიაურელის შემოქმედებაში. მან სტალინთან მეგობრობა (სხვების მსგავსად ისიც ყოველ ღამე ელოდა კარზე ჩეკისტების კაკუნს) გამოიყენა თავისი ნიჭის მაქსიმალურად გამოსავლენად, ეს იყო რეჟიმის მოთხოვნაზე მორგებული ხელოვნება. მოგვიანებით, სტალი-

ნის გარდაცვალების შემდეგ, ახალმა ხელისუფლებამ წინამორბედთან მეგობრობის გამო, მას რეგალიები ჩამოართვა და სვერდლოვსკში გადაასახლა.

ხელისუფლებასთან მრავალი თხოვნისა და მოთხოვნის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულმა, თითქოს გულგატეხილმა და ხელჩაქნეულმა რეჟისორმა (ასე ფიქრობდნენ მასზე) ახალი ხედვით გააგრძელა თავისი შემოქმედება. გაიხსენა ახალგაზრდული გატაცება და ანიმაციაში მოვიდა, როგორც ახალი სათქმელის მქონე, მოაზროვნე, თანამედროვე შემოქმედი.

მოცემულ თემაში მოკლედ, მაგრამ საფუძვლიანადაა გამოკვეთილი მიხეილ ჭიაურელის ანიმაციური პერიოდის სიმბოლურ-ალეგორიული ხასიითი, ასევე ანიმაციური ჩანახატები, რომელიც სამეცნიერო კვლევას საჭიროებს.

მაია ლევანიძე,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

ქართული დოკუმენტური კინო: რეალობის მკრანული ინტერპრეტაცია

დოკუმენტური კინო წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მედიასაშუალებას, რომელიც რეალობის ასახვის პარალელურად აფასებს და ახლებურად ახდენს სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ პროცესების ინტერპრეტაციას. დოკუმენტური კინო თავისი არსით ხშირად პოლიტიკურია, ვინაიდან მასში გადამწყვეტ როლს თამაშობს სუბიექტი – თუ ვინ დგას კამერის მიღმა, როგორია ავტორის შინაგანი მრწამსი, მოქალაქეობრივი პოზიცია, ინტერესთა სფერო. დოკუმენტალისტი არა მხოლოდ დამკვირვებელია, არამედ აქტიური ინტერპრეტატორი. თანამედროვე კვლევებში, რომლებიც ეძღვნება დოკუმენტურ კინოს, ხშირად განიხილება რეჟისორის, როგორც „მონაწილე-მეთვალყურის“ როლი, რომელიც გარდაქმნის ტრადიციულ ობიექტურობის პრინციპს და მიმართულია დია-

ლოგური, რეფლექსიური კინოსკენ.

დოკუმენტური კინო იქცევა ერთდროულად მეხსიერების მედიუმად და ისტორიის რედაქტორად. რეჟისორი, რომელიც იყენებს როგორც მიმდინარე მოვლენებს, ისე არქივის მასალებს, ახდენს დროის გადახედვას, რეკონსტრუქციასა და ახალ კონტექსტში გადმოტანას.

დღეს, თანამედროვე ქართული დოკუმენტური კინოში, გაჩნდნენ ავტორები, რომლებიც ცდილობენ წინ წამოწიონ ქვეყანაში არსებული მწვავე სოციალურ-პოლიტიკური გარემოს, პრობლემების ანალიზი. გაჩნდა ახალი ავტორები და ფილმები: ლუკა ბერიძის „ღიმილიანი საქართველო“. გიორგი ვარსიმაშვილის „სასტუმრო მეტალურგი“ კესო ჭელიძის „მკვდარი სულების არდადეგები“, სალომე ჯაშის „ბახმარო“ და „მოთვინიერება“, რომელთაც ახალი ტენდენციები წარმოქმნეს ქართულ კინოდოკუმენტალისტიკაში.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა დოკუმენტური კინოს სპეციფიკისა და თავისებურების, თანამედროვე ქართული დოკუმენტური კინოს ძირითადი ტენდენციებისა და ეპოქის საავტორო ინტერპრეტაციის საკითხების ანალიზს.

მანანა ლეკბორაშვილი,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

ექსპლუატაციური კინო - წარსული და დღევანდელი

ტერმინის სხვადასხვაგვარი გამოყენების გამო, სტატიის უპირველეს ყოვლისა, განამტკიცებს ტერმინის იმგვარ გაგებას, რომ ეს არ არის ჟანრი, არამედ ფილმების კატეგორია, საერთო დამახასიათებელი ნიშნებით. ზოგადად, ავტორი განიხილავს ექსპლუატაციურ კინოს, როგორც ჟანრული ფილმების ნაირსახეობას, რომელიც სწრაფი მოგების მიზნით ექსპლუატაციას

უწევს საზოგადოებისთვის აქტუალურ, ან მასში მძაფრი ინტერესის გამომწვევ თემებს. სტატიაში გაანალიზებულია მისთვის დამახასიათებელი ძირითადი თემები და მათი ეკრანული ხორცშესხმის ზოგადი პრინციპები.

თუმცა ტერმინი ადრეც გამოიყენებოდა, სტატიის განსაკუთრებული ინტერესის საგანია ექსპლუატაციური კინოს გაფურჩქვნის ხანა - 1950-1960-იანი წლები, როდესაც ძვრებმა ომის-შემდგომი ამერიკის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში გამოიწვია არსებითი ცვლილებები საზოგადოებაში ზოგადად და, კერძოდ, კინოაუდიტორიაშიც. ექსპლუატაციური კინო ვითარდება და იცვლის სახეს, როგორც პასუხი ამ ცვლილებებზე და საზოგადოების ახალ მოთხოვნებზე.

სტატიაში განხილულია ის თვისებები, რომლებიც იწვევს ამ პერიოდის ექსპლუატაციური ფილმების მიმართ მაყურებლის ინტერესს წლების განმავლობაში და მათი მნიშვნელოვანი ნაწილის საკულტო ფილმების სტატუსით შენარჩუნებას აქტიურ მიმოქცევაში.

თანამედროვე ეპოქაში ექსპლუატაციური კინო კარგავს თავისი მახასიათებლების გარკვეულ ნაწილს, მაგრამ, ამასთან, პოსტმოდერნისტულ ეპოქაში ის შთაგონების წყაროდ და ბევრი ავტორისთვის მრავალრიცხოვანი სტილიზაციის, ციტირების, პერიფრაზირების თუ ალუზიის საგნად იქცევა. სტატია თვალს მიადევნებს, ექსპლუატაციური კინოს რომელი ნიშნები იქცევს ავტორთა განსაკუთრებულ ყურადღებას და როგორ გარდაისახება ისინი თანამედროვე კონტექსტში.

ანდრონიკა მარტონოვა,
ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის
ხელოვნებათმცოდნეობის ინსტიტუტის პროფესორი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

„გაუშვით ბავშვები კინოში!“. კინოგანათლების ადრეული კონცეფციები ბულგარულ კულტურაში, ორ მსოფლიო ომს შორის

ორ მსოფლიო ომს შორის არსებული პერიოდი იყო განსაკუთრებულად ინტელექტუალური ინტენსივობის დრო ბულგარულ კულტურაში. შთამბეჭდავი პიროვნებების ფართო წრემ, რომელიც მოიცავდა მწერლებს, მხატვრებს, თეატრის მოღვაწეებს, მუსიკოსებსა და კინემატოგრაფისტებს, აქტიური როლი ითამაშა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ კულტურული ცხოვრების აღდგენაში და საგანგებო ყურადღება მიაქცია კინოს. ერთი მხრივ, განვითარების გზაზე შემდგარი მეშვიდე ხელოვნების პრობლემები დაუკავშირდა ბულგარული კინოწარმოების აღმოცენებასა და „მშობლიური, ეროვნული ხელოვნების“ საკითხს. მეორე მხრივ, ინტელექტუალები გამორჩეული განსწავლულობით განიხილავდნენ უცხოური კინოწარმოების სხვადასხვა ასპექტს.

ეს კომენტარები მოიცავდა პარამეტრების ფართო სპექტრს, რაც შეიცავდა სარფიანობას, ესთეტიკას, ისტორიას, რეკლამას, ფუნქციონალურობას, გავრცელების პრობლემებს, კინოსა და თეატრის დაპირისპირებას, პროფესიული სამოგადოების ჩამოყალიბებას და, რაც არანაკლებ აუცილებელი იყო, მაყურებელსა და განათლებას. ბავშვების თემა, როგორც აუდიტორიისა და როგორც სახელოვნებო პროცესების აქტიური მონაწილეებისა, სწორედ ამ სეგმენტში ჯდება. სპეციალიზებული კინოპრესის (ამ ისტორიულ პერიოდში უამრავი პუბლიკაცია გამოჩნდა) გვერდებზე მიმდინარე საჯარო დებატებმა ნათლად აჩვენა ინტელექტუალური ელიტის მღელვარება და მისი სურვილი, რომ ხელოვნება გამოეყენებინა განსხვავებული ტიპის განათლებული და კულტურული ერის ჩამოსაყალიბებლად, რაც შეესატყვისებოდა ევროპულ სტანდარტებს.

ბავშვებისა და კინოს ურთიერთობის თემას ომთაშორის პერიოდში თითქმის არანაირი ყურადღება არ ექცეოდა, ბავშვებისა და ლიტერატურის ურთიერთობის სფეროსაგან განსხვავებით. წარმოდგენილ მოხსენებაში ეს საკითხი პირველად განიხილება, რასაც მოჰყვება შემდგომი კვლევა.

ჩემს ინტერესს შეადგენენ შემდეგი პრინციპული საკითხები:

1. პირველი სამსახიობო სკოლები თეატრსა და კინოში, რომლებშიც ასევე შედიოდნენ ბავშვები. ამ სფეროში განსაკუთრებით აღსანიშნავია კონსტანტინ საგაევისა და ნიკოლაი ფოლის (რომლებმაც დაწერეს სტატია „გაუშვით ბავშვები კინოში!“) სახელები, რომლებმაც განავითარეს ბავშვებისა და ახალგაზრდობის განათლების მნიშვნელოვანი კონცეფციები. სამწუხაროდ, ამ პერიოდში ბულგარეთში არ იღებდნენ საბავშვო ფილმებს, რომლებიც მხოლოდ ბავშვთა აუდიტორიისათვის იყო განკუთვნილი და ბავშვები არ იყვნენ მთავარი გმირები იმ მცირერიცხოვან ფილმებში, მაშინ რომ გადაიღეს. თუმცა საბავშვო თეატრალური სკოლები ამას ანაზღაურებდნენ თავიანთი საგანმანათლებლო პრაქტიკით, რაც, ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად, კინოსაც მოიცავდა. იგივე ეხებოდა დისტრიბუტორების მიერ იმპორტირებულ უცხოურ ფილმებსაც. ამან მიმიყვანა კვლევის მეორე ხაზამდე: 2. განათლების სამინისტროს ჩარევა, მუდმივი სასკოლო კინოთეატრების დაარსება და მოძრავი კინოთეატრების საშუალებით კინოსურათების გავრცელება მთელ ქვეყანაში.

მოხსენება შეაჯამებს ამ ვრცელი თემის ძირითად პუნქტებს. ამ მიზნისათვის დიდძალი საარქივო მასალა იქნება გამოყენებული მთავარი გზავნილების წარმოსაჩენად.

ლელა ოჩიაური,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

დროსა და სამყაროს გასწვრივ ქალი, როგორც სუბიექტი და აპოზიტი მის გარშემო

მსოფლიო და ქართულ კინოშიც ქალი რეჟისორების რიცხვი კატასტროფულად მცირეა. პერსონაჟი ქალები - მთავარი გმირებიც კი (მათ შორის, ქალი ავტორების ფილმებშიც) - მხერის არეში, ხშირად, არა პიროვნული თვისებებითა და პირადი პრობლემების გამო მოქცეული „სუბიექტები“, არამედ, „ობიექტები“ - კაცი გმირების „პარტნიორები“ ან საზოგადოების სხვადასხვა პრობლემის გამომხატველები არიან.

პირველმა ეს „წესი“ ლანა ლოლობერიძემ „დაარღვია“ და შემოქმედების მთავარ თემად ქალის - პიროვნების, საზოგადოების წევრის, სოციალურად აქტიური და პირად პრობლემებსა თუ პროფესიაზე ორიენტირებული - პერსონის ცხოვრების ასახვა „აირჩია“.

ეს მოხდა მაშინ, როდესაც, XX საუკუნის 50-60-იანი წლების მიჯნაზე, ევროპასა და ამერიკაში საპროტესტო მოძრაობების ციკლი დაიწყო; სტალინის სიკვდილს საბჭოთა კავშირში, მისი „კულტის დაგმობა“ და „დათბობის“ ეპოქის დაწყება მოჰყვა, „დათბობას“ - ცენზურის ოდნავ შემსუბუქება და ახალი მსოფლმხედველობის, ახალი ტენდენციებისა და ახალი ხელოვნების მიმართულების გაჩენა.

60-იანელმა კინორეჟისორებმაც, რომლის ლიდერთა შორის, ლანა ლოლობერიძე იყო, სახე უცვალეს მანამდე არსებულ სახელოვნებო სტანდარტებს, დოგმებისგან შედარებით გათავისუფლდნენ, დაუპირისპირდნენ იდეოლოგიას და იმ სივრცეში გადაინაცვლეს, რომლის საზღვრებიცა და განზომილებებიც თვითონვე შექმნეს.

ლანა ლოლობერიძე დღესაც ოდესღაც არჩეული კურსის ერთგულია და კვლავ ლიდერად რჩება, კინოთემატიკის თავისთავადობისა და მხატვრული გამომგონებლობის მიხედვით.

მანანა პაიჭაძე,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მეცნიერ-
თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ქრონოტოპი და „ოქროს ხანის“ თეორია რენე კლერის და ვუდი ალენის ფილმებში

(„ღამის ლამაზმანები“ 1952 და „შუალამე პარიზში“ 2011)

მოხსენება ეხება ისეთ მნშვნელოვან ფენომენს, რომელსაც ქრონოტოპი ეწოდება. ტერმინი ქრონოტოპი და მისი გამოყენების არეალი მნიშვნელოვნად გააფართოვა და ამავე დროს დააზუსტა მიხაილ ბახტინმა. ქრონოტოპი არ არის მხოლოდ დროისა და სივრცის კანონზომიერი კავშირი, არამედ დროისა და სივრცის მიმართების არსებითი ურთიერთკავშირი, რომელშიც დომინანტი არის დრო. ადამიანის სამყაროს აღქმის კონტექსტში ქრონოტოპი არსებობს არა როგორც განყენებული ცნება და ფენომენი, არამედ როგორც კონრეტული, გარკვეულ დროში არსებული რეალური ტოპოსი, რომელიც წარუშლელ მოვლენად ყალიბდება. ქრონოტოპს ჟანრული განსაზღვრისათვის გადამწყვეტი როლი აკისრია. ამ თვალსაზრისით რენე კლერის „ღამის ლამაზმანებს“ 1952 და ვუდი ალენის „შუალამე პარიზში“ 2011 ძალიან ბევრი რამ აქვთ საერთო. რენე კლერის ფილმის გმირი კლოდი საფრანგეთის პროვინციული ქალაქის მუსიკის მასწავლებელი და კომპოზიტორია. მან დაწერა ოპერა, რომელიც გააგზავნა კონკურსზე პარიზის გრანდ ოპერაში. ფილმის მთელი სიუჟეტი აგებულია ვერდიქტის მოლოდინში მყოფი გმირის სიზმრების ხილვებზე, რომლებიც დროში მოგზაურობის ორიგინალური ვერსიაა. და ყოველ დროში გვხვდება მოხუცი კაცი, რომელიც აკრიტიკებს აწმყოს და ადიდება წარსულ ეპოქას (ოქროს ხანა). მაგრამ თუ რენე კლერთან დროში და სივრცეში მოგზაურობა სიზმარში ხდება, ვუდი ალენის ფილმში რეალობა და ირეალობა ერთმანეთშია გადახლართული და ბოლომდე გაურკვეველს ხდის, სიზმარში თუ რეალობაში მოგზაურობს ამერიკელი მწერალი გილ პენდერი პარიზში და ხვდება ფრენსის სკოტ ფიცჯერალდს, პიკასოს, ჰემინგუეის, ბუ-

ნუელს, დალის, გერტრუდა სტაინს და ასე შემდეგ საბოლოო ჯამში, ორივე ფილმის მთავარი იდეა არის წარმატებისა და სიყვარულის ძიება შემოქმედებით და პირად ცხოვრებაში. და თუ რენე კლერი მხოლოდ გაკვრით ეხება „ოქროს ხანის“ თეორიას, ვუდი ალენი ამ ფენომენს მთავარ პლანზე წამოწევს. რენე კლერი მსოფლიოს კინოხლოვნებაში ის სახელია, რომელიც ასოცირდება როგორც ავანგარდთან, ასევე ტრადიციასთანაც. უფრო მეტიც, რენე კლერმა თავისი საავტორო ტრადიცია შექმნა – პოეტური რეალიზმის პრინციპებზე დამყარებული მელოდრამატული ტრაგიკომედია, რომელიც უხვად არის გაჯერებული ირონიით, პაროდითა და ლირიზმით. ვუდი ალენი – ცნობილი ამერიკელი რეჟისორი, მსახიობი, მწერალი, სცენარისტი – ახალი ჰოლივუდის მრავალმხრივი ფენომენია, რომლის შემოქმედება ინსპირირებულია ევროპული კინოთი და კულტურით. რენე კლერის მსგავსად, მის ფილმებში უხვადაა ირონია, პაროდია და ლირიზმი. ვუდი ალენი არის ახალი ჟანრის – „ინტელექტუალური კომედიის“ შემქმნელი, ხოლო მისი პატარა შედეგრი „შუალამე პარიზში“ ამ ჟანრის საუკეთესო ნიმუშია.

ქეთევან ღონღაძე,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
ხელმძღვანელი – პროფესორი ზვიად დოლიძე

ნონკონფორმიზმი, როგორც დროისა და სივრცის ანარეკლი 1960-იანი წლების ამერიკულ კინოში

1960-იანი წლების ამერიკული კინო ქვეყნის ურთულესი ატმოსფეროს, პოლიტიკური თუ სოციალური გარემოს მამხილებლად იქცა. კინოში მიმდინარე განახლების პროცესმა ზუსტად და ობიექტურად ასახა ქვეყნის კულტურული და სოციალურ-პოლიტიკური პროცესები, ბევრი რამ ახლებურად გაშუქდა. იმ სოციალურ-პოლიტიკურმა ძვრებმა, რომლებიც 1960-იან წლებში დაიწყო და მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია

ქვეყანაში, ეკრანული სახე ჰპოვა ამ პერიოდის ამერიკულ კინოში. დიდხანს მიმდინარეობდა სისტემასთან და პოლიტიკური კურსის მიმართ დაპირისპირება, რამაც გამოიწვია მთელი რიგი რღვევები საზოგადოებასა და მმართველ წრეებს შორის, ამ ყველაფერმა კი ნონკინფორმიზმის ძლიერი ტალღა შექმნა.

ამერიკის აგრესიამ ვიეტნამში განსაკუთრებით გააღვივანა ახალგაზრდა თაობა („მშფოთვარე ახალგაზრდობა“), რომელიც აქტიურად გამოდიოდა ვიეტნამის ომის წინააღმდეგ და მოითხოვდა არსებული ცხოვრების წესისა და პოლიტიკური კურსის მთლიანად შეცვლას.

ახალგაზრდების, განსაკუთრებით კი სტუდენტების თავისუფალმა აზროვნებამ, პროტესტმა ყველანაირი ტაბუირებული მოსაზრებების მიმართ, სექსუალურმა რევოლუციამ, თავაშვებულმა ცხოვრების სტილმა საზოგადოებას სტიმული მისცა, თავისუფლად გამოეხატათ უკმაყოფილება არსებული სისტემის მიმართ, რაც ყოველგვარი შელამაზების გარეშე აისახა იმ პერიოდის ამერიკულ კინოში.

ვიეტნამის ომი გახდა ყველაზე მთავარი მიზეზი იმისა, რომ ახალგაზრდობა ქუჩაში გამოსულიყო, მოეწყო ანტისაომარი დემონსტრაციები და ხმამაღლა გამოეცხადებინა „დაკავდი სიყვარულით, ნუ იომებ“ („Make love, not war“), რაც კონტრკულტურის ერთ-ერთ მთავარ დევიზად იქცა.

1960-იანი წლების დოკუმენტური და მხატვრული ფილმების თემატიკა მკვეთრად შეიცვალა წინა პერიოდის ფილმების თემატიკისა და სტილისტური ფორმებისაგან განსხვავებით. ისინი ასახავდნენ როგორც ჰიპების, ასევე ახალგაზრდა ამბოხებული თაობის ნონკონფორმიზმის გამოხატვის თავისებურებებს.

ახალგაზრდების აქტიური გამოსვლები რადიკალურად გამოხატავდა ასევე ინტელიგენციის ოპოზიციურ განწყობილებასაც. ამ ყველაფერმა მრავლისმეტყველი მნიშვნელობით იფეთქა ამერიკულ კინოში, რაც გახდა ქვეყნის კულტურულ, სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებზე რეაგირების მნიშვნელოვანი ასპექტი კონკრეტულ დროსა და სივრცეში.

მირიან ცუცუი,
ჰიპერიონის უნივერსიტეტის პროფესორი
(ბუქარესტი, რუმინეთი)

ორი ფინალის გამოყენების მეთოდი ფილმებში

შემთხვევები, როდესაც რეჟისორები გვთავაზობენ ალტერნატიულ დასასრულს, საკმაოდ ახალია, თუმცა კინოში შეიძლება ვიპოვოთ ძველი ნიმუშები და თუ მხედველობაში მივიღებთ ლიტერატურის გავლენას, აღმოჩნდება, რომ ეს მეთოდი უფრო ძველია. მაგრამ კვანძის გახსნა არ უნდა აგვერიოს ეპილოგში. არის ფაქტები, როცა რეჟისორები ლოგიკური, ჭეშმარიტი და განსაკუთრებულად რეალისტური ფინალის შემდეგ ამატებენ შეტრიალებულ (მოულოდნელი ცვლილების) ფინალს ბედნიერი დასასრულით ან ისეთით, რომელიც კვლავ აერთიანებს გმირებს, თუმცა დროებით, ვინაიდან განშორება და მტკივნეული გადაწყვეტილება ნაკლებად ასატანია. ასეა ორ ცნობილ ფილმში: „უმბერტო დ.“ (1952, ვიტორიო დე სიკა) და „ჭუჭყიანი ცეკვები“ (1987, ემილ არდოლინო).

ეს პროცესი ლოგიკურად გავრცელდა, განსაკუთრებით, ისეთ ფილმებში, რომლებიც გარდაისახნენ სერიალებად, მაგრამ გარკვეული წარმატებითაც გავრცელდა თრილერებზეც. ფაქტობრივად, ზოგიერთი წარმატებული ფილმის „სიქველი“ (გაგრძელება) დაეფუძნა ორაზროვან დასასრულს, ინტერპრეტირებულს ან უბრალოდ შეცვლილს, რაც თავგადასავლის გაგრძელების საშუალებას იძლევა, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბოროტმოქმედები და მონსტრები სრულად არ განადგურებულან ან გაცოცხლდნენ კიდევ, ზოგჯერ ეს დაუჯერებელია, მაგრამ არსებობს დრამატურგიული მიზეზები.

ეს ეხება არსენ ლუპენის, შერლოკ ჰოლმსის მოწინააღმდეგის, „ცარცული პერიოდის“ გიგანტური რეპტილიების, სერიული მკვლელების, როგორიცაა ჰანიბალ ლექტერი, ბანდიტების შესახებ გადაღებულ რუმინულ ფილმებში ბოროტი პერსონაჟის, პასვანტოლლუსა და ასე შემდეგ შემთხვევებს.

ორაზროვანი ფინალების პროცესი და განსაკუთრებით ერთი თავგადასავლის მეორესთან დაკავშირება, მარტივი შედარებითაც კი, აშკარად მომდინარეობს IX საუკუნის ლიტერატურიდან, ისეთი სტრუქტურის ამბებიდან, როგორიცაა „1001 არაბული ღამე“ (რომელშიც შეჭერაზადე, შაჰრიარის ინტერესის მხარდასაჭერად, იძულებულია მიმართოს სარეკლამო ფორმულას, ისეთს, როგორიცაა - „მაგრამ ეს თავგადასავალი ვერ შეედრება იმასას...“, რითაც სულთანს უღვივებს ცნობისმოყვარეობას და გადაარჩენს კიდევ ერთ, მორიგ ღამეს). ასევე ეს მომდინარეობს სატირული რომანებიდან. ცხადია, ასეთ ფორმულას, რომელიც შეჭერაზადემ გამოიყენა, დღეს შეგვიძლია ვუწოდოთ „თიზერი“.

ხელოვნებათმცოდნეობა

ირინე აბესაძე,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

**მხატვარი მიხეილ ბილანიშვილის შემოქმედებითი
მოღვაწეობა XX ს. 20-30-იანი წლების ქართულ-
ევროპული კოლიზიკურ - ესთეტიკური
გამოწვევების კონტექსტში**

მოხსენებაში გაშუქებული იქნება ქართულ სახელოვნებათმცოდნეო სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებად შესწავლილი, მოდერნისტი მხატვრის, მიხეილ ბილანიშვილის (1901-1934), შემოქმედება ეპოქალური ესთეტიკური ტენდენციების ფონზე. ყურადღება გამახვილდება, მის შეხედულებაზე, როგორც პარიზში დაფუძნებულ „პარიზის ქართველ ხელოვანთა კავშირის“ აქტიური წევრის, პოლიტიკურ და ესთეტიკურ შეხედულებებზე. მიხეილ ბილანიშვილი, რომელიც სამშობლოში ყოფნისას, იარაღით ხელში იცავდა საქართველოს დამოუკიდებლობას რუსული ანექსიისგან, პარიზში ცხოვრებისას უფრო თამამად გამოჰკვეთს თავის პოლიტიკურ ორიენტაციას, მიმართულს ბოლშევიკური ინტერვენციის შედეგად, საქართველოს დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ. იგი, როგორც „თეთრი გიორგის“ პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი, არამხოლოდ მხატვრულად გააფორმებს პარიზში გამომავალ მნიშვნელოვან ლიტერატურულ-პოლიტიკურ ჟურნალს „კავკასიონი“, სადაც გამოაქვეყნებს კიდევ თავის თეორიულ ნააზრევს ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედების შესახებ, ასევე, ითანამშრომლობს უცხოეთში გამომავალ ემიგრანტულ გაზეთთან „თეთრი გიორგი“. მოხსენების მიზანია, აგრეთვე, ყურადღება გამახვილდეს მიხეილ ბილანიშვილზე, როგორც მხატვარ-კუბისტზე, რომლის შემოქმედებაში თანმიმდევრულად აისახა კუბიზმის ბოლო ფორმისეული ექსპერიმენტები, მიმართული ეგრეთ წოდებული „პარიზული სკოლის“ ერთ-ერთი ბოლო განშტოების - „არ-დეკოს“ ჩასახვისაკენ. მხატვარი, 1925 წლიდან პარიზშია და აშკარად ავლენს განსაკუთრებულ დაინტერე-

სებას კუბიზმის მიმართ, მაგრამ არის კი მიხეილ ბილანიშვილის ნამუშევრები სუფთად კუბისტური, თუ სახეზეა ერთგვარად კუბისტური მოდიფიკაცია?! სავარაუდოდ, ეს არის კუბიზმის გვიანი პერიოდი, უფრო სწორად, გარდამავალი ფაზა კუბიზმიდან - არტ დეკომდე, რომელშიც კუბიზმის ნიშნები გარდატეხება ფოვიზმისა და ნეოკლასიციზმის ნიშნებთან. ეს უფრო არის კუბიზმი, ერთგვარი შერბილებული სახით. დაახლოვებით ისეთი, როგორიც მიხეილ ბილანიშვილის ფრანგი პედაგოგის - ანდრე ლოტის მიერ, XX საუკუნის 20-30 -ან წლებში შესრულებულ ფერწერულ სურათებშია. ამრიგად, მოხსენების მიზანია, ყველა აღნიშნული საკითხი, დაკავშირებული მოდერნისტი მხატვრის, მიხეილ ბილანიშვილის, საქართველოსა და პარიზში გატარებულ ცხოვრების წლებთან, დროის კონტექსტში იქნეს განხილული.

ნატო გენგიური,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

მდგრადი არქიტექტურის განვითარების მართი ეტაპი ბერლინსა და ფრაიბურგში (1990–2000-იანი წლები)

მოხსენება შეეხება ბერლინისა და ფრაიბურგის ეკოლოგიური არქიტექტურის განვითარების ერთ ეტაპს 1990–2000-იან წლებში, როდესაც მდგრადი დიზაინის კონცეფციები ინტენსიურად იწერებოდა როგორც ურბანულ დაგეგმვაში, ისე კონკრეტულ არქიტექტურულ ნიმუშებში. კვლევა ეფუძნება 2025 წლის მარტში გერმანიაში განხორციელებული მივლინებისას ჩატარებულ დაკვირვებებსა და ადგილზე შეგროვებულ მასალებს. განხილულია ბერლინისა და ფრაიბურგის მნიშვნელოვანი პროექტები: ბერლინის PricewaterhouseCoopers-ის კოშკი პოტსდამერ პლაცზე (1992–2000, არქიტექტორი რენცო პიანო),

რაიხსტაგის გუმბათი (1999, არქიტექტორი ნორმან ფოსტერი), ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ბიბლიოთეკა (2005, ნორმან ფოსტერი), ასევე ფრაიბურგში როლფ დიშის შექმნილი The Heliotrope — ეკოლოგიურად სუფთა საცხოვრებელი სახლი, საცხოვრებელი და კომერციული კომპლექსები Solarsiedlung და Sonnenschiff. ამ ნიმუშებში ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და სივრცის დაგეგმარების სტრატეგიები მიმართულია როგორც გარემოზე ზემოქმედების მინიმიზაციისკენ, ისე მაღალი ხარისხის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი სივრცეების შექმნისკენ. შედარებითი ანალიზი ავლენს როგორც საერთო ტენდენციებს, ისე ლოკალურ სპეციფიკას, რომელიც განპირობებულია ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური და გეოგრაფიული კონტექსტებით. მოხსენება ხაზს უსვამს აღნიშნული გამოცდილების მნიშვნელობას საქართველოს ურბანული განვითარების მდგრადი მოდელების შექმნის პროცესში.

ეს ნაშრომი შეიქმნა ევროკავშირის ფინანსური დახმარებით. აქ გამოთქმული შეხედულებები არანაირად არ შეიძლება იქნას განხილული, როგორც ევროკავშირის ოფიციალური ამრის ამსახველი.

ირმა დოლიძე,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

**სათეატრო არქიტექტურა როგორც
იდეოლოგიური დისკურსის სივრცე საბჭოთა
საქართველოში (1930–1950-იანი წლები)**

საბჭოთა პერიოდში არქიტექტურა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა იდეოლოგიური დისკურსების ფორმირებასა და გავრცელებაში. სათეატრო არქიტექტურა, როგორც სივრცითი

„მედია“, პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი თვითპრეზენტაციის შესაძლებლობაც იყო და ინსტრუმენტიც.

XX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში ოთხი ათეული მოქმედი თეატრია. შთამბეჭდავია დაპროექტებულ-აგებული სათეატრო ნაგებობების რაოდენობაც. მათ პროექტებზე, XIX საუკუნისგან განსხვავებით, უმეტესწილად ქართველი არქიტექტორები მუშაობდნენ.

1930-50-იან წლებში საქართველოს რეგიონებში, ინტენსიურად მიმდინარეობს სათეატრო ნაგებობების, სახალხო კლუბების, კულტურის სასახლეების მშენებლობა. ისინი შენდება არა მხოლოდ ქალაქებში, არამედ რაიონულ ცენტრებსა და სოფლებშიც. ასეთია 1931 წელს აგებული სათეატრო ნაგებობა სოფელ ველისციხეში.

სათეატრო ნაგებობები იგება: ზუგდიდში (1932), ჩოხატაურში (1932-33), ქუთაისში (1933-40; 1955), ოზურგეთში (1934; 1962), ხონში (1934-39), გორში (1935), ლანჩხუთში (1936), ხულოში (1937), ბათუმში (1930-იანი წლები; 1953), ჭიათურაში (1949), რუსთავში (1950-იანი წლები), სოხუმში (1952), სენაკში (1953-1959) და სხვ.

როგორია ამ პერიოდის სათეატრო არქიტექტურა? არის თუ არა ის საბჭოთა პროპაგანდის ნაწილი? როგორ, რა ფორმით ისახება იდეოლოგია არქიტექტურის კონცეპტუალურ გადაწყვეტასა თუ ინტერპრეტაციაში? არქიტექტურული ერთგვაროვნება თუ პირიქით, მრავალფეროვანი ტრანსფორმაცია? როგორია ადგილობრივი მხატვრული ტრადიცია და რა გავლენას ახდენს ის საბჭოთა პერიოდის სათეატრო არქიტექტურაზე საქართველოში.

ეკატერინე კენიგსბერგი
ბელარუსის სახელმწიფო ხელოვნების აკადემია,
ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დეპარტამენტის
ასოცირებული პროფესორი

გმირი ქალები - გამოფენა-კვლევა ქალთა მოდისა და როლის შესახებ მეორე მსოფლიო ომის დროს

ისრაელში, ჰოლონის დიზაინის მუზეუმში, 2025 წლის 31 მარტიდან 2026 წლის იანვრამდე მიმდინარეობს იაარა კეიდარის კურატორობით ორგანიზებული გამოფენა-კვლევა სახელწოდებით „გმირი ქალები“ (Heroines). გამოფენა ეძღვნება ქალთა მოდისა და სამოსის ისტორიას მეორე მსოფლიო ომის კონტექსტში და მიზნად ისახავს ქალების გმირობისა და ადამიანური ღირსების შენარჩუნების მცდელობების წარმოჩენას ყველაზე ბნელ ისტორიულ გარემოებებში.

გამოფენის იდეის საფუძველი გახდა ჰოლოკოსტიდან გადარჩენილი ქალის ისტორია, რომლისთვისაც კერვის უნარმა გადაწყვეტი მნიშვნელობა შეიძინა და ომის წლებში სიცოცხლე შეუნარჩუნა. ამ ამბავმა კეიდარი შთააგონა შეეკრიბა ისტორიული მასალა იმაზე, თუ როგორ იქცა მოდა თვითგამოხატვის, ემოციური გადარჩენისა და ღირსების შენარჩუნების საშუალებად ომის პირობებში.

გამოფენაში მკაფიოდაა ნაჩვენები ქალთა გამბედაობა, შემოქმედებითი უნარი და ადამიანურობის შენარჩუნების ძალისხმევა: ქალები იყენებდნენ ნებისმიერი სახის მასალას სამოსის, აქსესუარებისა და დეკორაციების შესაქმნელად; მოდა იქცა გზავნილების გადაცემის, დეპრესიის წინააღმდეგ ბრძოლის, გაჭირვებაში გამძლეობის ერთ-ერთ ფორმად.

გამოფენა „გმირი ქალები“ წარმოდგენილია შვიდი თემატური ბლოკის სახით:

1. „ნაკერებით გადარჩენილი ისტორია“ - დიზაინერი ჰელი სტრენადის ისტორია;
2. „ჯარისკაცები იარაღის გარეშე“ - ქალთა აქსესუარების როლი ომის პერიოდში;

3. „საყოფაცხოვრებო ნივთები: იად ვაშემის კოლექციიდან“ — საკონცენტრაციო ბანაკებიდან გადარჩენილი პირადი ნივთები;
4. „სადაც ფევილია, იქ მოდაა“ - კრეატიული მოდის გადაწყვეტილებები ომის პირობებში;
5. „ცხოვრება ომის შემდეგ“ - სამხედრო მასალებით შექმნილი ომშემდგომი სამოსი;
6. „Gottex — ლეა გოტლიბის ისტორია“ - საცურაო კოსტიუმების იმპერიის დამფუძნებლის გზა;
7. „მიხარკვა 2023 წლის 7 ოქტომბრის გმირ ქალებს“ - ისრაელის თავდაცვის ძალებში მსახური ქალების ისტორიები ბოლო მოვლენებიდან.

იაარა კეიდარი აღნიშნავს: „ჩემი ოჯახის ისტორია ყოველთვის მაფიქრებინებდა, რომ მეორე მსოფლიო ომის თემა ჩემს სფეროში არ უნდა განიხილებოდეს. მაგრამ ცხოვრებამ მაიძულა ამ მოგზაურობაში გამეარა გზა იმ ქალების კვალდაკვალ, რომლებიც მოდასა და ტანსაცმელში ხედავდნენ სიცოცხლის გზას, იმედისა და ოპტიმიზმის შესანარჩუნებლად ადამიანური ტრაგედიის ყველაზე რთულ მომენტებში“.

ეკა კიკნაძე,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,

გიორგი ფარცხალაძე,

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

იმპერიული მითი პროგრესისა და მემკობრობის შესახებ: მიხაილ ვორონცოვისა და ალექსანდრ ბრიბოედოვის ძეგლები თბილისში

ძალაუფლების ვიზუალური რეპრეზენტაცია იმპერიების კულტურის პოლიტიკის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს. განსაკუთრებული როლი ენიჭება საჯარო სივრცეში განთავსებულ მონუმენტურ ქანდაკებებს, რადგან ისინი არა მხოლოდ კონკრეტული ისტორიული ფიგურის მნიშვნელოვნებასა

და ხსოვნას განასახიერებენ, არამედ იმპერიის სიმბოლოებად იქცევიან და მის იდეოლოგიურ განმტკიცებას ემსახურებიან.

სხვადასხვა ეპოქაში თბილისში აღმართული ორი მონუმენტის – მეფისნაცვალ მიხაილ ვორონცოვის (1867) და მწერალ ალექსანდრე გრიბოედოვის (1962) ძეგლების მაგალითზე განვიხილავთ რუსეთის იმპერიის და საბჭოთა რუსეთის კოლონიალური კულტურის პოლიტიკის შინაარსს, რომელიც „ცენტრისა“ და „პერიფერიის“ იმპერიული მოდელის მკაფიო იერარქიას ეყრდნობოდა. იმპერიული ნარატივი მიხაილ ვორონცოვს აღმშენებლობის, ცივილიზაციისა და კულტურული აღმავლობის, ხოლო გრიბოედოვს „რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობის“ რომანტიზებულ სიმბოლოდ წარმოაჩენდა.

მოხსენება ეფუძნება სახელოვნებათმცოდნეო და წყაროთმცოდნეობით კვლევას და მიზნად ისახავს ვორონცოვისა და გრიბოედოვის ქანდაკებების კულტურულ-პოლიტიკური კონტექსტის კრიტიკულ ანალიზს.

მოხსენება მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „ქ. თბილისის უზნაძის ქუჩის არქიტექტურული მემკვიდრეობის ინტერდისციპლინარული კვლევა და დოკუმენტირების“ ფარგლებში [FR-23-6740].

ანა მგალობლიშვილი,
კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
ირინე გივიაშვილი,
ფლორენციის მაქს-პლანკის ხელოვნების ისტორიის
ინსტიტუტი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

ოთხი კათედრალი XIX საუკუნის საქართველოში

XIX საუკუნემ საქართველოში ჩაიარა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში და, სხვა იმპერიული პროვინციების მსგავსად, მასაც შეეხო კოლონიალისტური მიდგომები, რომელთა მიზანი ერთიანი იმპერიული იდენტობის დამკვიდრება იყო.

1851-1907 წლებში საქართველოში, ოთხ დიდ ქალაქში – თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და ფოთში – აშენდა კათედრალები. მათგან სამი ეძღვნებოდა რუსული ეკლესიისა და რომანოვების დინასტიისთვის მნიშვნელოვან ფიგურას – წმინდა ალექსანდრე ნეველს, ხოლო ფოთში აიგო წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარი.

მოხსენებაში განხილული იქნება ამ კათედრალების აგების ისტორია, მათი არქიტექტურული სტილი, მასშტაბი, დეკორატიული ენა, როლი და ადგილი ქალაქის ურბანულ ქსოვილში, ისტორიული ბედი, რომელიც თითოეულ მათგანს წილად ხვდა. ოთხიდან სამი კათედრალი დროს ვერ გადაურჩა.

თემა განსაკუთრებით საინტერესოა თანამედროვე ვიზუალური კულტურის თეორიის კონტექსტში, რადგან ცხადყოფს პერიოდისათვის დამახასიათებელ კულტურის სტრატეგიებს და ხაზს უსვამს არქიტექტურის, როგორც ვიზუალური ნიშნის გავლენის ინსტრუმენტად გამოყენების, ისე მისი ჩანაცვლების საკითხებს.

დავით ნიორაძე,

კავკასიის უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი,
აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის
სამხატვრო აკადემიის დოქტორანტი

დიმიტრი უზნაძის ქუჩის 1930-1950-იანი წლების არქიტექტურული მემკვიდრეობა

თბილისის მარცხენა სანაპიროს ურბანულ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩამოსახლებულმა გერმანელმა კოლონისტებმა. სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა სანაპიროს ქუჩა (დღევანდელი დიმიტრი უზნაძის ქუჩა), სადაც ბოლო საუკუნენახევრის განმავლობაში შენდებოდა ფუნქციურად და სტილისტურად განსხვავებული შენობები — საცხოვრებელი სახლები, საგანმანათლებლო დაწესებულებები თუ ინდუსტრიული ობიექტები.

ურბანულ ქსოვილში მნიშვნელოვანი ცვლილებები დაიწყო 1930-იანი წლების შუა ხანებიდან, როდესაც გაფართოვდა ვორონცოვის (დღეს საარბრეუკენის) მოედანი, ხოლო განსაკუთრებით მასშტაბური ჩარევები განხორციელდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში.

მოხსენებაში განვიხილავ დიმიტრი უზნაძის ქუჩაზე 1930–1950-იან წლებში აგებულ რამდენიმე მნიშვნელოვან შენობას, რომლებიც, ერთი მხრივ, ასახავენ საბჭოთა ეპოქის არქიტექტურის სტილისტურ ტრანსფორმაციებს, მეორე მხრივ, გამოხატავენ იმ პოლიტიკურ ცვლილებებსაც, რომლებმაც, საბოლოო ჯამში, თბილისის მარცხენა სანაპიროს იერსახე განაპირობა.

მოხსენება მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „ქ. თბილისის უზნაძის ქუჩის არქიტექტურული მემკვიდრეობის ინტერდისციპლინარული კვლევა და დოკუმენტირება“ [FR-23-6740].

ლალი ოსეფაშვილი,
საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის
თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,

გვიან ბიზანტიური სამეცნიერო მიღწევები და სვეტიცხოვლის სამხრეთი კედლის მოხატულობის ფრაგმენტი

სვეტიცხოვლის ტაძრის სამხრეთ კედელზე დღეისათვის შემორჩენილია უზარმაზარი, მასშტაბური კომპოზიცია ყოვლისმპყრობელი აღსაყდრებული უფლის ირგვლივ ანგელოზთა დასით, ზოდიაქოთა ნიშნებითა და 148-150-ე ფსალმუნთა დამასურათებელი სცენებით. დამკვეთი, მეცნიერთა დაკვირვებების საფუძველზე, კათოლიკოს პატრიარქი ნიკოლოზ ამილახვარი ყოფილა (1678-1688; 1692-1695). მოხატულობის ირგვლივ არაერთგვაროვანი შთაბეჭდილებაა შექმნილი, რასაც, ცხადია,

ზოდიქოს სცენათა ჩართვა იწვევს. თუმცა, დღემდე, აღწერითი ნაშრომის გარდა, არაფერია გამოქვეყნებული.

ჩემი მოხსენების მიზანია, წარმოვაჩინო ის თეოლოგიური სამეცნიერო ცოდნა, რაც გამოიკვეთა ქრისტე პანტოკრატორის ირგვლივ ფართო დისკოში წარმოდგენილ ზოდიქოს ნიშანთა ინტერპრეტირებაში. იგი ეფუძნება ცოდნის იმ სფეროებს, რომლებიც ბიზანტიის არსებობის ბოლოსკენ ყალიბდება და ასევე ურთიერთკავშირშია შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპულ კულტურასთან. ბიზანტიური ასტრონომია სათავეს ძირითადად პტოლემეოსის (დაახლ. ახ. წ. 120-140) ნაშრომებში იღებს. ზოგადად, ასტრონომია მჭიდროდ დაუკავშირდა ქრისტიანულ იკონოგრაფიას, როგორც მეცნიერები შენიშნავენ, კავშირი იძებნება ბიზანტიურ ცის კვლევის განვითარებასა და საეკლესიო იკონოგრაფიაში ციური მოტივების მზარდ სირთულეთა შორის. ვარსკვლავური იკონოგრაფია რთულ ციურ მოტივებად - ზოდიქალურ წარმოდგენებად განვითარდა. გვიან ბიზანტიურ ხანაში და შემდეგ ეკლესიებში - ბალკანეთიდან კავკასიამდე და თანამედროვე რუმინეთამდე, ჩნდება მსგავსი უჩვეულო იკონოგრაფიული მოტივი.

ციური მოტივები, ცალკეული ვარსკვლავები, ვარსკვლავთა ჯგუფები, უკვე იყო წარმოდგენილი ადრე ქრისტიანული ხანის იკონოგრაფიაში, მაგრამ ქრისტე პანტოკრატორის ზოდიქოს ნიშნებთან ერთად გამოსახვა, როგორც აღვნიშნე, გვიან ხანას უკავშირდება და გვხვდება რიგ ტაძართა მოხატულობებში: მათგან უადრესია ლესნოვოში (მაკედონია, XIV) ხოლო გვიანია პრობოტაში (XVI), დეკულუს მონასტერში მანიში (XVII), ასევე მანიში სოფ. კასტანიას წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში (XVII) და სვეტიცხოველში (XVII). ამ მოხატულობებმა უკვე მიიქცია მკვლევართა ყურადღება. თუ ანტიკურ ხანაში ცენტრში რომაულ ღვთაებას განათავსებდნენ და ზოდიქოთი შემოფარგლავდნენ, ახლა გვიან ბიზანტიურ ხანაში ქრისტე პანტოკრატორი წარმოადგენს უძველესი და გვიანი ანტიკური წარმოდგენების იტერაციას. რაც მიუთითებს, რომ იესო არის ვარსკვლავებისა და მთლიანად კოსმოსის შემოქმედი და არა მხოლოდ კაცობრიობის მხსნელი. ამდენად, ვარსკვლავებიანი ცა, ანუ ზოდიქალური იკონოგრაფია ქრისტიანობის ფართო სპექტრშია

გააზრებული, როგორც კოსმოსის შესწავლის თეოლოგიური ინდიკატორი, რაც ბიზანტიური ეპოქის დასრულების შემდეგ გაჩნდა.

ნაშრომში ყურადღებას ვამახვილებ სვეტიცხოვლის სამხრეთ კედლის ასტრალურ იკონოგრაფიაზე, მის თავისებურებებზე, ზემოთ ჩამოთვლილ ნიმუშებთან (ლესნოვო, პრობოტა, დეკულუსა და მანის ეკლესიები) შედარებით, აქ სცენა კედელზეა აღბეჭდილი, ჩამოთვლილ ნიმუშებში კი, მას კამარა, ან გუმბათი უკავია და თითქოს, პირდაპირი ანალოგია ვარსკვლავებიანი ცისა.

დღევანდელ ტექნოლოგიური ინფორმაციების ხანაში, სწრაფად ვრცელდება ხელოვნების ნიმუშთა ფოტოკოფირები და შესაბამისად, მეცნიერთა მიერ მათი ურთიერთდაკავშირება და გაანალიზებაც ასევე მყისიერია. ბიზანტიური სამეცნიერო ცოდნის, მისი ინტელექტუალური მიღწევების გააზრება, საშუალებას გვაძლევს, მნიშვნელოვანი დასკვნები გამოვიტანოთ.

ქეთევან ოჩიკიძე,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასისტენტი

ქრისტეს კვართი და მისი თაყვანისცემა საქართველოსა და დასავლეთ ევროპის ქრისტიანულ ტრადიციაში

სხვადასხვა წერილობითი და ზეპირსიტყვიერი გადმოცემა, საკრალური სიმბოლოს - ქრისტეს კვართის დავანების ადგილებად მცხეთასა (საქართველო) და ტრიროს (გერმანია) მიიჩნევს, სადაც განსაკუთრებით ძლიერია მისი თაყვანისცემის ტრადიცია. წყაროების მიხედვით, მცხეთაში კვართი I საუკუნეშივე შემოუტანიათ ქრისტეს ჯვარცმისას იერუსალიმში მყოფ მცხეთელ ებრაელებს, ტრიროში მისი მოხვედრა კი ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინეს დედის - დედოფალი ელენეს (IV ს.)

სახელს უკავშირდება და ასახავს ქრისტიანული რელიქვიების გაცემის ბიზანტიურ პრაქტიკას.

სვეტიცხოვლის საძირკველში ქრისტეს კვართის არსებობა გახდა ქვაკუთხედი ქართული მართლმადიდებლობისა, განმსაზღვრელი ქართველი ხალხის ეროვნული იდენტობისა და სულიერი ერთობისა, ტრიირის კათედრალში კი წმინდა რელიქვიების მომლოცველობისა და მძლავრი პილიგრიმული მოძრაობის საფუძველად იქცა. ორ განსხვავებულ კულტურაში ქრისტეს კვართის თაყვანისცემა ადგილობრივ რელიგიურ კონტექსტს დაუკავშირდა და სულიერ და კულტურულ ტრადიციებთან ადაპტირდა.

აღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანულ ხელოვნებაში კვართისა და მასთან დაკავშირებული სიუჟეტების გამოსახვის თავისებურებები, რომელთა შესწავლამ საინტერესო მასალა გამოავლინა. საქართველოში ის მჭიდროდ დაუკავშირდა ცხოველი სვეტის მისტერიას, ვნების ციკლის ნაწილი გახდა (სახარების ილუსტრაციები (XII-XIII სს.), სვეტიცხოვლის „სვეტის“ მოხატულობა (XVII ს.) და სხვ.), ევროპაში კი ქრისტეს კვართი „ჯვარცმის“ კომპოზიციაში ჩართვის გარდა, განცალკევებით, თავისთავადი სახითაც გვხვდება (მაგ.: XIX ს-ის გრავიურები და პოლიგრაფიული მასალა).

სოფიო პაპინაშვილი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულების დოქტორანტი

მრგვალი ქანდაკების გააზრება ისტორიულ კონტექსტში

(ფორმის ცვლილება და სამეტყველო ენა)

ხელოვნება იდეათა სამყაროდან მატერიალურ სამყაროში ადამიანის ხელით იქმნება და იბადება. ის ყველა დროში განსხვავებულია სოციალური, პოლიტიკური, რელიგიური თუ ტექნოლოგიური მოთხოვნების პირობებში. ქანდაკებაც ამ უწყვეტ ჯაჭვშია. ის პრეისტორიული ხანიდან მოყოლებული თანამედროვეობამდე ვითარდება. მის ფორმისეულ თუ შინაარსობრივ განსხვავებულობას დროსა და სივრცეში ადამიანთა აზროვნება და აღქმა განსაზღვრავს. ყველა დროში ხელოვნებაზე, მათ შორის ქანდაკებაზე, ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები მოქმედებდნენ.

ქანდაკება პრეისტორიულ ხანაში ნაყოფიერების თემას ეხმიანებოდა, ძველ ცივილიზაციებში ის მეტად რელიგიას დაექვემდებარა, ბერძნულ კულტურაში კი ადამიანის იდეალიზებული ფორმა ათლეტების მაგალითზე ჩამოყალიბდა. ბერძნული კლასიკური ხანა ადამიანის სხეულის ანატომიურ აგებულებას შემუშავებული კანონის მიხედვით ქმნიდა და ის ევროპული კულტურის საფუძველი გახდა. ქრისტიანულ ეპოქაში მივიწყებული ქანდაკებამ რენესანსში ხელახლა გაიღვიძა და მას შემდეგ ფორმის ცვლილების ტენდენცია აღარ შეწყვეტილა. მოდერნიზმში ქანდაკება ახალი გამოწვევების წინაშე დადგა, სწრაფად იცვლებოდა ფორმაცა და არსიც. უახლეს ეპოქაში კი ის ობიექტადაც გარდაისახა. ობიექტის, მაგალითად, საყოფაცხოვრებო საგნების საგალერეო სივრცეში გამოფენა და ქანდაკების ფორმად მისი წარმოდგენა მარსელ დიუშანის სახელთან არის დაკავშირებული. რედიმედი პოსტმოდერნისტული ეპოქის მთავარი მამოძრავებელი და იდეური წინაპარი იყო. მოგვიანებით მის საფუძველზე აღმოცენდა კინეტიკური

ხელოვნება, მინიმალიზმი, კონცეპტუალიზმი და სხვა.

თანამედროვე ადამიანისთვის ქანდაკება ხელოვნების დარგებიდან ყველაზე შორს დგას, მიუხედავად იმისა, რომ მასთან, თითქმის, ყოველდღიური შეხება აქვს. მას ხედავს ქუჩაში, ბაღებსა და პარკებში, მაგრამ, ერთი მხრივ, ის მაინც შეუჩინეველი რჩება. ქანდაკებას თანამედროვე სამყაროში ყველაზე მცირე აუდიტორია ჰყავს. სტატიაში გაანალიზებული იქნება ქანდაკების ისტორია მასზე მოქმედი გარემო პირობების მიხედვით, თუმცა განსაკუთრებულად თანამედროვე სამყაროში მის როლზე, საზოგადოებასთან მის კავშირსა და ფორმისეულ ცვლილებაზე იქნება საუბარი.

გიორგი რაზმაძე,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის დიმიტრი ჯანელიძის სახელობის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

დეკოლონიური ნარატივები თბილისის გრაფიკის კულტურაში

უკანასკნელ წლებში გრაფიკისა და სტენსილის კულტურა თბილისში საკმაოდ პოპულარულ მოვლენად იქცა. ურბანული და ანონიმური ხელოვნების ამ მოდუსში ქალაქის კედლები წარმოადგენენ საგამოფენო სივრცეს, მოსახლეობა კი – დამთვალიერებლებს. გივი მარგველაშვილმა გრაფიკის ქალაქის „კედლის გაზეთი“ უწოდა. მისი აზრით, ავტორი ქუჩას/კედელს ისევე იყენებს, როგორც მწერალი გაზეთის ფურცელს. ხანდახან გრაფიკის ნარატივები ყოფითია, მაგრამ ძირითადად გამოძახილია მნიშვნელოვან მოვლენებზე ქალაქისა თუ ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრებიდან.

ვიზუალური ხელოვნების სხვა ფორმებისგან განსხვავებით, გრაფიკის სპეციფიკა არსებობის ხანმოკლე ციკლშია, რის გამოც უფრო მეტად პოლიტიკური, მწვავე, უცნებურო და თავისუფალია, ვიდრე სხვა რომელიმე მედიუმი.

გრაფიტის ანონიმურობა კი რელიგიური ხელოვნების ტრადიციასთან გვაბრუნებს. მაგრამ თუ წარსულში კედლის მხატვრობა საკრალურ შინაარსებსა და განწყობას ქმნიდა, ძირითადად, ნაგებობის ინტერიერში, თანამედროვე კედლის მხატვრობა ქალაქის საკრალიზმებას ცდილობს არაკონვენციური გზებით. დროებითი შინაარსები ქალაქის იერსახეს ქმნიან. ეს წარმავალობა ქუჩის ხელოვნებას აიძულებს ორიენტირებული იყვნენ მხოლოდ მიმდინარე და აქტუალურ საკითხებზე, რომელიც საზოგადოებას მოცემულ მომენტში აწუხებს.

სწორედ ასეთი საკითხი იყო რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ საქართველოში საცხოვრებლად გადმოსული რუსეთის ძალიან ბევრი მოქალაქე. მასობრივმა სამეგრაცო ტალღამ ადგილობრივთა ცხოვრება საგრძნობლად გააძვირა და გამოიწვია სოციალური და კულტურული, ასევე პოლიტიკური ცვლილებები. სწორედ ამ პერიოდის შემდეგ თბილისის ქუჩებში შესამჩნევი გახდა ანტირუსული შინაარსის მქონე გრაფიტი და სტენსილი, რაც, ერთი შეხედვით, დეკოლონიურ ხასიათს ატარებდა. ეს კვლევა სწორედ ამ ანტიკოლონიური ნარატივებისა და დისკურსების შესწავლას ეძღვნება და იმის გაანალიზებას, რამდენად არის შესაძლებელი და შედეგის მომტანი იდეოლოგიური ჩარჩოს გარეშე დეკოლონიური პოლიტიკის წარმართვა.

ქრისტიან ფრაიგანგი,
პროფესორ ემერიტუსი
ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის
ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი

ადოლფ ლოოსის მოდერნისტული მანიფესტები და მათი ინტერპრეტაცია

ადოლფ ლოოსის სტატიას „ორნამენტი და დანაშაული“ (1908), რომელიც ხშირად მოიხსენიება როგორც მოდერნიზმის მანიფესტი, აქვს უცნაური, თუმცა მნიშვნელოვანი ისტორია მისი გავრცელებისა და გამოცემის თვალსაზრისით, მსგავსად მი-

სი სხვა ნაშრომისა - „არქიტექტურა“, რომელიც მალევე დაიწერილი.

ამ ტექსტების ისტორია აღინიშნება მრავალრიცხოვანი ცვლილებებით, გადაკეთებებითა და სხვადასხვა ინტერპრეტაციებით, რომლებშიც ლოოსის თეორია სრულიად განსხვავებულ კონტექსტებში განიხილება. ამ ტექსტის ამბავი იწყება ლოოსის ვერბალური ვარიაციებითა და მისადმი გამოხატული მძლავრი ინტერესით საფრანგეთში. გერმანულად ის მხოლოდ 1929 წელს გამოიცა.

ეს ტექსტები თავდაპირველად წარმოადგენდა ისტორიზმის წინააღმდეგ მიმართულ სარკასტულ გამოსვლებს, შემდეგ იქცა საერთაშორისო მოდერნიზმისადმი ერთგულების დეკლარაციად, მოგვიანებით კი გაიგივდა ფრანგული არქიტექტურის წინააღმდეგ მიმართულ დეკადენტურ სიმბოლოდ. საბოლოოდ ის მიიჩნეეს ტექნოლოგიური ფუნქციონალიზმის ადრეულ გამოხატულებად.

მიუხედავად ამ მრავალგვაროვანი და დროში გახანგრძლივებული რეცეფციისა, სწორედ ამ კრიტიკულმა, პოლიემურმა ესემ განამტკიცა თანამედროვე მოდერნისტულ დისკურსებში ორნამენტაციის საკითხისადმი ხანგრძლივი ფიქსაცია.

შორენა ფხაკაძე,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

ინოვაციური მასალები და ციფრული თექნოლოგიები თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების კონტექსტში

თანამედროვე ვიზუალურ ხელოვნებაში ახალი ტექნოლოგიებისა და მასალების როლი მნიშვნელოვნად გაზრდილია. ისინი არსებითად აფართოებენ ხელოვნების საზღვრებს და წარმოქმნიან შემოქმედების ახალ ფორმებს. განსაკუთრებით აქტუალური გახდა 3D პრინტინგის, ინტერაქტიური ინსტალა-

ციებისა და ნანოტექნოლოგიების გამოყენება, რაც ვიზუალური ხელოვნების ევოლუციურ ბუნებას განასახიერებს.

ანიშ კაპური 3D მოდელირებისა და თანამედროვე მასალე-ბის გამოყენებით ქმნის სივრცულ და ემოციურ გამოცდილებებს, რომლებიც მაყურებელში ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ რეაქციას იწვევენ. რეფიკ ანადოლი ინტეგრირებს ციფრულ მედიასა და ხელოვნურ ინტელექტს ვიზუალურ ინსტალაციებში, სადაც მონაცემები გარდაიქმნება დინამიკურ, ცვალებად არტ ნარატივებად. ინტერაქტიურობის პრინციპზე დაფუძნებულია ტომას სარასენოს ეკო-ინსტალაციებიც, რომლებიც აერთიანებენ საზოგადოებრივ ჩართულობასა და სივრცის შემოქმედებით შეგრძნებას.

ტექნოლოგიური ინოვაციები აჩენენ ეთიკურ და ფილოსოფიურ კითხვებს ავტორობის, ორიგინალობისა და ხელოვნების სოციალური ფუნქციის შესახებ. მათი ინტეგრაცია თანამედროვე ვიზუალურ პრაქტიკაში არა მხოლოდ ვიზუალური ფორმების გარდაქმნას განაპირობებს, არამედ ხელოვნების შინაარსისა და ზემოქმედების არეალის რადიკალურ ცვლილებასაც.

ნათია წულუკიძე,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს

სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

იყიდება ღარიბების ძმეყანა - რაბოთ არ არის პროთესტი თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში?

თუ ვიტყვით, რომ ხელოვნება, ნებისმიერი ეპოქის თუ ჟანრის, სწორედ პროტესტი, აჯანყება და ამბოხია, ხოლო ხელოვანი აჯანყებული ნონკონფორმისტი, სიახლე ნამდვილადად არ იქნება. ხშირად ხელოვნებაში, წმინდა არტისტული თემებისა და სტილური დაპირისპირების პარალელურად, ამბოხების მიზეზი ისტორიულად არსებული უსამართლობა ან ტრაგედიები ხდება. განსაკუთრებით თანამედროვე ხელოვნებას ახასიათებს

საპროტესტო თემებზე რეფლექსია და ეკოლოგიიდან დაწყებული, გენდერული თემით დამთავრებული ყველა თანამედროვე პრობლემაზე შეგვიძლია გავიხსენოთ სრულიად შესანიშნავი არტისტები და არტეფაქტები.

ძნელი დასაჯერებელია და სამწუხაროც, მაგრამ ფაქტია, რომ თანამედროვე ქართული ხელოვნება საქართველოს ისტორიისაგან მოწყვეტით არსებობს. შესაძლოა სხვაგვარადაც ვთქვათ - თანამედროვე ქართული ხელოვნება თანამედროვე ისტორიას ვერ აღიქვამს შემოქმედებითი იმპულსის გამაცოცხლებელ ძალად. კიდევ სხვაგვარადაც შესაძლოა ვთქვათ - განიცდის და ხედავს ტრაგედიას, თუმცა თანამედროვე ქართული ხელოვნება განცდილის ასახვის ადეკვატურ ფორმას ვერ პოულობს - ისტორიული ფაქტისაგან ვერ ქმნის ხელოვნების ნიმუშს, სავსეს ნამდვილი შემოქმედებითი მუხით და დაცლილს ყოველგვარი პათეტიკურობისაგან.

არადა, თანამედროვე ქართული ხელოვნებაც არსებობს, თანაც ძალიან საინტერესო და კარგი, და ტრაგედიებით და საპროტესტო თემებით სავსე საქართველოს ისტორიაც. ამ ტრაგედიების უშუალო მომსწრე და შესაბამისად, უშუალო განმცდელი თანამედროვე ქართველი ხელოვანია. თუმცა ხელოვნების ნიმუშში ეს ორი უმთავრესი აქტორი არ/ვერ ერთიანდება. ასეთი გაერთიანების სულ ორი მაგალითი მახსენდება - თენგიზ აბულაძის „მონანიება“ და იური მეჩითოვის 9 აპრილის ფოტო. იმ ტრაგედიების სია კი, რომლებსაც თანამედროვე ქართველ ხელოვანში შემოქმედებითი ამბოხი და პროტესტი უნდა გამოეწვია, უსასრულოდ გრძელდება. არაფერი გვაქვს ღირებული აფხაზეთის, სამაჩაბლოს, სამოქალაქო ომების, ბნელი და სისხლიანი 90-იანების, დღემდე დაუძლეველი ეკონომიკური სიდუხჭირის, გენდერული პრობლემებისა და ფემიციდის შესახებ.

ამგვარი დაკვირვების საფუძველზე, ბუნებრივია, ჩნდება:

1. კითხვები - რატომ არ აჯანყდა თანამედროვე ქართველი ხელოვანი? ვერ ხედავს? არ განიცდის? კონფორმიზტია და თვალს არიდებს? ურჩევნია ეგრეთ წოდებული „სალონური ხელოვნების“ სტანდარტი დაიცვას და მხოლოდ მოზომილი პროტესტით შემოიფარგლოს?

2. დასკვნა - თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში ვერ და არ ხდება ეროვნული და ისტორიული ტრადიციების ასახვა-გააზრება.

თუმცა, ეს თავისთავად ტრაგიკული კითხვაცა და დასკვნაც, შესაძლოა, ოდნავ მაინც შევარბილოთ თუ:

1. თანამედროვე ქართულ ფოტოგრაფიას განვიხილავთ.

2. ეგრეთ წოდებული ტრადიციულ ხელოვნებას გავცდებით, მუზეუმებიდან და გალერეებიდან ქუჩაში გავალთ და საქართველოში ახალგაჩენილ, კედლებზე გაფანტულ სთრიტ არტის ნიმუშებს „შევა-გროვებთ“.

სთრიტ არტის უმთავრესი კონცეფცია სწორედ პროტესტია, უმეტესად ანონიმურად გამოხატული. ამიტომაც, თუკი თბილისის ქუჩებში, ჩამოშლილ კედელზე მიხატულ ხელნაკეთ „სარეკლამო განაცხადს“ წავიკითხავთ:

„იყიდება ღარიბების ქვეყანა. კარგი ლოკაციით, სარემონტო მდგომარეობაში“ - უნდა ვიცოდეთ, რომ ეს სწორედ იმ ხელოვნების ნიმუშია, რომლის მთავარი ღირსებაც ნონკონფორმისტი ხელოვანის თანამედროვე ტრადიციის გააზრება და გულწრფელი ასახვაა.

მედიის კვლევები

გიორგი გრძელიშვილი,
სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის
ფაკულტეტის მედიისა და მასკომუნიკაციის მიმართულების
დოქტორანტი

ხელოვნური ინტელექტი, როგორც ახალი ესთეტიკის მდგენელი თანამედროვე მედია კლასიფორმაცია

როგორია ესთეტიკის კატეგორიები, რა ესთეტიკურ პრობლემეტიკას ხედავდნენ ჯერ კიდევ ანტიკური ფილოსოფოსები და რას გულისხმობს თანამედროვე ესთეტიკა? რა სხვაობაა ესთეტიკის კლასიკურ და თანამედროვე აღქმას შორის? რამდენად უკავშირდება ესთეტიკა დღევანდელი გამოცდილებით მხოლოდ ხელოვნებისა და მშვენიერების განსაზღვრებას?

ხელოვნური ინტელექტი, რასაც შემოკლებით ყველა სამეცნიერო თუ სხვა წყაროებში ვხვდებით აბრევიატურით AI, თანამედროვე მსოფლიოში უკვე ყველასთვის ხელმისაწვდომია. ხელოვნური ინტელექტის დაბადებას მკვლევართა უმრავლესობა ინგლისელ მათემატიკოსს, კომპიუტერული მეცნიერებების პიონერს, ალან ტურინგს უკავშირებს, რომელმაც საკუთარ პუბლიკაციაში „გამოთვლითი მანქანა და ინტელექტი“ (1950) დასვა საკითხი: შეუძლიათ თუ არა მანქანებს აზროვნება? სწორედ ამ პერიოდის შემდგომ, ეს თემა თანდათანობით სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენდა.

AI-ს კონვერგენცია მედიის სფეროში ეს არ არის მხოლოდ ტენდენცია, მან მედიის ფუნქციონირებაში ფუნდამენტური, რევოლუციური ცვლილებები შეიტანა. ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია ჟურნალისტიკასა და მედიაში თავდაპირველად განპირობებული იყო დიდი მოცულობის მონაცემების დამუშავება-დახარისხებისა და ანალიზისთვის. ეს მნიშვნელოვანი იყო განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ეკონომიკური და სპორტული ჟურნალისტიკა, სადაც სტატისტიკის სწრაფ გადამუშავებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მიზნის მისაღწევად კი ხელოვნური ინტელექტი საუკეთესო და ყველაზე სწრაფი საშუალებაა.

ხელოვნური ინტელექტი წარმოშობის თანავე მნიშვნელოვან ძალად იქცა თანამედროვე მედიაში. ის არა მხოლოდ მედიის წარმოებასა და მოხმარებას გარდაქმნის, არამედ გავლენას ახდენს სოციალურ ნორმებზე, ღირებულებებსა და იდენტობაზე. მედიის, ისე როგორც ზოგადად სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა მკვლევრები სულ უფრო მეტად ამახვილებენ ყურადღებას ხელოვნური ინტელექტის როლზე ახალი მედია ლანდშაფტების ჩამოყალიბებაში.

ახალი მედია პლატფორმები ხელოვნურ ინტელექტს იყენებენ მომხმარებელთა კონტენტის პერსონალიზებისთვის. ალგორითმები აანალიზებენ მომხმარებლის ქცევას, პრეფერენციებს რეკომენდაციების მიწოდებისთვის, რაც მნიშვნელოვნად მოქმედებს საერთო ესთეტიკურ აღქმაზე ისეთ პლატფორმებზე, როგორებიცაა YouTube, Instagram და Spotify. ეს პერსონალიზაცია არა მხოლოდ ზრდის მომხმარებლის კმაყოფილებას, არამედ ხელს უწყობს დამყარდეს უფრო ღრმა კულტუროლოგიური კავშირი მომხმარებლებსა და ახალი მედიის მიერ მიწოდებულ კონტენტს შორის.

ნანა დოლიძე,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და მასობრივი
კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

კინო, როგორც ისტორიული დროის რეპრეზენტატორი და მეხსიერების არქივი

(ომი, რომელიც დღემდე გრძელდება – 2008 წლის 5-დღიანი
ომის ისტორია რუსულ კინოში)

კინემატოგრაფის ისტორია ნათლად ადასტურებს, რომ კინო დროთა განმავლობაში, არა მხოლოდ მხატვრული თვითგამოხატვის საშუალებად, არამედ კოლექტიური მეხსიერების კონსტრუირებისა და პოლიტიკური ნარატივების ფორმირების ძლი-

ერ იარაღადაც ჩამოყალიბდა. განსაკუთრებით, დოკუმენტური და ფსევდოდოკუმენტური ფორმატები, არა მხოლოდ წარსულის ინტერპრეტაციისთვის, არამედ მომავლის ფორმირების იარაღადაც გამოიყენება — როდესაც მეხსიერება პოლიტიკურ ინსტრუმენტად იქცევა. სახელმწიფო კინემატოგრაფს, როგორც რბილი ძალის უმნიშვნელოვანეს მექანიზმს, მიზანმიმართულად იყენებს ისტორიის „სასურველი“ ვერსიის განსამტკიცებლად, იდეოლოგიური ღირებულებების გადაცემისა და საზოგადოების ცნობიერებაზე ზემოქმედების მიზნით.

რა ისტორიას მოგვითხრობს რუსული კინემატოგრაფი, განსაკუთრებით 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ? რა არქივდება საზოგადოების მეხსიერებაში და როგორ იყენებს რუსეთის ხელისუფლება კინემატოგრაფს იდეოლოგიური გავლენის იარაღად? ყურადღება გამახვილებულია აგვისტოს ომის და სამაჩაბლოს კონფლიქტის ინტერპრეტაციებზე რუსულ სამხედრო-პატრიოტულ ფილმებში, მეხსიერების პოლიტიკისა და პოლიტიკური ნარატივების ჭრილში.

კვლევის საგანია ის, თუ როგორ ხდება კინემატოგრაფიული ენით ისტორიული კონფლიქტის გადაკეთება „გმირული გადარჩენის“, „რუსული სამშვიდობო მისიისა“ თუ „სამართლებრივი ჩარევის“, ნარატივად, რაც ხელს უწყობს რუსეთის მიზანს – შეინარჩუნოს გეოპოლიტიკური გავლენა და მოახდინოს ეროვნული იდენტობის პოლიტიკური მობილიზაცია.

პირველი ფილმი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დამთავრებიდან სულ რამდენიმე თვეში გამოვიდა „ოლიმპუს ინფერნო“ („Olympus Inferno“ 2009 წლის 29 მარტი) და ნათელი გახდა, რომ ომი მხოლოდ ფრონტის ხაზზე არ მიმდინარეობს, ის განაგრძობს არსებობას მათ შორის კინემატოგრაფიულ სივრცეშიც, სადაც იდეოლოგიური დაპირისპირება მედიისა და კულტურის ენით საუბრობს. კინო, ამ შემთხვევაში, მხოლოდ დროის ამსახველი საშუალება კი არაა, არამედ თვითონვე ხდება ისტორიის კონსტრუირების აქტიური ნაწილი და იდეოლოგიური სურათის ჩამოყალიბების მექანიზმიც.

თეონა ზედანია,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და
მასკომუნიკაციის მიმართულების დოქტორანტი

რადიო, როგორც კულტურული დიფუზიის ინსტრუმენტი

რადიომ, როგორც კომუნიკაციის პირველმა რეალურად მასობრივმა საშუალებამ, ფუნდამენტალური და ამასთანავე, დღეისათვის ნაკლებად ნაკვლევი როლი შეასრულა XX საუკუნის კულტურული დიფუზიის პროცესებში, რადგან სწორედ რადიო ახდენდა ნაციონალური იდენტობების ტრანსფორმაციას და აყალიბებდა გლობალურ კულტურულ ნაკადებს. ნაშრომში რადიო განხილულია როგორც:

- 1) მუსიკალური ჟანრების ტრანსნაციონალური გავრცელების მძლავრი აგენტი, რომელიც ხელს უწყობდა გლობალური მუსიკალური კულტურისა და ლოკალური ჰიბრიდული ფორმების ჩამოყალიბებას;
- 2) პოლიტიკური იდეებისა და იდეოლოგიური და კულტურული ღირებულებების დისემინაციის საკვანძო არხი, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენდა საზოგადოებრივ აზრსა და კულტურული უპირატესობების განსაზღვრაზე „იკივი ომისა“ და დეკოლონიზაციის პირობებში;
- 3) ეროვნული კულტურის შენახვისა და ნებისმიერ მანძილზე ტრანსლირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი;
- 4) ყველა რადიოფიცირებულ ქვეყანაში ენის ნორმათა სტანდარტიზაციის ძირითადი ინსტრუმენტი;
- 5) სამომხმარებლო კულტურის გლობალიზაციის მთავარი მედიატორი, რომელმაც პირველად გამოიყენა რეკლამა ცხოვრების გარკვეული სტილების პოპულარიზაციის მიზნით.

ნაშრომის მთავარი მიგნება მდგომარეობს იმის დადასტურებაში, რომ რადიო წარმოადგენდა არა უბრალოდ ინფორმაციის გადაცემის საშუალებას, არამედ XX საუკუნის კულტურული დიფუზიის საკვანძო ტექნოლოგიურ და სოციალურ ინსტიტუტს. ის დაბრკოლების გარეშე არღვევდა გეოგრაფიულ და სოციალურ

საზღვრებს, აჩქარებდა კულტურული ექსპორტ-იმპორტისა და ჰიბრიდიზაციის პროცესს, აყალიბებდა ახალ იდენტობებს და ახდენდა ღრმა გავლენას მილიონობით ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებასა და მსოფლმხედველობაზე მთელ მსოფლოში.

ბილგე კალკავანი,
ჰასან კალიონჯუს სახელობის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
ზუბეიდე გამზე შაჰინი,
ჰასან კალიონჯუს სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი

ციფრული მედიის ჩართულობა და თაობა Z-ის ზნე-ჩვეულებანი: ანალიზი კულტურის ინდუსტრიისა და ჰაბიტუსის ფარგლებში

ცხოვრებასა და ციფრულ მედიაში თავისი განსაკუთრებული ჩართულობით თაობა Z ხელახლა აყალიბებს თაობათა შორის ურთიერთობებს. ციფრული გამოცემების ხელმისაწვდომობამ, რასაც ერთვის სივრცისა და დროის პრობლემის გადალახვა, ხელი შეუწყო მის მასშტაბურ ათვისებას ფართო აუდიტორიების მიერ. შედეგად, სახეზეა არა მხოლოდ მედიის კონტენტის, არამედ ხელოვნების ნიმუშების წარმოების, გავრცელებისა და მოხმარების ტრანსფორმაცია. ციფრულ მედიასთან თაობა Z-ის ურთიერთქმედების მასშტაბების გათვალისწინებით, წინამდებარე სტატიაში განხილულია ახალგაზრდების ჩართულობა მედიაში და მათი ზნე-ჩვეულებანი, ასევე ის, თუ როგორ აისახება ეს ზნე-ჩვეულებანი მათი პერსონალური კომუნიკაციის უნარებზე. ციფრული გამოცემლობის მიერ უზრუნველყოფილი შეუზღუდავი წვდომა ხელს უწყობს ციფრულ პლატფორმებზე ხელოვნების ნიმუშების გავრცელების არეალის გაფართოებას, სწრაფ მოხმარებას და უწყვეტ რეპროდუცირებას. შესაბამისად, „კულტურის ინდუსტრიის“ ფარგლებში შეფასებული ხელოვნება იქცევა მასობრივი წარმოება-მოხმარების ციკლის ნაწილად და კარგავს ორიგინალურობას. „კულტურის ინდუსტრიის“, როგორც კრიტიკული თეორიის კონცეფციის, ასევე

ბურდიეს „ჰაბიტუსის“ თეორიის საფუძველზე, წინამდებარე კვლევაში განხილულია ციფრული მაუწყებლობის გავლენა ახალგაზრდობის მედიის მოხმარებაზე, ასევე გაანალიზებულია „მოხმარებისა და დაკმაყოფილების“ მიდგომის ფარგლებში ცალკეულ ინდივიდუუმთა მოტივაცია მედიის მოხმარების მხრივ. ეს თეორიული თვალთახედვა გვიჩვენებს, რომ თაობა Z აღიქვამს ხელოვნებას არა მხოლოდ ესთეტიკური ობიექტის სახით, არამედ იდენტობის კონსტრუირების, სოციალიზაციისა და პიროვნებათა შორის ურთიერთქმედების საშუალების ფორმადაც.

თვისობრივი კვლევის მეთოდოლოგიისა და რამდენიმე მაგალითის შესწავლის საფუძველზე ჩატარდა სტრუქტურირებული ინტერვიუები თაობა Z-ის 20 წარმომადგენელთან, რომლებიც შერჩეულნი იყვნენ „თოვლის გუნდის“ (როცა რესპონდენტები რეკომენდაციას უწევენ და ინტერვიუების ჩატარების პროცესში (რესპონდენტების როლში) რთავენ თავიანთი სამეგობრო წრის წარმომადგენლებს) მიზნობრივი მეთოდის საფუძველზე. ინტერვიუებიდან მიღებული მონაცემები დამუშავდა კონტენტის ანალიზის მეთოდის მეშვეობით, რის შედეგადაც დადგინდა მონაწილეთა დამოკიდებულებები ციფრული პლატფორმებისა და ციფრული ხელოვნების კონტენტის მიმართ, ასევე მათი ზნე-ჩვეულებები მედიისა და ხელოვნების მოხმარების კუთხით, და ის, თუ როგორ აისახება ეს ზნე-ჩვეულებანი მათი პერსონალური კომუნიკაციის უნარებზე. კვლევის შედეგების თანახმად, ციფრული გამოცემლობა გავლენას ახდენს თაობა Z-ის პერსონალურ კომუნიკაციაზე, გვევლინება რა როგორც ხელშემწყობის, ისე ხელისშემშლელის ამპლუაში. ამ სტატიაში დეტალურადაა აღწერილი კულტურის ინდუსტრიის გავლენა ხელოვნების ქცევაზე მოხმარების საგნად და მისი სტანდარტიზაცია, ასევე ის, თუ როგორ განსაზღვრავს ჰაბიტუსის კონცეფცია ახალგაზრდობის მიერ ხელოვნების აღქმასა და მოხმარებას. სტატიაში ხაზგასმულია, რომ ახალი თაობებისთვის, რომლებმაც უკვე გაითავისეს ციფრულ მედიასთან ურთიერთქმედება ყოველდღიურ ცხოვრებაში, აუცილებელია ციფრული ცხოვრების თანმხლები პოტენციური რისკების მიმართ კრიტიკული შეხედულებების გამომუშავება.

თეა სხიერელი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი,
მასკომუნიკაციის დოქტორი

პრესრელიზის ტრანსფორმაცია ციფრულ ეპოქაში: კომუნიკაციის ტრადიციული ფორმის რეკონსტრუქცია

პრესრელიზი XX საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბდა, როგორც სტანდარტიზებული სტრუქტურის ტექსტი, რომელიც ასახავდა ორგანიზაციის ოფიციალურ პოზიციას და უზრუნველყოფდა მედიასთან კონტროლირებად ურთიერთობას. ის წარმოადგენდა ერთმიმართულებიან საკომუნიკაციო არხს, რომლის მიზანი იყო ინფორმაციის სწრაფი და ზუსტი გავრცელება პრიორიტეტულად ტრადიციული მასმედიის საშუალებით.

ციფრული ეპოქის პირობებში პრესრელიზის ფუნქციური და სტილისტური სტრუქტურა არსებითად ტრანსფორმირდა. სტატიკური ტექსტური მოდელის ნაცვლად, ის იქცა მრავალარხიან ადაპტირებულ საკომუნიკაციო პროდუქტად, რომელიც თანაბრად ერგება როგორც ტრადიციულ მედიასაშუალებებს, ისე სოციალური მედიის პლატფორმებს. ამ პროცესს თან ახლავს პრესრელიზში მულტიმედიური ფორმატების ინტეგრაცია: ვიდეომასალა, ინფოგრაფიკა, პოდკასტები, ფოტოგალერეები და ინტერაქტიური ელემენტები მნიშვნელოვნად ზრდის ინფორმაციის აღქმის ეფექტიანობას და აუდიტორიის ჩართულობას.

მნიშვნელოვანი ცვლილებაა აუდიტორიის გაგებაშიც: პრესრელიზი აღარ განისაზღვრება მხოლოდ ჟურნალისტებისთვის განკუთვნილ მასალად, ის მიმართულია ფართო საზოგადოებისადმი და ვრცელდება როგორც ტრადიციული მედიის, ისე ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული მედიაარხების (owned media) მეშვეობით. პრესრელიზი ციფრულ ეპოქაში იქცა კომუნიკაციის „ძირულ ტექსტად“, რომლის საფუძველზეც იქმნება მრავალფეროვანი ფორმატით წარმოდგენილი შინაარსი – სოციალური მედიის პოსტებიდან ელექტრონულ ბიულეტენებამდე. ციფრული ტექნოლოგიებისა და ალგორითმული გავრცელების

შესაძლებლობების კონტექსტში, პრესრელიზი კორპორაციული პოზიციის ერთიან ეფექტიან კომუნიკაციას უზრუნველყოფს იმ ფორმატებში, რომლებიც აუდიტორიის მედიამოხმარების ციფრულ პრაქტიკებს შეესაბამება.

ნათია ტყემალაძე,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დოქტორანტი

მედიანის ტრანსფორმაცია ციფრულ ეპოქაში

კაცობრიობის განვითარებასთან ერთად, ინფორმაციის გადაცემა-გავრცელების ფორმები რადიკალურად იცვლებოდა. თავდაპირველად ის ზეპირად ვრცელდებოდა და ამისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ორატორები (დემოს-თენე, ციცერონი...), შემდეგ კი გაჩნდა ბევრად ეფექტური საინფორმაციო საშუალებები – გაზეთი, ჟურნალი, ფონოგრაფი, გრამოფონი, რადიო, ტელევიზია და ინტერნეტი.

მედია მოიცავს მასობრივი კომუნიკაციის ყველა საშუალებას (წიგნი, ფილმი, ბეჭდური/სამაუწყებლო/ონლაინმედიასაშუალებები, რეკლამა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, შოუბიზნესი და მასობრივი სპორტული სანახაობები). 1990-იანი წლები ბეჭდური მედიის ხანაა, რაც ძალიან მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს. მას თავისი ენა აქვს (გაფართოებული, შემუშავებული კოდების ენა; კომპოზიციური წესრიგი; ჟანრის სტილის, ტონალობის დაცვა; გამართული რთული წინადადებები; ინტერტექსტი...). ინტერნეტმა წარმოშვა ახალი სახე მედიისა. ის განვითარდა 1960-იან წლებში აშშ-ში, როგორც ექსპერიმენტული ქსელი, რომელიც სწრაფად გაიზარდა და მოიცვა სამხედრო, ფედერალური, რეგიონული, საუნივერსიტეტო, ბიზნეს- და პირადი მომხმარებლები. აღსანიშნავია, რომ ინტერნეტის წარმოშობამ ენასთან მუშაობა უფრო გააადვილა ტექნიკური თვალსაზრისით, რადგან ტექსტი გაციფრულდა, მასზე

წვდომა გამარტივდა და იოლად გავრცელებადია ტვიტების, ბლოგებისა და ვიდეოების საშუალებით. მიუხედავად ამ ტექნოლოგიური პროგრესისა, ენა ისეთი დაბინძურებული არასოდეს ყოფილა, როგორც ახლაა. სწორედ ინტერნეტმა გახადა თანამედროვე მედიაენის სტილი სასაუბრო და საკომუნიკაციო. ტრადიციულ მედიაში (ჟურნალ-გაზეთები, ტელე-რადიო) გავრცელებული წიგნებისა და გაზეთებისთვის შემუშავებული ენა, ნორმები ვეღარ მოარგეს სოციალურ სივრცეს ინგლისური ენის პრივილეგიისა და დომინირების გამო. არაფორმალური მეტყველება გახდა უპირატესი აზრის მარტივად გავრცელება-აღქმისათვის. თანამედროვე მედია მოიცავს სოციალურ ქსელებს, რაც არის უზარმაზარი ლექსიკური მასივი, რომელშიც უამრავი ფუნქციური დანიშნულების და სტილური შეფერილობის მქონე ტექსტი გვხვდება. ენის მომხმარებელთა დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, ინგლისურად წერს სტატუსებს, ბლოგებს, რამაც საზოგადოებისთვის საიმისო ფორმა და ფართო აუდიტორიასთან წვდომის შესაძლებლობა მიიღო. ყველა ციფრული ქსელის ფუნქციონალს ტექსტის თავისი შაბლონი აქვს: სიტყვების განსაზღვრული, შეზღუდული რაოდენობა, ხატ-ნიშნებისა და ნიშან-ინდექსების გამოყენების აუცილებლობა, ტექსტის განსაზღვრული ტიპის დომინაცია (მაგალითად, ვიდეო ტიკტოკზე), რეკლამის დამკვეთების გავლენა (ინფლუენსინგის ენა, მაგ., ინსტაგრამზე). ეს პროცესი უშუალოდ ზემოქმედებს აღქმასა და მომხმარებლის ცნობიერებაზე.

სოციალური ქსელების ენა, ენობრივი სტრუქტურა თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ მედიაენა მუდმივად განახლებადი და კულტურულად დატვირთული სისტემაა, რომლის გაანალიზება აუცილებელია როგორც მედიაწიგნიერების, ისე კულტურის კვლევის თვალსაზრისით.

გიორგი ჩართოლანი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი მასობრივი კომუნიკაციის და
მედიის კვლევების პროფესორი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

ვირტუალური რეალობა (VR), ხელოვნების ახალი მედიუმი

რას ნიშნავს ვირტუალური რეალობა (VR)? რამდენად ინტენსიურად იყენებს მას თანამედროვე ადამიანი საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში? ბევრ მკვლევარს ვირტუალური რეალობა გარკვეულ საფრთხედ მიაჩნია ადამიანებს შორის პირდაპირი კომუნიკაციისთვის, რაც მათი ფიზიკური და სულიერი მარტოობის მიზეზადაც შესაძლებელია იქცეს. მიუხედავად ამისა, არის კი შესაძლებელი დღეს ადამიანმა უარი თქვას იმ „კომფორტზე“, რასაც ეს სამყარო გვთავაზობს?

ჩვენი კვლევის საგანია, რა გავლენას ახდენს ვირტუალური რეალობა (VR) სახელოვნებო სივრცეზე. დღემდე არსებული სახელოვნებო წესრიგის მიხედვით, ერთი (ხელოვანი) ქმნის – მეორე მოიხმარს, ანუ შემოქმედებითი პროდუქტის მიმართ, მომხმარებელი არის მხოლოდ დამკვირვებელი. თუმცა, ხელოვნება რაღაც ეტაპზე და გარკვეული დოზით ცდილობდა მომხმარებლის შექმნის პროცესში ჩართვას. ოცდამეერთე საუკუნემ და ეგრეთ წოდებული ვირტუალური რეალობის (VR) შექმნამ, ეს შესაძლებლობა გაცილებით მარტივი და სრულფასოვანი გახადა. ვირტუალური რეალობა ახალ წესრიგს ამყარებს სახელოვნებო სივრცეში.

ციფრული (მეტა) სათვალე, უმოკლესი გზაა იმისთვის, რომ ადამიანებმა „შეაღწიონ“ შემოქმედებით პროდუქტში და იყვნენ არა დამკვირვებლები, არამედ პროცესის სრულფასოვანი მონაწილეები. ვირტუალური, ციფრული რეალობის (VR) ტექნიკური მოწყობილობების საშუალებით ადამიანს შეუძლია არა მხოლოდ უყუროს, დაესწროს რომელიმე თეატრის წარმოდგენას, არამედ თავად იქცეს ამ სპექტაკლის მოქმედ გმირად. იშლება ზღვარი შემქმნელსა და მომხმარებელს შორის.

მომავალ ხელოვანებს, ან სახელოვნებო ინსტიტუტებს, მოუწევთ გახდნენ მოქნილები და ელასტიკურები, რათა შეძლონ სწრაფად და თანმიმდევრულად აპყვნენ VR-ის შემოთავაზებულ ახალ სახელოვნებო წესრიგს.

ახალი „ციფრული თობისთვის“, ციფრული სამყარო უფრო რეალურია, ვიდრე არსებული და ესთეტიკურ ტკბობასაც უფრო მეტად სწორედ ციფრულ ფორმატში შექმნილი ნიმუშები ანიჭებენ. ამ თაობისთვის სწორედ ვირტუალური რეალობა (VR) იქცევა ხელოვნების ახალ მედიუმად.

თეა ცაგურია,
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

მედიევლების სპეციფიკა და თავისებურებანი თანამედროვე მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებში

თანამედროვე ეპოქაში მასმედია მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში. ტელევიზია, რადიო, ბეჭდური მედია, სოციალური ქსელები მედია საშუალებათა ერთობლიობაა, რომლებიც არა მხოლოდ ინფორმაციის გავრცელებას ემსახურებიან, არამედ ზეგავლენის ინსტრუმენტები არიან. ხშირ შემთხვევაში, მასმედიის საშუალებით ხდება ადამიანებში გარკვეული საკითხების მიმართ შეხედულებების ფორმირება, იგი შეიძლება გახდეს მიმართულების მიმცემი და გარკვეული პოზიციისა თუ ტენდენციის დამწერგავი. ჟურნალისტის მთავარი „იარაღი“ მისი სამეტყველო უნარებია, დიდია მისი როლი სამეტყველო სტილის ჩამოყალიბებაშიც, ყოველივე ამან, შესაძლოა, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გავლენა იქონიოს საზოგადოებაზე.

სტატიაში განხილულია თანამედროვე მასმედიის დადებითი და უარყოფითი მხარეები, ვერბალური და არავერბალური ხერხები ადრესატზე ზეგავლენის მოსახდენად, ჟურნალისტის სამეტყველო სტილი და ტენდენციები.

მუსიკოლოგია

ნია ბარაბაძე,
თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორის დოქტორანტი
ხელმძღვანელი - მარინა ქავთარაძე

ახალი დროის ხმოვანება: ტექნოლოგია და იმპროვიზაცია რეზო კიკნაძის კომპოზიციურ პროცესში

90-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის ნგრევისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, საქართველოს კულტურულ და სოციალურ სივრცეში ახალი პროცესები დაიწყო. ქართულ აკადემიურ მუსიკაში გამოჩნდა კომპოზიტორთა თაობა, რომელმაც ელექტრონული მუსიკა მხოლოდ ინოვაციად კი არ მოიაზრა, არამედ გარდაქმნა ის დროის, სივრცისა და საზოგადოებრივი დისკურსის მუსიკალურ ანალიზად; მაკა ვირსალაძე, ეკა ჭაბაშვილი და რეზო კიკნაძე - განსხვავებული ესთეტიკითა და საერთო დროით სივრცეში ქმნიან ელექტრონული მუსიკის სხვადასხვა მოდელს, რომლებიც ექსპერიმენტების გზით ტრადიციული კომპოზიციური სისტემის ალტერნატიულ ახალ ხმოვან არქიტექტურას უდებენ საფუძველს.

მოხსენება ფოკუსირდება კომპოზიტორისა და იმპროვიზატორის, რეზო კიკნაძის ელექტრონულ ოპუსებზე - რომელიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურად გვევლინება თანამედროვე ქართული ელექტროაკუსტიკური მუსიკის ფორმირებაში. ჩვენი მიზანია შემდეგ კითხვებს გაეცეს პასუხი: როგორ იყენებს ის მუსიკის ტექნოლოგიას კონცეპტუალურ დონეზე, როგორ იქმნება ინტერაქცია იმპროვიზაციას, სივრცესა და ხმოვან ტექსტურებს შორის? როგორ შეიძლება ხმაური და არამუსიკალური ჟღერადობები იქცეს მუსიკად? როგორ გამოიყენება field recording-ი მის ელექტრონულ მუსიკაში? რამდენად იშლება ზღვარი „ხმასა“ და „მუსიკას“ შორის? როგორ იქცევა ტექნოლოგია პოეტური ხაზის ბაზისად? დასმულ შეკითხვებს მოხსენებაში კონკრეტული ნამუშევრების ანალიზის საფუძველზე გავცემა პასუხი.

ბაიბა იაუნსლავიეტე,
ლატვიის იაზეპ ვიტოლის სახელობის მუსიკალური
აკადემიის პროფესორი

პროგრამული მოთხოვნი პედიარის ვასკსის ნანარმომეპეში სიმებიანი ორკესტრისთვის

მოსხენება ეძღვნება საერთაშორისო მასშტაბით ცნობილ ლატვიელ კომპოზიტორს, პეტერის ვასკსს, რომელიც 2026 წელს თავის 80 წლის იუბილეს აღნიშნავს. ყურადღება გამახვილდება მისი სიმებიანი ორკესტრისთვის დაწერილ მუსიკაზე, რომელიც მრავალფეროვან პროგრამულ მოთხოვებს მოიცავს. 2008 წელს მუსიკოლოგ ილონა ბუდენიეცესთან ინტერვიუში ვასკსი აღნიშნავდა:

„დასახელება, თუკი ის საკმარისად წარმატებულია, ქმნის განწყობას და ეხმარება მსმენელს ჯერ კიდევ მოსმენის დაწყებამდე. ის რაღაცას წინასწარ ამბობს, რათა მსმენელი შუა მინდორში მარტო არ დარჩეს და იცოდეს, საით უნდა გაიხედოს“.

(მუსიკის აკადემიის ნაშრომები, VII, 2008, გვ. 124)

ვასკსი იყენებს როგორც ლატვიურ, ისე ლათინურ პროგრამულ სათაურებს. რამდენიმე მაგალითია:

- Vēstījums („შეტყობინება“) – სიმებიანი ორკესტრის, დასარტყამების და ორი ფორტეპიანოსთვის
- პირველი სიმფონია Balsis („ხმები“)
- Musica dolorosa – სიმებისთვის

სათაურების მნიშვნელობის გაგება შესაძლებელია როგორც თავად კომპოზიტორის განმარტებების, ისე მუსიკალური ენის ანალიზის გზით, რაც ამ კვლევის ნაწილი იქნება. საბჭოთა პერიოდში პროგრამული მოთხოვები შთააგონებდა ახალ ტექნიკურ მიდგომებს ლატვიურ მუსიკაში, როგორიცაა სონორიზმი და ალეატორიკა (Musica dolorosa). ისინი გვხვდება როგორც დრამატულ კონტექსტში (Musica dolorosa, Vēstījums), ისე იდეალური ჰარმონიის სიმბოლოდ და ფრინველთა ხმების იმიტაციის სახით – რაც კომპოზიტორისთვის საყვარელი თემა იყო (სიმფონია Voices).

პრეზენტაცია ცდილობს უპასუხოს შემდეგ კითხვებს:

- რა ესთეტიკური იდეები და ღირებულებები აისახება ვასკის პროგრამულ ნაწარმოებებში?
- როგორ მოქმედებს ეს სათაურები მუსიკალურ ენასა და ფორმაზე? აქვთ თუ არა მათ მეტი თავისუფლება, შედარებით მის ნაწარმოებებთან (სიმფონიები, კონცერტები), რომლებსაც არაპროგრამული სათაურები აქვთ?

ამ კითხვებზე პასუხის მოსაძებნად, წარმოდგენილი იქნება ვასკის რამდენიმე ნაწარმოების სტილისტური ანალიზი და ჩართდება ინტერვიუ თავად კომპოზიტორთან.

ივანე მაღარა,

ლატვიის იაზეპ ვიტოლის სახელობის მუსიკალური აკადემიის მუსიკათმცოდნეობის ფაკულტეტის დოქტორანტი

**სოლო სიმღერის პროგრამები ლატვიის
მუსიკალურ სკოლებში: შედარებითი
თვალთახედვა ომებს შორის პერიოდში
დამკვიდრებულ ტრადიციებზე და ადრეულ
საბჭოთა პერიოდზე (1920–50-იანი წლები)**

რეზიუმე: ამ სტატიაში განხილულია სოლო სიმღერის პროგრამები ლატვიის მუსიკალურ სკოლებში, ხაზგასმულია რეპერტუარის განვითარება დემოკრატიული, ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმების პირობებში, ასევე მათი გავლენა სასწავლო პროგრამების შინაარსსა და იდეოლოგიურ ორიენტაციაზე.

კვლევის საკითხი: რა გავლენა იქონია სხვადასხვა ეპოქის ესთეტიკურმა და პოლიტიკურმა იდეოლოგიებმა სოლო სიმღერის პროგრამების შინაარსზე, ასევე, რა ცვლილებები მოხდა თითოეულ განხილულ პერიოდში?

კვლევის მიზანი: ლატვიაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებების პერიოდში სოლო სიმღერის პროგრამების ისტორიული განვითარების, ასევე თანამედროვე ვოკალურ გა-

ნათლებამე, კერძოდ კი - რეპერტუარსა და მეთოდოლოგიაზე მისი გავლენის შესწავლა.

ძირითადი მიგნებები: მე-19 ს. მე-2 ნახევრიდან, ანუ რუსეთის იმპერიის პირობებში, მუსიკალურ განათლებას უზრუნველყოფდნენ კერძო სკოლებსა და კულტურულ საზოგადოებებში. ვოკალური რეპერტუარი მეტწილად ეყრდნობოდა იტალიურ ვოკალიზებს და კლასიკურ და რომანტიკულ კომპოზიციებს.

1918 წელს ლატვიის რესპუბლიკის დაარსების კვალდაკვალ გაიზარდა ინტერესი ეროვნული კულტურის მიმართ. დაარსდა სახალხო კონსერვატორიები, სადაც აქცენტი კეთდებოდა ლათვიელი კომპოზიტორების ნაწარმოებებზე. სტუდენტები, ძირითადად, სხვადასხვა ასაკის ახალი თაობის წარმომადგენლები იყვნენ. 1928 წელს შემოიღეს ერთიანი სასწავლო პროგრამა, ხოლო 1934 წელს კარლის ულმანისის ხელმძღვანელობით გადატრიალებისა და ავტორიტარული მმართველობის დამყარების შემდეგ დაწესდა ცენტრალიზებული კონტროლი.

საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში მუსიკალური განათლება გადაკეთდა 3-საფეხურიან სისტემად: საბავშვო და საშუალო მუსიკალური სკოლები და კონსერვატორიები. ამ სტრუქტურის წყალობით უზრუნველყოფილი იყო უწყვეტი პროცესი ადრე ასაკში სწავლებიდან პროფესიონალურ სპეციალიზაციამდე.

აღსანიშნავია, რომ ვოკალური განხრის მოსწავლეები ყველა ეპოქაში მხოლოდ 16 (ქალები) და 18 (კაცები) წლის ასაკიდან მიიღებოდნენ, რაც აიხსნება მბგერავი აპარატის ბიოლოგიური მომწიფების აუცილებლობით. თითოეულ პოლიტიკურ ეპოქაში ყალიბდებოდა ვოკალური განათლების საკუთარი შინაარსობრივი მხარე, რომელიც დასავლეთევროპული გავლენიდან (ძირითადად, გერმანული რომანტიზმი) ლატვიური ნაციონალიზმისკენ, ხოლო მოგვიანებით - საბჭოთა სოციალისტური რეალიზმისკენ იხრებოდა. მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ სოლო სიმღერა იდეოლოგიურ კონტროლს დაუქვემდებარეს. რეპერტუარში დომინირებდა რუსული რომანტიზმი, ხოლო „არასასურველი“ ნაწარმოებები გამოირიცხა იდეოლოგიურ საფუძველზე. თანამედროვე ნაწარმოებებს შორისაც კი უპირატესობა ენიჭებოდა რომანტიზმის ტრადიციებზე და არა თანამედროვე, მე-20 საუკუნის მეთოდებზე დაფუძნებულ მასალას.

ჩვენი კვლევა ცხადყოფს, რომ ყველა პოლიტიკურმა რეჟიმმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ლატვიის თანამედროვე ვოკალური განათლების ჩამოყალიბებაში. გადაწყვეტილებები რეპერტუართან დაკავშირებით დღესაც ანიჭებს უპირატესობას ისტორიულ [პოლიტიკურ] მიმდინარეობებს, ხოლო მე-20 საუკუნის ბოლოსა და 21-ე საუკუნის დასაწყისის მუსიკა კვლავ ნაკლებად არის წარმოდგენილი.

მარინა ქავთარაძე,
თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორის პროფესორი

ყანჩელის ოპერის რეცეფცია 21-ე საუკუნეში

მოხსენებაში განიხილება გია ყანჩელის ოპერის „მუსიკა ცოცხალთათვის“ (ოპერა „და არის მუსიკის“ მეორე რედაქცია) 2025 წლის პრემიერა და მისი მუსიკალურ-სცენური ინტერპრეტაციის თავისებურებები ბონის საოპერო თეატრის სცენაზე კვლევითი პროექტის FOKUS'33-ის ფარგლებში. ყანჩელის ოპერის გერმანული პრემიერა შედგა თბილისური წარმოდგენიდან 40 წლის შემდეგ და დიდი რეზონანსი გამოიწვია. მოხსენება წარმოდგენს მცდელობას გავაანალიზოთ ყანჩელის ოპერა იმ გლობალური პრობლემების კონტექსტში, რომელიც დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას.

ყურადღება გამახვილდება ასევე პროექტის FOKUS'33 მიზანზე, რომელიც წარმოადგენს საინტერესო კვლევით მოგზაურობას XX საუკუნის ოპერის მიზეზების შესასწავლად, რომლებიც ხშირად დაკავშირებულია ისტორიულ და პოლიტიკურ გარემოებებთან. ამ პროექტის ფარგლებში, ბონის თეატრი ატარებს კვლევებს 1933-1945 წლებში ან უფრო გვიან შექმნილი ოპერების შესახებ, რომლებიც რეპერტუარიდან სხვადასხვა მიზეზით დიდი ხნის განმავლობაში გაქრა სცენიდან. ოპერა ხდება მხატვრული კვლევის საგანი როგორც სცენური განხორციელების გზით, ასევე აკადემიური პროგრამის ფარგლებში სამეცნიერო პუბლიკაციებისა და ლექციების სახით. ეს მიდგომა საუკეთესო საშუალებაა არა მხოლოდ ოპერის ჟანრის შესას-

წავლად, არამედ მისი პოპულარიზაციისთვის, მე-20 საუკუნის ოპერის აუდიტორიასთან დასაახლოვებლად, რის დადასტურებაც წარმოადგენს ყანჩელის ოპერის პრემიერა ბონში.

გვანცა ღვინჯილია,
თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის
ასოცირებული პროფესორი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

მეტავერსი როგორც მუსიკალური ეკოსისტემა

სტატია იკვლევს, თუ რა პერსპექტივებს აჩენს მუსიკალურ ინდუსტრიაში მეტავერსი ხელოვნურ ინტელექტთან და ციფრული ტექნოლოგიებთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ მეტასამყარო, როგორც ერთიანი სივრცე, ჯერ სრულად არ ფუნქციონირებს, ის ნაწილობრივ არსებობს პლატფორმებსა და ტექნოლოგიებში, რომლებიც ამ მიმართულებით მუშავდება. მას გააჩნია პერსპექტივა ახლებურად განსაზღვროს მუსიკის ფუნქცია და გააფართოოს მისი გავლენა აუდიტორიაზე. მუსიკის, როგორც ხელოვნების დარგის განსაზღვრება მუდამ იცვლება და მისი არეალიც სწრაფად ფართოვდება ტექნოლოგიური პროგრესის, ახალი სოციალური რეალობებისა და სახელოვნებო ტენდენციების ფონზე, რომელთა შორის შეგვიძლია დავასახელოთ ეკო-მუსიკა, ვიდეოთამაშების მუსიკა, მეტავერსზე დაფუძნებული მუსიკა და AI-ით გენერირებული ჟღერადობა. ეს ინოვაციები აფართოებენ მუსიკის, როგორც ხელოვნების ტრადიციულ საზღვრებს და სრულიად სხვა შინაარსს სძენენ მის ფუნქციას.

მეტავერსში მუსიკა ხდება იმერსიული და მრავალსენსორული, რადგან ის თავის თავში აერთიანებს ვირტუალურ რეალობას, სივრცულ აუდიო ბგერას და ავატარებთან ინტერაქციის პრაქტიკას. მეტავერსი უკვე აღარ არის მხოლოდ სამეცნიერო ფანტასტიკა — ის წარმოადგენს გაზიარებულ, მუდმივ ვირტუალურ სივრცეს, რომელიც აერთიანებს VR-ს, AR-ს, ბლოკჩეინს და ინტერნეტს. მომხმარებლებს ავატარების მეშვეობით შეუძ-

ლიათ რეალურ დროში ჩართვა სოციალურ, ეკონომიკურ, საგანმანათლებლო და კრეატიულ აქტივობებში. მისი ძირითადი მახასიათებლებია პლატფორმათაშორისი ინტეგრაცია, უწყვეტი განვითარება და ფიზიკური თანაარსებობა. შიგთავსის დიდი ნაწილი მომხმარებლის მიერ არის გენერირებული, რაც ურთიერთთანამშრომლობაზეა ორიენტირებული. მიუხედავად იმისა, რომ Metaverse მოიცავს თამაშებს, განათლების სფეროს, დისტანციურ მუშაობას, კომერციასა და ხელოვნებას, ის ისეთი გამოწვევების წინაშე დგას, როგორებიცაა კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული საკითხები, ძვირადღირებული აპარატურა, მმართველობის საკითხები და ციფრული უთანასწორობა. მუსიკა მეტავერსში ერთ-ერთი ყველაზე დინამიკური სფეროა. ის ახალ კრეატიულ ფორმებს, მსმენელთა ჩართულობასა და ეკონომიკურ მოდელებს წარმოშობს იმერსიული კონცერტების DJ (Disc Jockey) შესრულებით და VR/AR-ით გაძლიერებული ინტერაქციული ინსტალაციების მეშვეობით. ვირტუალურ სტუდიებში ხელოვნური ინტელექტით შესაძლებელი ხდება რეალურ დროში გლობალური თანამშრომლობა, ხოლო ბლოკჩეინი მუსიკოსებს საშუალებას აძლევს შუამავლების გარეშე გამოიმუშაონ თანხა. გულშემოკიდებთან ინტერაქცია კი სულ უფრო მეტად უშუალოა და თამაშის ელემენტებით მდიდრდება. ისეთი პლატფორმები, როგორებიცაა Beatport, Pixabay და Metaverse Music წარმოადგენენ ფართოდ განვითარებულ მუსიკალურ ლანდშაფტს — ელექტრონული ჟღერადობიდან დაწყებული, მედიტაციური მუსიკით დამთავრებული. სმარტფონებისა და VR მოწყობილობების საშუალებით მეტავერსთან წვდომის გაუმჯობესების კვალდაკვალ, მუსიკა მეტავერსში ინოვაციების მთავარ მამოძრავებელ ძალად რჩება.

ამგვარად, მეტავერსი რევოლუციას ახდენს მუსიკის შექმნის, გაზიარებისა და გამოცდილების სფეროში და ხსნის ახალ ერას, სადაც საუნდი, ტექნოლოგია და სოციალური ურთიერთობები შერწყმულია იმერსიულ ვირტუალურ სამყაროში.

თამარ ჩხეიძე,
თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის
პროფესორი

სამგალობლო ტრადიცია გარეჯში: ლიტურგიკული წყაროების ანალიზი

დავით-გარეჯის მონასტერში XVII-XIX საუკუნეებში მდიდარი სამგალობლო ტრადიციის არსებობაზე, ისტორიული ცნობების გარდა, ჩვენამდე მოღწეული ამავე მონასტრის კუთვნილი ლიტურგიკული ხელნაწერები მეტყველებენ. ასეთ ხელნაწერს მიეკუთვნება საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული XIX საუკუნის დასაწყისით (1806) დათარიღებული ლიტურგიკული კრებული. კრებულში ჩართული „რომელი ქერაბინთას“ რვა ხმაზე დაფიქსირებული ჰანგი, თანდართული ნევმებით, ჭრელებითა და დედან-ჰანგებით, ადასტურებს კრებულის პრაქტიკულ დანიშნულებას და მონასტერში სამგალობლო-შემოქმედებითი პროცესების აქტიურ მიმდინარეობას. ამ პროცესების შედეგია ინდივიდუალურ-შემოქმედებითი სტილების ჩამოყალიბება, როგორცაა „კილო ბიძინა არხიმანდრიტისა, გერონტი სოლოლაშვილისა, ტარასი არხიმანდრიტისა, სოფრონ არხიმანდრიტისა“ და სხვა, რაც დადასტურებულია არაერთი წყაროთი და ბოლოდროინდელი გამოკვლევებით.

ხელნაწერის შესწავლის და სხვა ლიტურგიკულ წყაროებში მოცემული რელევანტური საგალობლების კომპარატული შესწავლის საფუძველზე მოხსენებაში წარმოჩენილია გარეჯში მოღვაწე სრულ მგალობელთა სამგალობლო-შემოქმედებითი მიდგომები და წარმოდგენილია ჩვენი მცდელობა, „რომელი ქერაბინთას“ რვახმათა ჰანგების გაშიფრვა-აღდგენისა.

ქორეოლოგია

ხათუნა დამჩიძე,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის დიმიტრი ჯანელიძის სახელობის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი,
ქორეოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,

ქორეოგრაფია - მყარი, დაკარგული, მოდერნიზებული

ხელოვნება ასახავს ეპოქას, დროის იმ მონაკვეთს, რომელშიც იქმნებოდა, იმ ისტორიულ, სოციალურ თუ კულტურულ პროცესებს, რომელმაც საზოგადოების ცნობიერებაზე ღრმა კვალი დატოვა. ამ თვალსაზრისით ხელოვნება ისტორიულ-ეთნოგრაფიული წყაროს, მემატიანის ფუნქციასაც თავს წარმატებით ართმევს.

კაცობრიობის არსებობის განმავლობაში წარმოქმნილი იდეურ-შინაარსობრივი თუ მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები ხელოვნების მხატვრულ ფორმაციებად ჩამოყალიბდა და განვითარების უწყვეტი პროცესი აირეკლა. ეს კი, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა ამა თუ იმ სახელოვნებო დარგის შემოქმედებით-სტილისტიკურ გრადაციას თვალი მივადევნოთ.

ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნებაც არ წარმოადგენს გამონაკლისს. დროსთან მიმართებით მისი სამი ონტოლოგიური კრიტერიუმი გამოვლინდა:

1. ცოცხალი ფოლკლორული შემოქმედება ტრადიციის სიმყარით და უწყვეტობით:

ქორეოგრაფიული ხელოვნება თავისი სპეციფიკით ქრონოტოპულია - დროსა და სივრცეში განფენილი. მას ერთი ან რამდენიმე ადამიანი ანიჭებს სიცოცხლეს საკუთარი სხეულის მოძრაობით, ილეთთა კომპლექსით. ამდენად ის მუდმივად ცვალებადია და განახლებადი, თუმცა მისი საყრდენი ტრადიცია ურყევი საუკუნეების განმავლობაში. ფოლკლორული ტრადიციების სიმყარე ქმნის კულტურულ მემკვიდრეობას, რომელმაც დროის ჩარჩო გადალახა. ამის საუკეთესო ნიმუშებია წინარექ-

ტისტიანული ეპოქიდან მომდინარე ყოფაში დაცული თეატრალიზებული სანახაობები და საფერხულო შემოქმედება.

2. ისტორიის გრძელ გზაზე დაკარგული და მხოლოდ ფურცლებს შემორჩენილი:

ქართული საცეკვაო დიალექტების მრავალფეროვნება, რიგ შემთხვევაში, მხოლოდ ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მასალამ შემოინახა, რადგან მათმა ნაწილმა სხვადასხვა მიზეზთა გამო დროს ვერ გაუძლო და საზოგადოების ყოფიდან გაქრა. მაგ.: იმერული, ლეჩხუმური, ქართლ-კახური საფერხულო ნაწარმოებები, ნაწილობრივ მეგრული საცეკვაო ნიმუშები მხოლოდ ისტორიულ დოკუმენტალისტიკაში იძენება. მიუხედავად ამისა, ისტორიული ცნობები ფასდაუდებელია იმ თვალსაზრისით, რომ ქორეოგრაფიული ნაწარმოების - მრავალკომპონენტური ორგანიზმის ნაწილობრივ, მიახლოებითი აღდგენის საშუალებას მაინც იძლევა.

3. სასცენოდ გარდაქმნილი ფოლკლორული შემოქმედება:

ხალხურმა საცეკვაო ფოლკლორმა ცვლილება განიცადა მას შემდეგ, რაც სასცენო და პროფესიული ქორეოგრაფია ჩამოყალიბდა - XX საუკუნის ფოლკლორის გადანაცვლებამ პროფესიულ სცენაზე, მისმა კულტივირებამ დროთა განმავლობაში, უკან, ფოლკლორულ სივრცეშიც კი, უკვე სახეცვლილი ფორმით დაბრუნება მოიტანა შედეგად. თავად საავტორო-პროფესიონალური შემოქმედება, რომელიც სახეცვლისა და მოდერნიზაციის მოცულობითი დოზირებით განაგრძობს არსებობას, თანამედროვე ქორეოგრაფიულ ანსამბლებში ქმნის დღევანდელობასთან ასოცირებულ, თუმცა რიგ შემთხვევაში, ძალზე ტრანსფორმირებულ ხელოვნებას.

ხალხური ქორეოგრაფიის განვითარების წარმოდგენილი სამი ფაზა, მისი დროში განფენილი სხეული ქართული საცეკვაო ფოლკლორის ისტორიას ქმნის.

თავისუფალი თემების საქცია

კინომსოფნობა

თათია ახალშენაშვილი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
აუდიოვიზუალური ხელოვნება
მხატვრული და დოკუმენტური, ტელერეჟისურა, კინო-ტელე
ოპერატორის ხელოვნება
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვაჟა ზუბაშვილი

გარემო როგორც პერსონაჟი თანამედროვე ქართულ დოკუმენტალისტიკაში

საკონფერენციო მოხსენება მიზნად ისახავს თანამედროვე დოკუმენტურ კინოში გარემოს როლის არა როგორც ვიზუალური ან სივრცული ფონის, არამედ როგორც დამოუკიდებელი, „მოქმედი“ გმირის გააზრებას. ნაშრომი შეისწავლის იმ თანამედროვე ვიზუალურ, აუდიო და დრამატურგიულ ხერხებს, რომლებიც გარემოს საშუალებას აძლევს გარდაიქმნას თხრობის მნიშვნელოვან ელემენტად.

მოხსენების მიზანია გამოიკვლიოს ტენდენცია, რომლის მიხედვითაც გარემო ხშირად ფუნქციონირებს როგორც ეპოქის სოციალური, ეკოლოგიური და ფსიქოლოგიური ფონის ამსახველი. როგორ განიცდის ცვლილებას გარემო დროის პერსპექტივიდან დოკუმენტურ ფილმში და როგორ ფორმირდება იგი პერსონაჟად. როგორ ყალიბდება ის თანამედროვე დოკუმენტურ კინოში და რა ფორმით თუ შინაარსით ახდენს გავლენას მაყურებელზე.

ნაშრომში ყურადღება დაეთმობა ორ თანამედროვე ქართულ დოკუმენტურ ფილმს: სალომე ჯაშის „მოთვინიერება“ და ლუკა ბერიძის „ღიმილიანი საქართველო“, რადგან ორივე ნამუშევარში სწორედ გარემო ასრულებს მნიშვნელოვან როლს თხრობით პროცესში.

ფილმები მნიშვნელოვანი კვლევითი მასალაა, რადგან თანამედროვე ქართულ დოკუმენტალისტიკაში გარემოს პერსონაჟად წარმოჩენის მიმართულებით თითქმის არ არსებობს თეორიული ან ანალიტიკური ტექსტები. მათი ანალიზის გზით გამოვლინდება, როგორ ასახავს გარემო არა მხოლოდ ინდივიდუალურ განვითარებას, არამედ სოციალურ, ისტორიულ და ფსიქოლოგიურ შრეებსაც.

ხელოვნების მენეჯმენტი და კულტურული ტურიზმი

ნაირა გალახვარიძე,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ხელოვნების სისტემა გლობალურსა და ლოკალურს შორის

წარსულში, სახელმწიფოთა კონკურენტუნარიანობის შეფასებისას მნიშვნელოვან კრიტერიუმად ითვლებოდა მისი ეკონომიკური და სამხედრო ძლიერება. ამჟამად სწორედ კულტურისა და ხელოვნების განვითარების მაღალი დონე გახდა იმ საზომად, რომლის შესაბამისადაც განისაზღვრება პრეტენდენტები მოწინავე ქვეყნების წოდებისათვის. ამერიკელი ეკონომისტი პიტერ დრუკერი წინასწარმეტყველებდა, რომ ოცდამეერთე საუკუნეში კულტურული ინდუსტრია გახდებოდა ამა თუ იმ სახელმწიფოს წარმატების განსაზღვრის გადამწყვეტი ფაქტორი. საქართველომ ეკონომიკის გასაოცარი ზრდით შეძლო მიეღწია მნიშვნელოვანი პროგრესისათვის, კულტურისა და ხელოვნების ცნობადობის ამაღლების სფეროში. იმის განხილვა თუ როგორ ხორციელდება და ვითარდება ჩვენს დროში ლოკალური და გლობალური დიალექტიკის კონტექსტში ხელოვნების სისტემა, რთულია და მეტად საინტერესოა. მიზეზი საკმაოდ ნათელია: არსებული ინტერესი რეგიონების შეუცვლელი ნიშანია, რომლებიც ფლობენ უდავო მნიშვნელობას (როგორც თავიანთთვის, ისე მთელი მსოფლიოსათვის), ამიტომაც არ შეიძლება სრულად ჩაითვალონ პროვინციად, მაგრამ, სამწუხაროდ, მეორე მხრივ, ინტერნაციონალურ პროცესებში არ თამაშობენ, არ ასრულებენ იმ განსაზღვრულ როლს, რომლის პრეტენზიის გამოცხადებაც სურთ.

ნიკო კვარაცხელია,
საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი,
ისტორიის დოქტორი, პროფესორი

ავთენტურობისა და ინტერპრეტაციის პრობლემა კულტურულ ტურიზმში

ავთენტურობის და მასთან დაკავშირებული ინტერპრეტაცი-
ის შესწავლა დაიწყო ფილოსოფოსებმა, კერძოდ, გერმანელმა
ფილოსოფოსმა და ეგზისტენციალიზმის ერთ-ერთმა ფუძემდე-
ბელმა, მარტინ ჰაიდეგერმა. მან თავის ფუნდამენტურ კვლევა-
ში „ყოფიერება და დრო“ საფუძველი ჩაუყარა ავთენტურობის
კონცეფციას. ჩემბერსის მეოცე საუკუნის ლექსიკონის გადამუ-
შავებული გამოცემის თანახმად, „ავთენტურობა არის თვისება:
ჭეშმარიტების, ან ფაქტებთან შესაბამისობის მდგომარეობა,
ნამდვილობა“. ჰაიდეგერმა ავთენტურობის დოქტრინა დაა-
ფუძნა ადამიანის პიროვნების განვითარების აუცილებლობაზე,
რისთვისაც იგი Dasein-ით აღჭურვა იმ დახვეწილი ეგზისტენ-
ციალური ფაქტორების დასაფასებლად, რომლებმაც შეიძლება
ერთდროულად ის შექმნას კიდევ, ან მისი დაზიანება გამოიწ-
ვიოს.

ავთენტურობა ტურიზმში უნდა განვიხილოთ როგორც უც-
ნობი ქვეყნის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიღების აუცი-
ლებლობა. ინფორმაცია ტურისტს ორიენტაციის საშუალებას
აძლევს, მისი საშუალებით იგი იძენს ცოდნას სამოგზაურო ქვეყ-
ნის კულტურის, ლანდშაფტისა და ღირსშესანიშნაობების შესა-
ხებ. ტურისტებზე ზრუნავენ, სწრაფი მგზავრობის უზრუნველსა-
ყოფად, მას თავიდან უნდა ააცილონ არასაჭირო ინფორმაცია.
ყველაფერი ეს კეთდება ქვეყნის ღირსშესანიშნაობების გაცნო-
ბის მიზნით და პროფესიონალი გიდის თანხლებით. გიდის ტექ-
სტი და ინფორმაცია ადაპტირებული უნდა იყოს მოგზაურის სა-
ჭიროებებზე, ამავდროულად, ის ქმნის ქვეყნის იმიჯს და აჩენს
მოლოდინებს. გიდი არ ხატავს რეალობის შესაძლო გამოსახუ-
ლებას, მაგრამ ცდილობს მომხმარებლისთვის რეალობის ყვე-

ლაზე ზუსტი, არსებული სურათის მიწოდებას. გიდის ზოგადი დანიშნულება ქვეყნისა და კულტურის უფრო ფართო ინტერპრეტაციაა, ძირითადად ფიქსირებული კოდების მეშვეობით. გიდები ასევე გვაწვდიან ინფორმაციას მოგზაურობის ადგილის შესახებ, აქვთ აგრეთვე რეკლამისგან განსხვავებული გასართობი პროგრამა. თუმცა, ასეთი ინტერპრეტაცია, სავარაუდოდ, დააბალანსებს ინფორმაციას. ბევრი ტურისტული გიდი ხაზს უსვამს ქვეყნის სილამაზეს და უგულებელყოფს ამავედროულად უარყოფით მხარეებს. ლიტერატულული ექსკურსიების ჩატარებისას პერსონაჟის ციტირებას ასევე შეუძლია მომხმარებელს ასწავლოს კულტურა და ადგილობრივი ისტორია. ტურისტული გიდის ინტერპრეტაცია არ არის სწავლება ან „ინსტრუქცია“ აკადემიური გაგებით; აქ მთავარია გიდის თხრობა სასიამოვნო იყოს ვიზიტორებისთვის; ტექსტი თავისი შინაარსით ასევე უნდა იყოს შესაბამისი ტურისტებისთვის; საექსკურსიო ტექსტი გასაგებად უნდა იყოს მიწოდებული ისე, რომ ვიზიტორებმა ადვილად შეძლონ მისი აღქმა და ბოლოს ინტერპრეტაციას უნდა ჰქონდეს თემა, რომელიც იქნება მეინსტრიმი.

ნათია კოპალეიშვილი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

ტექნოლოგიების მზარდი როლი ხელოვნებისა და განათლების სფეროში

ტექნოლოგიური პროგრესის გავლენით თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა სწრაფი ნაბიჯებით განიცდის ტრანსფორმაციას. ხელოვნური ინტელექტი ერთ-ერთი ყველაზე რევოლუციური ძალაა ამ პროცესში, რომელიც ცვლის, როგორც სწავლების, ასევე შემოქმედებითი საქმიანობის მიდგომებს და ახალ საგანმანათლებლო რეალობას ქმნის 21-ე საუკუნეში.

ხელოვნების მენეჯმენტი, როგორც დისციპლინა, აერთიანებს კულტურას, კრეატიულ ინდუსტრიებს და სტრატეგიულ მენეჯმენტს. ხელოვნური ინტელექტი ხელოვნებასა და საგანმანათლებლო პროცესში ქმნის შესაძლებლობებს: თუმცა არსებობს გამოწვევები და ეთიკური საკითხები. მნიშვნელოვანია ბალანსის დაცვა კრეატიულობასა და ტექნოლოგიას შორის. განათლება უნდა ემსახურებოდეს, როგორც ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარებას, ასევე ფეხდაფეხ მიჰყვებოდეს ტექნოლოგიური შესაძლებლობების გამოყენებას.

გიორგი ფხაკაძე,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
ხელოვნების მენეჯმენტის დოქტორი

კულტურის ფინანსური არჰიტექტურა და რა სარგებელი აქვს ქვეყანას მისი სწორად განხორციელებით?

მოცემული სტატია იკვლევს საქართველოს კულტურის ფინანსურ არქიტექტურას, როგორც ჰოლისტურ და გარდამავალ სისტემას, რომელიც აერთიანებს სახელმწიფო, კერძო და საერთაშორისო დაფინანსების წყაროებს. ანალიზი მოიცავს 2019-2025 წლების პერიოდს, სადაც განიხილება სახელმწიფო ბიუჯეტის დინამიკა, დაფინანსების განაწილება სფეროების მიხედვით (მემკვიდრეობა, კინო, თეატრი, მუზეუმები) და ალტერნატიული მოდელების (საჯარო-კერძო პარტნიორობა) მზარდი როლი. ნაშრომში ხაზგასმულია ისეთი გამოწვევები, როგორებიცაა კულტურის დაბალი წილი სახელმწიფო ბიუჯეტში და დაფინანსების არათანაბარი რეგიონული განაწილება. დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია რეკომენდაციები სისტემის გასაუმჯობესებლად, მათ შორის დეცენტრალიზაციის, გამჭვირვალობისა და საჯარო-კერძო პარტნიორობის გაძლიერების

გზით, რათა კულტურა ეროვნული განვითარების მდგრად ელემენტად იქცეს.

მაია ღვინჯილია,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ციფრული მარკეტინგის როლი გასტრონომიულ ტურიზმში

გასტროტურიზმი გლობალური ტურისტული ინდუსტრიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენს. მოგზაურები სულ უფრო მეტად ეძებენ ავთენტურ საკვებსა და მათზე დაფუძნებულ გამოცდილებას, რაშიც მათ ონლაინ პლატფორმები ეხმარებათ.

ციფრული მარკეტინგი კულინარიულ მიმართულებებს, რესტორნებსა და კვების ობიექტებს აძლევს შესაძლებლობას წარმოაჩინონ თავიანთი პროდუქტები, ჩაერთონ პოტენციურ მომხმარებლებთან კომუნიკაციაში და გააუმჯობესონ მათი გამოცდილება.

თანამედროვე კვების ობიექტები თავიანთ საქმიანობაში აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელებს. ეს განპირობებულია იმ ფაქტით, რომ დღეისათვის მომხმარებლები სულ უფრო მეტ დროს ხარჯავენ სოციალურ ქსელებში, საიდანაც ღებულობენ მათთვის საინტერესო და მრავალფეროვან ინფორმაციებს. ონლაინ პლატფორმებისა და სოციალური მედიის მეშვეობით შესაძლებელია არა მხოლოდ კულინარიული პროდუქტების ეფექტური წარმოჩენა, არამედ მომხმარებლებთან პირდაპირი კომუნიკაციაც. ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს ტურისტების დაინტერესებას, ავთენტური გამოცდილების გაზიარებასა და სექტორის მდგრად ზრდას.

ინტერნეტისა და სხვა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება გლობალური ეკონომიკის ახალ ეპოქას ქმნის. სოციალური მედია აგრძელებს ზრდას და დიდ გავლენას ახდენს მასპინძლობისა და ტურიზმის ინდუსტრიის ბევრ სოციალურ და ეკონომიკურ ასპექტზე.

მაღსაზ ღვინჯილია,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ევროპის კულტურული მარშრუტები და საქართველოს ტურისტული პოტენციალი: ახალი გამოწვევები

ევროპის კულტურული მარშრუტების პროგრამა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინიციატივას, რომელიც მიზნად ისახავს ევროპული კულტურული მემკვიდრეობის წარსულის, აწმყოსა და მომავლის კავშირით შექმნას მრავალშრიანი სივრცე საერთო ღირებულებების გასაზიარებლად. იგი მიზნად ისახავს ევროპის გეოგრაფიულ და ისტორიულ ერთიანობაზე დაფუძნებული კულტურული ქსელების შექმნას.

ევროპის კულტურული მარშრუტები, ფაქტობრივად, ევროინტეგრაციის გზაზე მდგომი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია კულტურულ ღირებულებებზე დაფუძნებული თანამშრომლობის განხორციელებისათვის იმ ქვეყნების ჩართულობით, რომლებიც ჯერ არ არიან ევროკავშირის წევრები. მარშრუტები ქმნიან წარმომადგენლობით პლატფორმას, რომელიც აკავშირებს კულტურულ იდენტობებს, ატარებს დიאלოგს საერთო ისტორიაზე და ამავდროულად ხელს უწყობს ევროპულ სტანდარტებზე დაყრდნობილ ადგილობრივი კულტურული ფენომენების განვითარებასა და პოპულარიზაციას.

ქართული კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ნიმუშების ჩართვა ევროპის კულტურულ მარშრუტებში საქართველოსთვის წარმოადგენს როგორც კულტურული ფენომენების პოპულარიზაციას, ასევე პოლიტიკურად ნეიტრალურ, მაგრამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან პლატფორმას ევროპასთან დიალოგისთვის.

საქართველოში ამჟამად ფუნქციონირებს სამი სერტიფიცირებული ევროპული კულტურული მარშრუტი. ევროპული საბჭოს უწყებრივი ორგანიზაციისათვის მიწოდებულია ახალი პოტენციური მარშრუტების სია. მათი აღიარებაც საკმაოდ შრომატევადი პროცესია, რომელიც ითვალისწინებს ევროპუ-

ლი რეკომენდაციების ზედმიწევნით შესრულებას. მოცემული პროცესის უზრუნველყოფაში მონაწილეობს საქართველოში მოქმედი უწყებათაშორისი სამთავრობო კომისიები და სფეროთი დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციები.

ახლი პოტენციური ობიექტების ჩართვა ხელს შეუწყობს ევროინტეგრაციის გზაზე მდგომი ჩვენი ქვეყნის პოზიციების გაძლიერებას, არსებული ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციას, ახალი სერტიფიცირებული ევრომარშრუტების ქსელის შექმნას და ტურისტული ნაკადების ზრდას. აღნიშნულის მაღალ დონეზე უზრუნველსაყოფად კი საჭიროა კულტურული ტურიზმის დარგობრივი ექსპერტების მეტი ჩართულობა, როგორც მარშრუტების შედგენის, ასევე მიწოდების პროცესში.

დოდო ჭუმბურიძე,

ხელოვნების მენეჯმენტის დოქტორი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

კულტურის სფეროს პროექტების მართვა და მისი გავლენები

თემაში „კულტურის სფეროს პროექტების მართვა და მისი გავლენები“ განხილულია კულტურის სფეროს პროექტების სპეციფიკურობა, კომპლექსურობა და მისი ზეგავლენა ფართო საზოგადოებაზე (ლოკალურ და გლობალურ დონეზე).

თანამედროვე სამყაროში ნათლად იკვეთება, რომ კულტურის მენეჯმენტი, შემოქმედებითი პროცესების ადმინისტრირებასთან ერთად, კომპლექსურ და ინტერდისციპლინურ პრაქტიკას ეფუძება, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს საზოგადოებრივი განვითარების ფორმირებაში. გარდა ამისა, კულტურის მენეჯმენტი ხელს უწყობს კულტურული იდენტობის შენარჩუნებას, კრეატიული ინდუსტრიების პოტენციალის რეალიზებას და კულტურულ დიალოგს, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. მისი მეშვეობით შესაძლებელია ისეთი პოლიტიკებისა და ინიციატივების განხორციელება

ბა, რომლებიც ემყარება თანასწორობის, მრავალფეროვნების, ხელმისაწვდომობისა და მონაწილეობის პრინციპებს ფართო საზოგადოებისთვის.

კულტურის სფეროში პროექტების მართვა დღესდღეობით იძენს სისტემურ და სტრატეგიულ ხასიათს, ვინაიდან ის ეფუძნება არა მხოლოდ კულტურის პროექტების/პროდუქტების შექმნასა და გავრცელებას, არამედ მასთან დაკავშირებული ღირებულებების, ინტერესთა ჯგუფების, ინკლუზიური პროცესებისა და გრძელვადიანი შედეგების ანალიზს.

თემაში ასევე იკვეთება კულტურის მენეჯმენტის კომპლექსურობა, რომელიც აერთიანებს სტრატეგიულ დაგეგმვას, რეკლამის ორგანიზებულ მართვას და კულტურული პოლიტიკის ინსტრუმენტების ეფექტიან გამოყენებას. აღნიშნული მოიცავს კულტურის სფეროს პროექტებში კრეატიულობისა და ინოვაციურობის მხარდაჭერას.

კულტურის სფეროს სტრატეგია ეფუძნება მიზნობრივი ჯგუფების სოციალური ინტეგრაციის, კრიტიკული აზროვნების, ეკონომიკური ზრდისა და დემოკრატიული ღირებულებების განვითარების მხარდაჭერა-გაძლიერებას.

თემაში „კულტურის სფეროს პროექტების მართვა და მისი გავლენები“ წარმოჩენილია სტრატეგიული გეგმის შემადგენელი მექანიზმი, რომელიც შეიძლება გამოიყენებოდეს სოციალური თანასწორობის გასაძლიერებლად, ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად და კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

TEATROLOGY

